



ისტორიული გვერდგრაობა

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2013 წ. საქტაბებრი, №9 (38), ფასი 3 ლარი



გრიფონებიანი შადრვანი სოსუმის
სახელმწიფო დრამატულ თეატრთან

«ვფიქრობ, სოსუმის დაცემის სხენარი ოკეანის გაღმა დაინერა»

ალექსანდრა
ქონსტან-
ტინას ქა
შერვაშია

11 დაგით
იაკობაშვილი:
«ნახილ-
ნაღებს»,
ისავე,
როგორც
გერმანელ
ფაუნსტაბს,
ფსიქიკა
აქვთ
მონაფლული!

14 ნიკო
ნიკოლაე
ქართული
სახელ-
მწიფოს
გონივრულად
მონყოფისა
და სსო-
გადობრივ-
პოლიტიკური
გარდაქმნების
თაობაზე

1877-1878
წლების
რუსეთ-
თურქეთის
ომი და
ქართული
სსოგა-
დობრიობა

პირველი
ნახეჭდი
ქართული
ნიგნები

ქართული
ნავთობი

ლეგენდა –
34 სანიღია
თაყაიშვილი

4



სარჩევი

■ ტრაგიკული თარიღი «ვფიქრობ, სოსელის დახვეწის სხანარი ოქანის გარდა დაინერა»	4
■ აფხაზი მამულიშვილი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე შერვაშიძე	7
■ ვეტერანი დავით იაკობაშვილი: «ნახიონალაგს», ისევე, როგორც გერმანელ ფაშისტებს, ფსიქიკა აქვთ მონათლული!	8
■ რეკომენდაციები ნიკო ნიკოლაძე ქართული სახელმწიფოს გონივრულად მონყობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნების თაობაზე	11
■ ქრონიკები 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და ქართველი საზოგადოებრიობა	19
■ მწიგნობარი პირველი ნაბეჭდი ქართული ნიგნები	21
■ ცნობისათვის ქართული საიუველირო ხელოვნების ისტორიის მოკლე მიმოხილვა	24
■ მრეწველობა ქართული ნავთობი	29
■ მედიცინა ალექსანდრე ალადაშვილი: დღეს საქართველოში თითქმის არც ერთი სახელმწიფო საედიცინო დაწესებულება არ არის, კვალიფიციური კადრები კი კალიან შობაა	31
■ ხელოვნება ლეგენდა – სენილია თაყაიშვილი	34
■ ქმათა დაღადი ალექსანდრე აბდალაძე: სომხურმა წრეებმა თავი უნდა ანებონ ანტიქართულ, ქართველი ერის სასიზოფსლო ინტერესების სანიანაღმდებო გაგონდოებას	37
■ თბილისის ისტორია თბილისური სასლები XVIII საუკუნეში	42
■ ფოტოალბომი «ყოველი წუთი და წამი გედნიერი მქონდა»	46

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი „ისტორიული მემკვიდრეობა“
სარედაქციო კოლეგია
პასუხისმგებელი რედაქტორი ღბრეწან ანდრიაძე
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

«ვფიქრობ, სოხუმის დასახლის სხენარი ოქანის გაღმა დაინერა»

27 სექტემბერს 20 წელი სრულდება, რაც საქართველოს მისი ერთ-ერთი უღამაზესი კუთხე, აფხაზეთი, ჩამოაშორეს. ქართველი ხალხისთვის ეს მწარე რეალობა მოუშუშებელ ტკივილად რჩება დღემდე.

ამ ხნის მანძილზე საქართველოს ვერც ერთმა ხელისუფლებამ ახალი და მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა აფხაზეთის დასაბრუნებლად ვერ შეძლო. ხალხს კი მხოლოდ ლოზუნგებით ანუგეშებდნენ — „გვახსოვდეს აფხაზეთი“, „აფხაზეთი ჩვენი ტკივილია“ და ა.შ. ამ ბოლო დროს ესეც შეწყდა. წინათ, ყველა არჩევნების დროს პოლიტიკური პარტიები და მათი ლიდერები აფხაზეთის თემით მანიპულირებდნენ და მისი დაბრუნების ნაირ-ნაირ გეგმებს გვთავაზობდნენ, ახლანდელი საპრეზიდენტო არჩევნების წინ კი ეს თემა „პროგრამიდან“ ამოღებულია და არავინ ახსენებს. ბოლო კვლევების მიხედვით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თემამ პირველიდან მესამე ადგილზე გადაინაცვლა. ნუთუ დროის გასვლასთან ერთად ყველაფერი მივიწყებას ეძლევა?!

დღეს ჩვენი ჟურნალის ნომრის სტუმრები არიან აფხაზეთის ომის ვეტერანები, რომლებიც იმ ტრაგიკულ დღეებზე გვიამბობენ, კიდევ ერთხელ ემოციურად გაიხსენებენ 1993 წლის 27 სექტემბერს — სოხუმის დაცემის დღეს!

რეზო გუჯაჯიანი:

— ოცი წელიწადია, ველოდები, როდის დავბრუნდები ჩემს სახლში. **სოხუმის სხენაბაზა ურუნთალი მივლის, ახლაც, რომ ახსენათ, ცუდად გავსდით. აფხაზეთზე უბრალოდ ვერ ვსაუბრობ. დავძივარ, ვითომ რაღაცას ვაპატიებ, მაგრამ სულ ტყუილად... სიზმარში, ისე ნათლად დამიდგება-სოლმე თვალწინ, რომ ფხსა ნამოვსტაბი და აპატი-იპატი ვიყურები.** წლები გადის და აფხაზეთიდან დევნილი ოჯახების ბავშვები, ალბათ, უკან დაბრუნებას აღარ მოისურვებენ. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ეს თემა დავიწყებას მიეცეს. ჩვენ, დევნილებიც, არ ვაქტიურობთ, არც გვაძლევენ საშუალებას, რომ ვიაქტიუროთ. მესამე ხელისუფლება იცვლება ქვეყანაში და არც ერთს არ გავსენებვართ სათანადოდ, არ ახსენებენ ვეტერანებს, არადა, ვეტერანებზე საუბარი უკვე ნიშნავს იმას, რომ ომი იყო და ტერიტორია დაკარგულია. დრომ თავისი გააკეთა და ჩვენც ინერტულები გავხდით. ეს

ჩვენი ტკივილია, **ჩვენ ამ ტკივილით ვცნობრობთ.** თაობამ, რომელიც იქ იბრძოლა, სახლი, კარი, საფლავი, მიწა დატოვა, მათთვის ბედნიერი ცხოვრება შეუძლებელია გაგრძელდეს.

2008 წლის ომმა და კოდორის ხეობის საბოლოოდ დაკარგვამ ყველა იმედი წამართვა. საკუთარი

თავი გამოუსწორებელი ოპტიმისტი მეგონა, მაგრამ დღეს უიმედოდ ვარ. რაღაცნაირად ვგრძნობ, რომ ძალიან დაგვაცლიეს აფხაზეთს. მომავალი თაობისთვის, რომელსაც აფხაზეთი არ ახსოვს, არაფერს ვაკეთებთ, ამ კუთხის სიყვარული რომ ჩავუნერგოთ. სოხუმი ზავის დადების გამოცხადების შემდეგ დაეცა. ძალიან ბევრ ანალიზს ვაკეთებ, სულ ამაზე ვფიქრობ. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მთლად ასეც არ იყო, რომ საზავო ხელშეკრულება აფხაზეთმა დაარღვიეს. ვფიქრობ, სოხუმის დაცემის სცენარი ოქანის გაღმა დაინერა, თავიდანვე იცოდნენ, რაც უნდა მომხდარიყო.

ყველა ჩვენი პირველი პირი აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას დიდი ენთუზიაზმით იწყებდა, მაგრამ, როდესაც იმ ქვაბში ჩაიხედავდნენ, რომელშიც ეს ამბავი იხარშება, იმედი ეწურებოდათ. ახალი მთავრობისა და ივანიშვილის მაგალითიც ამის ნათელი დასტურია. ერთი წლის თავზე პირველი პირი ამბობს, რომ მიდის ხელისუფლებიდან, ის ვერ აპყვა





დიდ და ბინძურ პოლიტიკას. ჩვენ არ გვყავს საერთაშორისო მეგობრები. იმ გულით, რა გულითაც ჩვენ, დევნილები, ვართ და იმ შემართებით, როგორითაც გვინდა, რომ საქმე წინ წავიდეს, არავინ გაგვაკეთებინებს, ამიტომ ჩვენი მხრიდან ნებისმიერი მცდელობა, მხოლოდ თავის მოტყუებაა.

მელორ სტურუას ძმა რომ გარდაეცვალა, ჩამოვიდა და კარგად მახსოვს, რა უპასუხა კორესპონდენტს შეკითხვაზე, თუ რას ფიქრობდნენ ჩვენზე ამერიკაში. **„არასოდეს იფიქროთ, რომ ვინმეს საპარტიველოს წინ წასვლა უნდოდეს და ახარებდეს. ეს ჩვენ თვითონ უნდა გააკეთოთ“**, — განაცხადა მან.

სოხუმის დაცემამდე ბევრი რამ გადავიტანეთ. ჩემი ბატალიონი ტყვარჩელის მისადგომებთან იდგა, გადაწყდა, რომ აღმოსავლეთის ფრონტი არ უნდა გახსნილიყო, ამისთვის სამთო ბატალიონი შეიქმნა, რომლის ხელმძღვანელადაც მე დამნიშნეს. მანამდე ცხინვალის ომში ვიბრძოდი სახალხო ლაშქარში და იქიდან მიცნობდნენ.

შევკრიბე ჩემი ჯარი და წავედით ტყვარჩელისკენ. ომის დროს სიმალლის დაკავება ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია და ჩვენც მთაზე დავბანაკდით, შეტევა უნდა მოგვეგერიებინა, ამასობაში კი დამხმარე ძალაც მოვიდოდა. ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთეთ და დახმარებას ველოდით. ტყე-ღრეში 5-კილომეტრიანი საველე სატელეფონო ხაზიც გავიყვანეთ იმ საშინელ გზაზე. იმ ბრძოლაში გიორგი ბარამიძე გვახლდა, ძალიან მიკვირდა, რისთვის იყო წამოსული, **რაც მაშინ იმ მოხდა, თავისი თვალით ნახა, მაგრამ შემდეგ ხმაც არ ამოუღია**. დისლოკაციის ადგილამდე რომ მივედით, გია ვაშაკიძე და გია ბარამიძე უკან, ოჩამჩირეში, დაბრუნდნენ. ცუდი ამინდი იყო. როგორც კი გამოიღარა, შემოგვიტყეს, ჩვენც ბოლომდე ვიბრძოდით, ერთი ადამიანი მოგვიკლეს. გამთენიისას ვაშაკიძე კონტაქტზე გამოვიდა და მოგვიკითხა, მე მას მივანიშნე, რომ



დამხმარე ძალა გამოეგზავნათ, შეტაკება გრძელდებოდა. ჩვენ უკან არ ვიხევდით, იმათი მხრიდან 18 ადამიანი იყო მოკლული. მიცვალელები რომ ჩაჰყავდათ და ჩაჰყავდათ, იფიქრეს, დიდ ძალას ეომებოდნენ, პანიკაში იყვნენ. ეგონათ, სალამომდე ტყვარჩელს ავიღებდით.

ხალხი არ მყავდა, ინფორმაციას არ ვფლობდი, იქიდან თუ რა ძალა მეომებოდა, ამიტომ გარისკვა ცოტა გამიჭირდა, სალამომდე შტაბიდან პასუხს ველოდი, სალამოს კი დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ აეროდრომზე წავსულიყავი და ჯარი უკან, ოჩამჩირეში დამებრუნებინა. საშინელება იყო, კინალამ გავგიჟდი. ბიჭები იხსენებდნენ, კარვიდან რომ გამოხვედი, ისეთი სახე გქონდა, გვეგონა, გაგიჟდიო. ვაშაკიძეს ვუთხარი, — ხომ იცით, რა გადავიტანეთ, უკან დაბრუნებას როგორ გვიბრძანებთ-თქო; მან კი მიპასუხა, — რა ვქნა, ის ხდება, რისი ეჭვიც გვაქვსო. რალა მექნა, ბიჭებს ვუბრძანე, რომ ყველაფერი დაენვათ, ტყვია-წამლის გარდა, და აეროდრომისკენ წასულიყვნენ. ეს ჩემთვის სიკვდილის ტოლფასი იყო. ოჩამჩირემდე რომ ჩავალნიეთ, კიტოვანი დამხვდა, გამნარებულმა ვუთხარი: რას შვრებით, თქვენ ომის მოგება არ გინდათ და ბიჭებს ტყუილად მახოცინებთ, მე მივდივარ ჩემი ბატალიონით-თქო. მიპასუხა, კარგი, წადი, ოღონდ ტყვია-წამალი დატოვეო. არ-

აფერსაც არ დავტოვე და, თუ მაგარი ბიჭები ხართ, რომელიმე წინ დამიდექით-მეთქი, — ვუთხარი და გამოვედი. ბიჭები ჭუბერში, დისლოკაციის ადგილზე დავაბრუნე და მე სოხუმში წავედი.

ზაფხულში უკვე ზავი დაიდო. ძალიან ბედნიერები ვიყავით. ოჯახი თბილისში მყავდა გამოხიზნული და უკან დავაბრუნე, სექტემბერში სწავლა იწყებოდა. უცებ, სრულიად მოულოდნელად დამირეკეს და მითხრეს, რომ ზავი დაირღვა და ისევ ტყვარჩელის მიმართულებით უნდა დაბრუნდეთ. ხალხი უკვე კელასურში შემხვდა, დასახლებული პუნქტები იცლებოდა. ბოლო წუთებშიც არ მინდოდა დაჯერება იმისა, რაც ჩემ თვალწინ ხდებოდა — აფხაზეთს ვკარგავდით.

ბოლო წუთამდე ფრონტის ხაზზე ვიყავი, გადავრჩი, მაგრამ, სამწუხაროდ, ძმა დამეღუპა.

მერაბ ეშაძე:

— 25 სექტემბერს ხალხი პანიკამ მოიცვა: მონინალმდევე მხარემ ახალი იარაღის გამოცდა დაიწყო. აღმოჩნდა, რომ იგი ფალარათს იწვევდა. ამან შოკში ჩააგდო ხალხი. პანიკამ ჯარშიც არეულობა გამოიწვია. ფრონტის ხაზზე რომ ხარ და იცი, იქვე, რამდენიმე მეტრში, შენს ოჯახს საფრთხე ემუქრება, ბრძოლის უნარსაც კარგავ, წინა ხაზზე ვალარ ჩერდები. თან ჩვენ გაგრის დაცემის დროს ძალიან მწარე გამოცდილება გვქონდა მიღებული. 16

მარტს სოხუმი დავიცავით, დღევანდელ დღესავით მახსოვს, არა-ადამიანი შევარდნაძე ვახტანგ ქვარაიას რომ ელაპარაკებოდა (ყველაფერი მესმოდა). ტერიტორიები განალმულია, მტერი გარბის, შევეუტიოთო, — უთხრა ქვარაიამ, — დილით გაგრაში ვიქნებით და ყველაფერი დამთავრდებაო. შევარდნაძემ იუარა: გუდაუთაში ჩვენები რომ შევლენ, საშინელება მოხდება, ყველას ვილაც ჰყავს დალუპული და ხორცსაკეპში გაგვატარებენ, არ გვაპატიებენო. ეს მომენტი რომ არ გამოვიყენეთ, ზუსტად იმის პასუხი იყო ის, რაც მოგვიანებით სოხუმში მოხდა. მას შემდეგ ექვსი თვე გავიდა, ზუსტად ეს დრო სჭირდება ჯარის რეაბილიტაციას, მათ ეს დრო კარგად გამოიყენეს.



გაეროს სამხედრო დამკვირვებელმა, გენერალმა კოსტროვმა, ვიდრე სოხუმის ბრძოლა მოხდებოდა, მოიწონა ჩვენი საბრძოლო გეგმა. „არ ვიცი, ვინ დაგეგმა, მაგრამ ასიათასიანი ჯარიც კი ვერ აიღებს სოხუმს, მთავარია იყოს ჭურვები და სათანადო შეიარაღებაო“, — აღნიშნა მან. რა მოხდა ზავის დადებით, ჩვენი არტილერია მოაშორეს, **კლინ ზატვორები** ახსნეს (ეს არის ზარბაზნის ისეთი დეტალი, რომლის შეცვლაც შეუძლებელია, ყველას თავისი აქვს, ბრძოლა რომ დაიწყოს, მერე მოგვიტანეს და დაგვიყარეს, მაგრამ იქ შეუძლებელი იყო, მოგეძებნა რომელი რომლის კლინ ზატვორები იყო. ასე რომ, ვერაფერში ვეღარ გამოვიყენეთ), არადა, როგორი მომზადებულები ვიყავით...

14 სექტემბერს ინტენსიური ბრძოლები რომ დაიწყო, არაფრისთვის მზად აღარ ვიყავით. ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში მიედინებოდა, სროლები რომ ატყდა. შევარდნაძემ დაიჩემა, ზავია დადებული, იარაღი ჩააბარეთ და ბავშვები სასწავლებლად გაუშვიოთო. თურმე წინ საშინელება გველოდებოდა და ჩვენ კი აზრზეც არ ვიყავით.

ბრძოლა დაიწყო, ჩვენ არ გვქონდა ჭურვები, არტილერია არ მუშაობდა, აღარფერი გვქონდა.

ამის მიუხედავად, მაინც ბოლო წუთამდე ვიბრძოდით. ხშირად ამბობენ, სოხუმი 300 ადამიანმა აიღო, ეს ტყუილია. ჩვენს მხარეს, ერთი ადიღელი იბრძოდა, ის ამბობდა, რომ მოწინააღმდეგე მხარეს ხუთი ათასი მარტო ადიღელი იბრძვისო. ყველა მხრიდან გვიტყვდნენ, ერთი ზარბაზნი იბრძოდა, ლულა სულ განითლებული იყო, 25-26-ში აღარაფერი აღარ გვქონდა, გამოგველია, არც შევსების საშუალება იყო სადმედან... ყველა გზა მოგვიჭრეს. დღემდე მიკვირს, 10 დღე როგორ გავუძელით შეტევას. 2008-ში კი იმ შეიარაღების პირობებში, რომელიც დღეს ქართულ ჯარს აქვს, ხუთი დღე ვერ იომეს, ჩემთვის ამის გაგება კატასტროფა იყო.

იმ დღის შემდეგ სულ ვფიქრობ: უფრო მეტის გაკეთება ხომ არ შეგვეძლო-მეთქი, მაგრამ არა, იმ რესურსებით, რომლებიც ჩვენ ბოლოს გვქონდა, მეტი არაფრის გაკეთება აღარ შეგვეძლო. ხალხს უკვირდა, როგორ გადავრჩით.

20 წელი გავიდა და ჩემი თვალებიდან არ ამოდის ის სურათი, მთაზე მდგომმა უკან რომ მივიხედე და დავინახე, სოხუმს კვამლი როგორ ასდიოდა.

ზია ურიდია:

— 1993 წლის 25 სექტემბერს მთელი ქალაქი, პრაქტიკულად, ალყაში იყო მოქცეული. ზაფხულში აფხაზეთის მთავრობასთან ზავი დაინდო, ამიტომ ომის მოლოდინი აღარ იყო. შევარდნაძემ გამოაცხადა, რომ სწავლა ჩეულებრივად 1 სექტემბერს დაწყებულიყო. სწავლაც დაიწყო და თითქოს ყველაფერი დამშვიდდა. მაგრამ სწორედ ამ დროს მოწინააღმდეგე მხარემ ბრძოლა დაიწყო, ჩვენ მზად არ ვიყავით. პირადად მე ლექციას ვკითხულობდი იმ დროს.

საერთოდ, ამ ომში საოცარი ვითარება იყო, ავიღებდით რალაც ტერიტორიის, ბრძოლას მოვიგებდით და მერე გაურკვეველი მიზეზით უკან გვაბრუნებდნენ.

ჩაიწერა
იკა ნასყილაშვილი

P.S. ჩემ წინ ხანშიშესული, ძლიერი, ნაბრძოლი მამაკაცები თვალცრემლიანნი იდგნენ, ცდილობდნენ ემოციების მოთოკვას — ერიდებოდით, სისუსტის გამოვლინებად არ ჩათვლოდით გულწრფელი ცრემლი, თითქოს თავსაც იმართლებდნენ იმის გამო, რომ ვერ დაიცვეს მშობლიური მიწა, „ვერ შეუნახეს შვილებსა“... და რომ ამაოდ გაინირა არაერთი ლამაზი სიცოცხლეც. თუმცა ერთი წუთით ისიც მომეჩვენა, რომ საომრადაც მზად არიან, ეს დღე თუ ოდესმე დადგება, უკან არც ერთი მათგანი არ დაიხვეს!



ალექსანდრა კონსტანტინეს ქე შერვაშიქე

ფერმწერი, გრაფიკოსი, სცენოგრაფი, კრიტიკოსი, აფხაზეთის მთავართა პირდაპირი მემკვიდრე — ალექსანდრე კონსტანტინეს ქე შერვაშიქე დაიბადა 1867 წლის 24 დეკემბერს ფეოდოსიაში.

მამამისი, კონსტანტინე გიორგის ქე შერვაშიქე, ქართველი თავადაზნაურობის 1832 წლის შეთქმულების მონაწილე იყო, შეთქმულების გამოაშკარაებისა და მონაწილეთა დასჯის შემდეგ კონსტანტინე გიორგის ქე შერვაშიქეს აეკრძალა კავკასიაში ცხოვრება. იგი აღმოჩნდა ყირიმში, სადაც შეეძინა უფროსი შვილი ალექსანდრე. მან ნიჟეგოროდის კადეტთა კორპუსი დაამთავრა, მაგრამ სამხედრო კარიერაზე იმთავითვე უარი თქვა. 1895 წელს მოსკოვის ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების უმაღლესი სასწავლებელი დაასრულა; 1895-99 წლებში პარიზის „რუსული მხატვრული წრის“ წევრი და მიმდინარეობა „ხელოვნების სამყაროს“ („Мир искусство“) მონაწილეა. 1906 წელს პარიზში რუსი მხატვრების ნამუშევრების გამოფენის მოწყობაში აქტიურად მონაწილეობდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში ალექსანდრე შერვაშიქე ერთ-ერთ თვალსაჩინო სცენოგრაფად ითვლებოდა რუსეთში; მუშაობდა პეტერბურგის საიმპერატორო თეატრში; მოღვაწეობდა იმ დროის გამოჩენილ რუს და უცხოელ ოსტატებთან ერთად, როგორებიც არიან: ა. ბენუა, ვ. სეროვი, ნ. რერიხი, პ. პი-

კასო, ა. დერენომი. 1918-20 წლებში მისი თაოსნობით სოხუმში დაარსდა თეატრალური საზოგადოება და სამხატვრო სტუდია, რომელშიც ის პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. რუსეთის საზღვრებს გარეთ ის აღმოჩნდა 1920 წლის შემდეგ, როდესაც მიიწვია „დიაგილევის რუსული საბალეტო დასის“ ხელმძღვანელმა. 1922-46 წლებში უცხოეთში გააფორმა სპექტაკლები: ჯორჯ ბალანჩინის „ნეპტუნის ტრიუმფი“ — ლონდონში, ბეთჰოვენის „პრომეთე“ — პარიზში და სხვ. აღსანიშნავია მისი მონაწილეობით ფრანგული საბალეტო დასის მიერ დადგმული ბალეტი „შოთა რუსთაველი“ მონტე-კარლოში, რომელიც გაზეთ „ქართული საქმის“ მხარდასაჭერად განხორციელდა. ეს იყო ნიკოლას ევრეინოვისა და სერჟ ლიფარის ოთხაქტიანი ქორეოგრაფიული ეპოპეა „შოთა რუსთაველი“ პოემა „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით (მუსიკა — ბ. ბ. ონეგერის, ჩერეპნინისა და არსანის; ფარდა, დეკორაცია და კოსტიუმები — პრინც ალექსანდრე შერვაშიქისა და ს. ნეპოკოიტიჩისტიკისა). **ალექსანდრა შერვაშიქე მემოზრობდა პიკასოსთან, ბრაქთან, დეკანთან. სამართლიანად ითვლებოდა დია-**




ალექსანდრა შერვაშიქის პორტრეტი, ვლ. როსინსკის ნახატი

ბილავის მრავალი ჩანაფიქრის თანაავტორად.

მისი, როგორც კრიტიკოსის, კალამს, ეკუთვნის სტატიები პოლ სეზანზე, ვინსენტ ვან გოგზე, ალექსანდრე ბენუაზე. 1958 წელს ალექსანდრე შერვაშიქემ, მატერიალური სიდუხჭირის მიუხედავად, უარი თქვა, ფული აეღო თავის ნამუშევრებში და ისინი უსასყიდლოდ გამოაგზავნა სამშობლოში. ნამუშევრების ძირითადი ნაწილი მხატვარმა გადასცა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს და სოხუმის სურათების გალერეას. სხვა ცნობილი ადამიანების პორტრეტების გარდა, მის კალამს ეკუთვნის თამარ თუმანიშვილის პორტრეტიც.

1985 წელს თბილისში მოეწყო ალექსანდრე შერვაშიქის ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა. იგი 1968 წლის 17 აგვისტოს 101 წლის ასაკში გარდაიცვალა მონტე-კარლოში. მხატვარი დაკრძალეს ქალაქ ნიცაში. 1985 წელს ნეშტი გადმოასვენეს სამშობლოში და დაკრძალეს სოხუმში.

დია სვანიძე



დავით იაკობაშვილი:

«ნაციონალს», ისევე, როგორც გერმანელ ფაშისტებს, ფსიქიკა აქვთ მონაგული!

— არა, არა! არავითარი კავშირი არ მაქვს „ნაციონალ“ თეზურ იაკობაშვილთან და არც მოსკოველ მილიარდერ დავით იაკობაშვილთან. მე ქართველი იაკობაშვილი ვარ!

— მილიმის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა თბილისის საქალაქო კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, 89 წლის დავით იაკობაშვილი.

ჩემი მასპინძელი საჩხერის რაიონის სოფელ ჩიხაში 1923 წლის 14 ოქტომბერს დაიბადა, კონსტანტინე იაკობაშვილის, მრავალშვილიანი გლეხის ოჯახში. დედა — მარიამი აკაკის სოფლიდან — სხვიტორიდან იყო და, რა თქმა უნდა, კარგად ახსოვდა გენიალური პოეტი და ისიც, თუ როგორ შემოიკრეფდა სანდომიანი მოხუცი ბავშვებს და მოძღვრავდა: „ისწავლეთ, შვილებო, ისწავლეთ! ამაზე დიდ სიმდიდრეს ვერ მოიპოვებთ!“



— მშობლებმა შვიდი შვილი გაგვზარდეს, — **ისხენებს ბატონი დავითი**, — ერთი და (ყველაზე უფროსი) და ექვსი ძმა! კოლმეურნეობის ჩამოყალიბებამდე ძალიან ხელმოკლედ ვცხოვრობდით, მაგრამ, როგორც კი წამოვიზარდეთ, შრომაში ჩავებით.

დავითი ჯერ სოფლის სკოლაში სწავლობდა, შემდეგ კი საჩხერის მეორე საშუალო სკოლაში გადავიდა, რომელიც 1941 წელს დაამთავრა.

— სკოლის დამთავრებისთანავე ომიც გამოცხადდა! კლასში თორმეტი ბიჭი ვიყავით და თორმეტივემ დავიფიცეთ, რომ ერთად წავიდოდით მოხალისეებად ფრონტზე, მივედით სამხედრო კომისარიატში, მაგრამ კომისარმა გვითხრა: ჯარში შემოდგომაზე გაგინვევთ და ნუ ჩქარობთ.

დამეთანხმებით, დღეს, დასავლური „რაციონალიზმის“ ეპოქაში, თორმეტი ბიჭის ამგვარი პატრიოტიზმი მავანს, შესაძლოა, სისულელედ მოეჩვენოს...

— ასეთი თავგანწირვა იმ უდიდესი აღმზრდელობითი მუშაობის შედეგი იყო, რომელიც მაშინ

ყველგან ტარდებოდა და იძლეოდა პატიოსნების მაგალითს. განსაკუთრებით დიდ ზეგავლენას ჩვენზე ახდენდა მშობლების დარიგება: შრომა გიყვარდეთ და პატიოსნად ემსახურეთ ხალხსო! სხვის ქონებაზე ხელი არასდროს წაგიცდეთ! ვაშლი რომ ვაშლია სხვისი, ისიც არ ვნახოთ ჩვენს სახლში მოტანილი, ყველაფერს გაპატიებთ, ქურდობის გარდაო.

ბატონმა დავითმა, კიდევ ერთი საყურადღებო ამბავი გაიხსენა.

— 1934 წელს კიროვი რომ მოკლეს, სახელმწიფომ სამკერდე ნიშნები დაამზადა მისი გამოსახულებით. ერთი ცალი ჩემს სკოლას გამოუყვეს და ისიც მე მომცეს. სიხარულისგან მთელი ქვეყანა ჩემი მეგონა!

— რატომ მაინც და მაინც თქვენ?

— ყველაზე კარგად ვსწავლობდი!

აქ გავუსწრებ მოვლენებს და მკითხველს გასაოცარ ფაქტს მოვახსენებ: 1946-1950 წლებში თბილისში დავით იაკობაშვილი ერთდროულად სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსი-

ტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რესპუბლიკის უმაღლეს პარტიულ სკოლაში და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სადაც მეღვინისა და მევენახის სპეციალობებს ეუფლებოდა.

— ერთხელ შევედი უნივერსიტეტის რექტორთან, დიდებულ პიროვნებასთან, აკადემიკოს ნიკო კეცხოველთან თხოვნით, რომ ორი წლის პროგრამა ჩამეზარებინა ერთ წელიწადში. „კი, შვილო, — გადამეხვია ბატონი ნიკო, — ნაომარ კაცს უარს როგორ გეტყვიო!“

მაბრამ ჯერ იყო მოსკოში, მტარი მოსკოვს უახლოვდებოდა

— დედაქალაქის დასაცავად ქვეყნის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, შეექმნა ეროვნული საჯარისო დანაყოფები ხუთ-ხუთი ათასი კაცის შემადგენლობით. მაგრამ თავდაპირველი ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა, რადგან მეთაურთა რაოდენობა ეროვნუ-



ლი ნაწილებისთვის არ აღმოჩნდა საკმარისი; ამის გამო, ჩვეულებრივ საჯარისო ნაწილებში გაგვანაწილეს.

მოსკოვის დამცველთა ქვედანაყოფებს შეძლებისდაგვარად აკომპლექტებდნენ კომუნისტებისგან და კომკავშირელებისგან.

— ყოველდღე ველოდი განვევას და ეს დღეც დადგა! ოქტომბერში ხუთი ათასი ქართველი მეზრძოლი ჩაგვსვეს ემელონებში და მოსკოვისკენ დავიძარით. არ მისული დედაქალაქამდე, გაეჩერდით ქალაქ კაშირაში. ჩაგვაცვეს სამხედრო ფორმა, გვასადილეს და ორი დღე დაგვასვენეს. მერე გადაგვიყვანეს სადგურ ფილიში. იქ ძალზე სერიოზული სამსუბრო და ტაქტიკური წვრთნები მიმდინარეობდა; გვასწავლიდნენ ყველა სახეობის იარაღის, მათ შორის, ყველა უცხო ქვეყნის იარაღის ხმარებას.

— ეს რისთვისაა იყო საჭირო?

— ბრძოლის ველზე, რა იარაღიც ხელში ჩაგვივარდებოდა, იმითაც უნდა გვეომა!

ნოემბრის ბოლოს დავით იაკობაშვილის ნაწილი გადაიყვანეს 21-ე გვარდიის ბრიგადის შემადგენლობაში.

— აქ მე გამანაწილეს ნალმტყორცნთა დივიზიონში და ბრძოლებში ჩავებით მოჟაისკისა და ნარო-ფომინსკის მიმართულებით.

ვეტერანი დღემდე აღტაცებით ყვება მოსკოველებზე, რომლებმაც განსაცვიფრებელი გმირობა აჩვენეს.

— მოსკოვი არამხოლოდ იბრ-

ძოდა, არამედ მისი ქარხნები საბრძოლო იარაღსაც უშვებდა. ღამ-ღამობით, სულ ცოტა, ათჯერ მაინც ცხადდებოდა საჰაერო განგაში. მთელი მოსახლეობა ფეხზე იდგა! ფაბრიკა-ქარხნებში შეიქმნა მუშათა შეიარაღებული რაზმები, ხოლო ქალებისგან და მოზარდებისგან კომპლექტდებოდა ხანძარსანინაალმდეგო ჯგუფები! მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: პირადად მე მოსახლეობაში პანიკური განწყობილება არ შემიმჩნევია!

მოსკოვის მისადგომებთან კი მიმდინარეობდა ღია სატანკო ბრძოლები, საარტილერიო სროლები, საავიაციო თავდასხმების მოგერიება...

1941 წლის 7 ნოემბრის სამხედრო პარადი

— წინა დღით, ღამის თორმეტ საათზე ჩამოგვართვეს საბრძოლო ვაზნები და ხელყუმბარები. არავინ ვიცოდით, რისთვის გააკეთეს ეს. გარიჟრაჟზე ჩაგვსვეს სატვირთო მანქანებში და ქალაქის ცენტრისკენ ავიღეთ გეზი. ჩამოგვსვეს გორკის ქუჩაზე და, რომ დავინახეთ, თუ როგორ მიდიოდნენ უწყვეტ ნაკადად სამხედრო კოლონები წითელი მოედნისკენ, მივხვდით, რომ ისტორიული პარადის მონაწილეობა გვარგუნა ღმერთმა! სუსხიანი ამინდი იყო, ყინვა 40 გრადუსს აღწევდა, მაგრამ მას საერთოდ ვერ ვგრძნობდით!

— ბატონო დავით, ერთი წუ-

თით ე. წ. ლიბერალის „ქურქს“ მოვირგებ და შეგეკითხებით: რა საჭირო იყო პარადის ჩატარება, თანაც ასეთ ყინვაში? ხომ შეიძლებოდა, სურდო ან ფილტვების ანთება დაგმართნოდათ?

— პარადის ჩატარება გამარჯვების ნიშანია, — **ცდილობს, მაგრამ ვერ ფარავს ღიმილს ვეტერანი.** — მავზოლეუმის ტრიბუნაზე სტალინი რომ დავინახეთ, სუყველას თითქოს ფრთები გამოგვესხა!

— მავზოლეუმს რა მანძილზე ჩაურეთ?

— კოლონები 20-30-რიგიანი იყო. მე ოცრიგიაში მეოცე ვიდექი, ანუ ყველაზე ახლოს ვიყავი მავზოლეუმთან. ჩემგან სტალინამდე დაახლოებით 50 მეტრი იყო!


— უმაღლესმა მთავარსარდალმა აღლუმის დაწყებამდე სიტყვით თუ მიმართა ჯარს?

— არა! სტალინი კოლონების მსვლელობისას ლაპარაკობდა. მისი გამოსვლის ნაწილს მეც მოვუსმინე. კარგად გვესმოდა ყოველი მისი სიტყვა, რადგან მთელი მოედანი რადიოფიცირებული იყო! ისე, დიდებული სანახაობა ვიხილე! ცაში „ეკიდა“ აეროსტატები, დროდადრო სამასმეტრიან სიმაღლეზე გაიფრებდნენ ავიაგამანადგურებლები.

სტალინბრადი

1942 წლის ივნისის ბოლოს დავით იაკობაშვილის ნაწილი გადაისროლეს სტალინგრადის ფრონტზე.

— ჩამოვედით და ვოლგის მარცხენა ნაპირზე განვლაგდით, სტალინგრადის აღმოსავლეთით. ქალაქი არ ჩანდა, რადგან კვამლში იყო გახვეული. ბრძოლები 24 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. მინაზე რიგრიგობით გვეძინა! ვოლგა დულდა! გერმანელები ბომბებს რომ ყრიდნენ, წყალს უამრავი დახოცილი თევზი გამოჰქონდა, მათ შორის, ზუთხი, ლოქო, ქორჭილა... ვხუმრობდით, რომ გერმანელები დელიკატესებით გვანებივრებენ-თქო.





ფეხოსან დავით იაკობაშვილს ყველაზე მეტად საჭაერო ბრძოლები დაამახსოვრდა. მარტო მას საკუთარი თვალთ უნახავს ექვსი „ტარანი“, რომლებიც საბჭოთა მფრინავებმა განახორციელეს.

— სტალინგრადის ცაში ჩვენი ავიაცია უკვე ამკარად სჯაბნიდა გერმანულს. ჩვენი გმირი ბიჭები ქორებივით დაფრინავდნენ და ისეთი შეგრძნება გეუფლებოდა, რომ მათთვის სიკვდილი აღარაფერს ნიშნავდა! დიდი ხნის შემდეგ გავიგე, რომ სტალინგრადის ცაში ვასილი, სტალინის ვაჟი, იბრძოდა!

მთელი ივლისი, აგვისტო, სექტემბერი და ოქტომბერი დაჰყო სტალინგრადში რიგითმა იაკობაშვილმა.

— გერმანელები გროზნოს რომ მიადგნენ, სარდლობამ ჩვენი ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიაში გადაიყვანა.

ნალჩიკი, მინერალური წყლები, ესენტუკი, გიორგიევსკი, მოზდოკი, მალგობეკი — აი, არასრული სია იმ ქალაქებისა და მსხვილი დასახლებული პუნქტებისა, რომელთა განთავისუფლებაში მონაწილეობდა რიგითი იაკობაშვილი.

მისთვის ომი 1943 წლის დეკემბერში დასრულდა. დავით იაკობაშვილმა მესამე ჭრილობა მიიღო მარჯვენა მკლავის არეში, რის გამოც გახდა მეორე ჯგუფის ინვალიდი და სამხედრო სამსახურიდან დაითხოვეს. არადა, ჭრილობის მიღებამდე ორი თვით ადრე იგი ასრულებდა დივიზიონის უფროსის მოადგილის მოვალეობას პოლიტდარგში და წა-

რადგინეს კიდევ უფროსი ლეიტენანტის წოდებაზე.

ომის შემდგომი პერიოდი დავით იაკობაშვილისთვის უფრო ილბიანი აღმოჩნდა. მუშაობდა კოლმეურნეობაში, მასწავლებლად — სოფლის სკოლაში. იმყოფებოდა საპასუხისმგებლო პარტიულ და სამეურნეო თანამდებობებზე. დაოჯახდა, გაზარდა სამი ქალიშვილი და დღეს ოთხი შვილიშვილის ბაბუაა.

— მაქვს პენსია 128 ლარის ოდენობით, რომელიც გახარჯული ელექტროენერჯიის საფასურსაც ვერ ფარავს. ნამლებიც ძალიან ძვირია.

— რამდენი გქონდათ პენსია კომუნისტების დროს?

— 1200 მანეთი! ერთხელ დავითვალე და აღმოვაჩინე, რომ მაგ თანხით მაშინ ვიყიდდი 600 კილოგრამ ყველს ან 400 კილოგრამ ხორცს! (იციინის)

ბატონი დავითი ძალიან განიცდის დღევანდელ პოლიტიკურ და სოციალურ არეულობას. გულწრფელად არ ესმის, რატომ არ სჯიან დანაშაულებით დამძიმებულ „ნაციონალებს“. ასევე, აღელვებს, რომ საქართველოს საზღვრები ყველასთვის გახსნილია.

— მე არ ვარ რასისტი, რადგან ვებრძოდი რასიზმის უკიდურეს ფორმას — ფაშიზმს, მაგრამ თბილისი გაივსო ჩინელებით, ზანგებით, ინდოელებით, ფილიპინელებით, ლტოლვილებით ეგვიპტიდან, ლიბიიდან და ა. შ. კაცო, არ გეყოფა, რომ საქართველოს მოსახლეობის ყოველდღიურ გაჭირვებას მანახებ და ახლა კიდევ სხვის უბედურებას მიმატებ?! ერთხელ მეტრო „რუსთაველთან“ ახალგაზრდა ზანგი ვნახე, რომელიც მათხოვრობდა და ქართულ ენაზე დახმარებას გვთხოვდა!.. ჩვენ თავად ღარიბები ვართ და ეს მდიდარი დემოკრატიული ევროპა და ამერიკა რას გვიგზავნის ამ საცოდავებს?! ნაიყვანონ და თავად მიხედონ!

ვეტერანს ასევე გულს ტკენს სტალინის აღვირახსნილი ლანძღვა-გინება.

— როგორ შეიძლება სტალინისა და ჰიტლერის გაიგივება?! მე ჩემი თვალთ ვნახე ის საშინელებები, რომელთაც ფაშისტები სჩადიოდნენ. მე მინახავს გერმანული სულსახუთავი ავტომანქანები ჩრდილოეთ კავკასიაში. იქ ხალხი შეჰყავდათ, სვავათა შორის, მშვიდობიანი მოსახლეობა და გაზს უშვებდნენ... ერთი ასეთი სულსახუთავის კარის გახსნაც მომიწია... კრასნოდარს რომ მივუახლოვდით, მოხუცი ქალი გზაზე გადავიდდა და მიგვითითა ადგილი, სადაც, მისი თქმით, 22 ბავშვი ტუბსანატორიუმიდან გერმანელებმა ცოცხლად დამარხეს... ამოთხრილებიდან მხოლოდ ორი ბავშვის გადარჩენა მოვახერხეთ. როდესაც ერთი ჯალათი ხელთ ვიგდეთ და შევეკითხეთ, რატომ ჩაიდინეს ეს საშინელება, მშვიდად გვიპასუხა: ჭლექიანები იყვნენ და მაინც მოკვდებოდნენ... მაგ არაადამიანებს ფსიქიკა ისეთივე მონამლული ჰქონდათ, როგორც დღეს „ნაციონალებს“!


— რა უყავით იმ ტყვეს?

— გადავეციოთ სათანადო ორგანოებს, რადგან ტყვის თვითგასამართლება, მის მიმართ ჩადენილი სისასტიკე ჩვენი სარდლობის მიერ უმკაცრესად ისჯებოდა!

რიგითი დავით იაკობაშვილი დღესაც მწყობრშია. ვეტერანთა კავშირი უამრავი საქმითაა დაკავებული და ეს შრომა უხანგრძლივებს სიცოცხლეს.

— ვეტერანებს შორის ბევრი მარტოხელაა და შეძლებისდაგვარად ვცდილობთ, დავეხმაროთ. უმეტეს შემთხვევაში ჩვენ ამას ვახერხებთ.


ესაუბრა ბიორბი კორაკაძე





ნიკო ნიკოლაძე ქართული სახელმწიფოს გონივრულად მოწყობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნების თაობაზე

„საზოგადოების კეთილდღეობა შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ ერთდროული და მრავალმხრივი განვითარებით ყველა იმ ელემენტებისა, რომელთაგან შედგება ხალხის ცხოვრება“.
ნიკო ნიკოლაძე



ახლახან გამოვიდა პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის, სრული პროფესორის ვაჟა შუბინიძის მონოგრაფია „ნიკო ნიკოლაძე კაცი-სახელმწიფო“. მასში ახლებურად და ორიგინალურადაა გააზრებული ორი საუკუნის გენიოსის, უდიდესი ქართველი მოაზროვნის, ნიკო ნიკოლაძის, სოციალ-პოლიტიკური, ეკონომიკური და ფილოსოფიური თვალთახედვა, წარმოჩენილია ის დიდი თეორიული და პრაქტიკული სამუშაო, რომელიც მან გასწია საქართველოს ასაღორძინებლად, ჩვენი ქვეყნის გასათანამედროვეებლად, მისი დამოუკიდებლობისა და სამომავლო განვითარების შესამზადებლად. აქვე გთავაზობთ ამონარიდს ამ ნაშრომიდან, რომელიც შეეხება ნიკო ნიკოლაძის ხედვას ქართული სახელმწიფოს გონივრულად მოწყობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნების თაობაზე.

ნიკო ნიკოლაძემ დასვა და გადამწყვიტა რამდენიმე კონცეპტუალური პრობლემა, რომელიც ქართული სახელმწიფოს გონივრულ მოწყობას შეეხება, ისევე, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გარდაქმნებს ამა თუ იმ ქვეყანაში. მისი ეს ნააზრევი ძალზე ძვირფასია გარდამავალ პერიოდში მყოფი დამოუკიდებელი საქართველოსთვის, რომელიც ავტოკრატიული რეჟიმიდან დემოკრატიაზე გადასვლას ცდილობს.

ქვეყნის გონიერი ორგანიზაციის ალფად და ომეგად ნიკო ნიკოლაძე თვლიდა ისეთი მმართველობისა და საარჩევნო სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის მართვაში ყველაზე ნიჭიერი, მომზადებული და პატიოსანი ადამიანების მონაწილეობას: „სა-

ზოგადოების მომზადების მთელი ძალა, — წერდა ის, — მისი გონიერი ორგანიზაციაა, რათა თავისი საქმის სათავეში დააყენოს ისეთი ადამიანები, რომლებსაც შესწევთ უნარი, სათანადო მიმართულება მისცენ მას. ყველა თანამდებობაზე ისეთი პიროვნების არჩევა, რომელიც შეეფერება მიზანს, ღირსეული, უნარიანი ადამიანების წინ წამოწევა — აი, საზოგადოებრივი მზადების ალფა და ომეგა, აი, რის განსხვავდება გონიერი საზოგადოება ცხვრის ფარისგან, რომელთა წარმომადგენლები და გზის მაჩვენებლები არიან პირველივე შემხვედრი თხები“.

ნიკო ნიკოლაძე სახელმწიფოს გონიერი ორგანიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად თვლიდა ხალხისთ-

ვის ინიციატივის მიცემას, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების პოტენციალის, ენთუზიზმის წარმოჩენას და მის მიერ გარკვეული ტვირთის საკუთარ თავზე აღებას, მისადმი ნდობის გამოვლენას:

„ცივილიზატორული მნიშვნელობის საკითხებში ყველა, თვითონ ჩვენი მოსახლეობის ჩამორჩენილი ელემენტებიც კი, ერთსულოვნად მზად არიან, აიტანონ ყოველგვარი სიმძიმე და მსხვერპლი... საკმარისია, ჩვენს ხალხს მივცეთ ინიციატივა ნამდვილი და თვალსაჩინო პროგრესისკენ და ამ საქმის ინიციატორი არა თუ უაზრო წინააღმდეგობას არ წააწყდება „ბრბოსაგან“, არამედ ყველგან იგრძნობს მხარდაჭერას და დახმარებას“.

ნიკო ნიკოლაძე სახელმწიფოს



გონიერი ორგანიზაციის აუცილებელ ელემენტად თვლიდა ეროვნული და სახელმწიფო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭებას (პრიმატს) პარტიულ, ჯგუფურ და ელიტის ინტერესებთან შედარებით. განვლილმა ასწლეულმა აჩვენა, რომ დღემდე ეს ვერ შეძლო ვერც ერთმა ქართულმა ხელისუფლებამ — ვერც ყორდანიასი, ვერც ბოლშევიკების, ვერც გამსახურდიასი, ვერც შევარდნაძის და ვერც სააკაშვილის. ყველა მათგანმა საბოლოოდ უპირატესობა მიანიჭა პარტიულ პროგრამებს სახელმწიფო ინტერესებთან შედარებით.

ნიკოლაძე სწორად თვლიდა, რომ სახელმწიფო და ეროვნული ინტერესები ყველაზე მაღალ უნდა იდგას. ამის მაგალითად იგი ასახელებდა ინგლისს: „ვიგები და ტორები ადვილი შესაძლებელია ასჯერ შეიცვალონ ბრიტანეთის მთავრობის საჭესთან, მაგრამ ინგლისის ინტერესები ამით ოდნავადაც არ შეიცვლება და მისი უდიდებულესობის, ბრიტანეთის დედოფლის კონსერვატიული თუ ლიბერალური მთავრობების მთელი ძალისხმევა მუდამ ერთი მიზნისკენ იქნება მიმართული: რაც შეიძლება უკეთესად დააკმაყოფილოს ქვეყნის ინტერესები — ამას გვიდასტურებს თავად ინგლისის ისტორია — ყოველთვის კეთდება ის, რაც სასარგებლო იყო ქვეყნისთვის და არავითარი ყურადღება არ ექცეოდა არც მორალსა და არც გუშინდელ თუ გუშინდელ პოლიტიკურ დეკლარაციებს. ნიკო ნიკოლაძის ეს თვალსაზრისი გარკვეულწილად ეხმაურება დიდი

იტალიელის ნიკოლო მაკიაველის ბრწყინვალე შეგონებას: **„როდესაც საქმე სამშობლოს ინტერესებს ეხება, თავი შეიკავეთ იმაზე მსჯელობისგან — სამართლიანია ეს გადაწყვეტილება თუ უსამართლო, ლმობიერი თუ სასტიკი, საქებადია თუ საძრახისი. ანგარიში არ უნდა გაუწიოთ არავითარ თვალსაზრისს (მათ შორის მერაბ მამარდაშვილის „სამართლიანობა სამშობლოზე მაღლა დგასო“ — ვ.შ.) და მივიღოთ მხოლოდ ის გადაწყვეტილება, რომელიც ხელს უწყობს მისი არსებობისა და თავისუფლების შენარჩუნებას.“**


სახელმწიფოს გონივრულად მოწყობის ერთ-ერთი მეთაურად ნიკო ნიკოლაძე თვლიდა ისეთი დემოკრატიული მეთაურების და სისტემის შექმნას, რომელთა დროს ქვეყნის მეთაურზე, მმართველზე (ცუდი იქნებოდა ის თუ კარგი და ნიჭიერი) მთლიანად არ იქნებოდა დამყარებული სახელმწიფოს მომავალი. მას მაგალითად მოჰყავდა საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIII, რომელსაც ის უწოდებდა უსუსურს, უხეიროს და ჯაგლაგს, მაგრამ მან ბევრი ვერაფერი ავნო ქვეყანას, რადგან საფრანგეთს მეტ-ნაკლებად უფლებრივი სისტემა და კანონ-სამართალი განაგებდა და არა მხოლოდ ის. ვიდრე ეს სისტემა არ აშენდებოდა ქვეყანაში, მანამ ამ სახელმწიფოსთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის მეთაურს, ხელმძღვანელს. **„მეთაურს ქუა, გამოცდილება, ცოდნა და მტკიცე ხასიათი იმიტომ ესაჭიროება, რათა იზრუნოს და იმოქმედოს იმათ**

მაგიერ, ვინც, საუბედუროდ, მოკლებულია ამ უნარს, ის სათავეში უნდა დადგეს იმ შემთხვევაში, თუ თანამემამულეებზე უფრო გამჭრიახი, დაკვირვებული, მოხერხებულია და იცის, როდის უნდა დაძრას ისინი წინ, ხოლო როცა საჭიროა, ადგილზე შეაჩეროს. თუ ძალაუფლება, რომელსაც მას ვითარება ანიჭებს, ფრთხილად აქვს შენახული ჯიბეში, თუ ბრბო და ამოტივტივებული ხეპრე დოღრიალასი ეშინია და ყველა გარემომცველი ადამიანების უმნიშვარი აზრები კანონია მისთვის, მაშინ წინამძღოლის როლი ზედმეტია ამ ადამიანისთვის. გამოდის, რომ ის იღვწის მხოლოდ პატივისთვის, ცდილობს თავისი პერსონის განდიდებას, ეძებს მხოლოდ პირად გამარჯვებას“.

ასეთი მეთაურის ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებად ნიკოლაძე თვლიდა საუკეთესო, ნიჭიერი ადამიანების მოძებნის და გარს შემოკრების უნარს: „იმისათვის, რათა შეძლო ასეთი ადამიანების დაფასება, თავად უნდა იყო ნიჭიერი, რათა დაინახო მათი ღირსება და არ გეშინოდეს მათი მეტოქეობისა“, — წერდა იგი.

ნიკო ნიკოლაძე დიდწილად ქვეყნის ევოლუციური განვითარების მომხრე უფრო იყო ყოველთვის, ვიდრე რევოლუციური, ნახტომისეული განვითარების...

საერთოდ ნიკოლაძე ყველა მოვლენას დიალექტიკურად უდგებოდა: „ქვეყანაზე არც ერთი ძალა არ არსებობს ისეთი, რომ მხოლოდ სასარგებლო იყოს, ან მარტო მავნებელი... მისი სიცუდე და სიკარგე ხმარებაზე ჰკიდია, მცოდნე და მოხერხებული კაცის ხელში სანამლავიც კი მკურნალობს და უტვინო ბავშვი რძის საჭამადშიაც კი დაიხრჩობა“. ასევე უყურებდა იგი რევოლუციასაც, თუმცა თვლიდა, რომ მოსახდენი მაინც მოხდებოდა, ოღონდ ცოტა დაგვიანებით: „რევოლუცია, ქინაქინის არ იყოს, ზოგან რგებს, ზოგან ვნებს, საფრანგეთში გამოდგა, ოსმალეთში — არა. არ გამოდგა იმიტომ (ქართული ე.წ. 2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციასავით“ — ვ.შ.),





რომ ხალხი მოუმზადებელი ყოფილა ცვლილებებისთვის, მორიგ საქმეებზე ერთი აზრი, ერთი რწმენა მას არ ჰქონია“.

ნიკოლაძეს თანდათანობითი განვითარების უპირატესობად ის მიაჩნდა, რომ მას მშვიდობიანი ხასიათი აქვს და დიდ მსხვერპლს არ მოითხოვს. იგი ყველასთვის სასურველად თვლიდა ამ ნაბიჯების თანდათანობით გავლას და არ სწამდა უეცარი ნახტომების: **„რაგზაც ხუთს, ექვს ან ოც ხალხს ოთხი ნაბიჯით გაუვლია, მას ვერც ერთი სხვა ხალხი ერთის გადახტომით ვერ გაივლის“** (იგივე აზრი გაიმეორა ბზიგნეე ბუეზინსკიმ საქართველოსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ).

იმის საილუსტრაციოდ, რომ ერი შეიძლება რევოლუციისა და სისხლისღვრის, კატაკლიზმების გარეშე აღორძინდეს და სწრაფად განვითარდეს, მას მოჰყავდა იაპონია და გერმანია (პრუსია).

ნიკოლაძემ საგანგებოდ შეისწავლა და ქართულ საზოგადოებას გაუანალიზა იაპონიის წინსვლა 1860-იანი წლებიდან, როცა ქვეყანამ დაიწყო და სწრაფად შეძლო უზარმაზარი თვისობრივი ნაბიჯების გადადგმა ყველა სფეროში (საუკუნის მერე ეს გაიმეორა სამხრეთ კორეამ). 1894 წელს ჟურნალ „მოამბის“ XVIII ნიგნში ნიკოლაძემ დაბეჭდა ვრცელი ნარკვევი „იაპონიის ბრძოლა ჩინეთთან“, რომელშიც იწინასწარმეტყველა თანამედროვე იაპონური სასწაული. იაპონიის მმართველმა ელიტამ სათანადო შემზადების შემდეგ დასახა ქვეყნის მომავალი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოწყობის

კომპლექსური მეცნიერული გეგმა, რომელსაც ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების საწყისად და ბალავრად დაუდო საკუთარი ხალხის კულტურული მემკვიდრეობა, ტრადიციები და წესჩვეულებები, იაპონური ცხოვრების წესის მდიდარი ეროვნული შინაარსი. ნიკოლაძეს სამაგალითოდ მიაჩნდა მოკლე დროში იაპონიის ასე აღორძინება და ქართულ საზოგადოებას, მომავალ თაობას ამაზე საგანგებოდ მიანიშნებდა...

ნედლეულისა და სხვა სახის სტრატეგიული რესურსების სიმწირის მიუხედავად, ერთ დროს ველური და ჩამორჩენილი იაპონიის სწრაფად დანიშნაურება და გადღიერება, ნიკოლაძის გონივრული შენიშვნით, შრომის ჭკვიანურმა ორგანიზაციამ და საშემსრულებლო დისციპლინის მაღალმა დონემაც განაპრობა, რაც ნიკოს ასევე სანიმუშოდ მიაჩნდა და იაპონიის მსგავსად, საქართველოს აღმავლობაზე ოცნებობდა. ნიკოლაძე ამასთან დაკავშირებით ხაზს უსვამდა, რომ **ბადამწყვტი მნიშვნელოვან არა აქვს ძვირის სიდიდეს და მოსახლეობის მრავალრიცხოვნებას, მთავარია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, განათლების სწრაფი დაწინაურება და მისი ყოველწლიური გაზრდილი დაზინანება.**


ამის შედეგია ის, რომ „ძალა და ძლევა რიცხვსა და სივრცეს კი არა, ცოდნას, ორგანიზაციას ეკუთვნის, იარაღს, წესსა და დისციპლინას“, — წერდა იგი და დღეს, მართლაც, უზარმაზარ და ნედლეულით უმდიდრეს რუსეთზე წინ არიან საქართველოზე პატარა ქვეყნე-

ბი (მაგ: ჰოლანდია, ბელგია და სხვ.), რომლებმაც განავითარეს საწარმოო ძალები, ცოდნა, მეცნიერება, ტექნოლოგიები და დისციპლინა...

როცა იაპონიისა და გერმანიის მაგალითები მოჰყავდა ქართველი მკითხველისთვის, **ნიკოლაძე კარგად აცნობიერებდა იმ განსხვავებებსაც, რომლებითაც ეს ერები განირჩევიან ქართველებისაგან, მათი ეთნოფსიქიკისგან — არ გამოვიდოდა ძალით ქართველის გაიაპონელება ან გაგერმანელება, თუნდაც — გარუსება.** ნიკოლაძეს მიაჩნდა, რომ ყოველი ქვეყნისაგან შეიძლებოდა რაიმე დადებითი და სასარგებლოს აღება, თუმცა ამავე დროს თვლიდა, რომ ყოველი ქვეყნის სახელმწიფოებრივი წესწყობილება ეროვნული ტრადიციების, ეროვნული ფსიქიკის, ზნე-ხასიათისა და გეოგრაფიული მდებარეობის (გარემოს) შესატყვისად უნდა მოწყობილიყო და ამ პროცესში ძალდატანება, ხელოვნურად ჩარევა საჭირო არ იყო.

ნიკო ნიკოლაძე სახელმწიფოს ბონიერი ორგანიზაციის ასევე ძალზე მნიშვნელოვან ფაქტორად თვლიდა ხელი-სუფლაბისა და მთავრობის ანგარიშვალდებულებას ხალხის მიმართ და ამომრჩეველსადაც მიმდინარეობდა: „ყველგან, წერდა იგი, — სწორი საზოგადოებრივი მმართველობის პირველ პირობად მიჩნეულია ანგარიშების სისწორე, ამომრჩეველისადმი ნდობა და მათთვის მათი საქმეთა მდგომარეობის წარდგენა სავსებით სწორი სახით“.

სახელმწიფოს გონიერი და დემოკრატიული მოწყობის საქმეში ნიკო ნიკოლაძე საფუძველდამდებ პრინციპად თვლიდა სასამართლოს სწორად ორგანიზაციას და სამართლიანი, ანუ ობიექტური სასამართლოს უფლებას რიგითი ადამიანისთვის. მისი აზრით, ეს არის სამოქალაქო სიმშვიდისა და სტაბილურობის უმთავრესი პირობა: **„ყოველი ადამიანის ცხოვრებას, — წერს ის, — მის თავისუფლებას, ღირსებასა და ქონებას ყოველ წუთს შეიძლება შეექმნას საფრთხე იქ, სადაც მართლმსა-**





ჯულება უხეიროდაა ორგანიზებული და სადაც მოსამართლენი არ იცნობენ ცხოვრებას, არაკეთილსინდისიერნი ან მექრთამენი არიან. იქ, სადაც საზოგადოებას არა აქვს საკმარისი ნდობა თავისი სასამართლოსადმი, თვით საზოგადოების ცხოვრება გაუფასურებული და უაზროა... ამგვარად, სასამართლოს ნდობა, ე. ი. თითოეული მოქალაქის რწმენა, რომ იგი თვითნებურად და უსამართლოდ არ დაისჯება სისხლის სამართლის კანონით, რომ შესაბამის შემთხვევაში გარდუვალი საზოგადოებრივი ცხოვრების აუცილებლობის გამო კანონს მის მიმართაც გამოიყენებენ სამართლიანობის ზუსტი დაცვით და სასჯელის გარკვეული ზომით — აი, ეს წარმოადგენს სამართლიანი და მშვიდი ცხოვრების ერთ-ერთ არსებით საფუძველს“. ნიკო ნიკოლაძე ასეთ სანიმუშო ქვეყნად ასახელებდა ინგლისს, სადაც მისი სიტყვებით, სასამართლოსადმი ნდობა დგას მიუწვდომელ სიმაღლეზე.

სახელმწიფოს ბონიერი მოწყობის უმნიშვნელოვანეს პრინციპებად ნიკო ნიკოლაძე თვლიდა ღიაობას (გამჭვირვალობას), სიმართლის არ დამალვას და პოლიტიკურ რეალიზმს. იგი იყო პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთი მამამთავარი საქართველოში (მისი ცნობილი წარმომადგენლები არიან ნ. მაკიაველი, თომას ჰობსი, ე. კარი, ჰ. მორგენტაუ და სხვ. მათი აზრით, საერთაშორისო პოლიტიკა ხორციელდება „ბუნების კანონებით“, ანუ ანარქიით და არამც და არამც ჰარმონიით. საერთაშორისო სისტემის ანარქიულობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი სახელმწიფო ფიქრობს საკუთარ ნაციონალურ ინტერესებზე, პირველ რიგში საუთარ გადარჩენასა და საკუთარი ტერიტორიული საზღვრების დაცვაზე.

შესაბამისად, ნიკოლაძე მეტაფიზიკური აზროვნების კრიტიკოსი იყო, რაც, მისი აზრით, „დამყარებულია არა ცხოვრების შესწავლაზე, არა ცდაზე, არამედ აზროვნებაზე, სილოგიზმებზე, ვარაუდებზე, არა იმაზე, რაც ამქვეყნად



ნამდვილად არსებობს და კეთდება, არამედ იმაზე, რაც ჩვენ კარგი, სამართლიანი ან გონივრული გვეჩვენება“. აკრიტიკებდა რა სოციალ-ფედერალისტთა შეხედულებებს, მას მიაჩნდა, რომ ისინი მეტაფიზიკაზეა აშენებული: „აიხირობენ რაღაც სურვილს, ხატად აქცევენ, თაყვანს სცემენ. დარწმუნებულინი არიან, რომ ეს თილისმა ყოველთვის, ყველგან, ყოველ შემთხვევაში ერთნაირად სასწაულს მოახდენსო. რეალურ პოლიტიკას კი არც ერთი ამგვარი ავგაროზი არ სწამს და ეს ძველი რწმენა დიდი ხანია არხივებში დაუმარხავს, როგორც გამოუცდელ გონების ბავშვური შეცდომა“. ასეთი აზროვნება არსებითად ვერ აუმჯობესებს ხალხის ყოფა-ცხოვრებას და ვერ ამალვებს მას ზნეობრივად, მიაჩნდა მას.

მკაცრმა რეალობამ ათქმევინა ნიკო ნიკოლაძეს ის სიტყვები, რომელიც პოლიტიკური რეალიზმის ანაბანაა: „მარტო ჩვენი თავის იმედი ვიქონიოთ, მარტო ჩვენს ძალას მივყნდეთ, მარტო ჩვენს გაძლიერებაზე და განათლებაზე ვიშრომოთ — მაშინ მეგობარიც ბევრი გაუჩნდა ჩვენს ხალხს და დამხმარებელიც... მაშინ ჩვენდა-თავად არც ტირილი დაგვჭირდება, არც გოდება, არც ზღუქუნი, არც ჩურჩული. და სანამ ამ „საკუთარის

გაძლიერების“ გზას გულდაგულ და პირდაპირ არ დავადგებით, მანამდე კი ათასიც რომ იბლავლოს ჩვენმა მწერლობამ, ათასიც რომ იჩურჩულონ ჩვენმა მოქმედმა პირებმა, კაცი ყურადღებას არ მოგვაქცევს და შემწეობას არ გვაღირსებს, ყველას ის აზრი ექნება თავში: „სუსტი ხარ, ქვეყანაზე ადგილი რად გიკავია, თვალს რას გვჭრი შენის წყლულების ჩვენებით, რა გიყო, რა გიშველო, ხომ ფეხზე ვერ დაგაყენებ, თუ შენდა-თავად წამოდგომა არ შეგიძლია“.

ნიკო ნიკოლაძის აზრით, მცირერიცხოვანი ერებისთვის ასევე უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის იარაღია სიმრავლე, ნაკლისა და ჭირის არ დამალვა და თვითმკურნალობა, ოინობის უარყოფა: „ჩვენ რიცხვით, ძალით, ოინობით ვერაფერს ვერასოდეს ვერ გავიტანთ... ერთი იარაღი გვაქვს ჩვენ, მარტო ერთი, — აზრის სისწორე, სინდისის სიმრავლე, გონიერება, საქმის სინმინდე. მარტო ამით შეგიძლია ჩვენ გავიმარჯვოთ, შემდეგში, მომავალში, როდესმე. მამ, ჩვენ უმანკოდ და გაუსვრელად უნდა შევინახოთ ეს ჩვენი მხოლოდი იარაღი, თორემ იმ დღეს, როცა ჩვენი მტერნი, რიცხვით და ძალით ძლიერნი, ჩვენ წინააღმდეგ სიმართლესაც მოიპოვებენ, ჩვენი საქმე ფიზიკუ-



რად და ზნეობრივად დაღუპული იქნება“. ამ უგონიერეს შეგონებას ნიკოლაძის პოლიტიკური ანდერძი შეიძლება ვუწოდოთ, რომელიდანაც ქართველმა ერმა არასოდეს არ უნდა გადაუხვიოს. ნიკოლაძეს კარგად ესმის, რომ დღეს ველარავის მოატყუებ, საკუთარი თავის გარდა, ამიტომაც ჩვენი ნაკლოვანებანი ჩვენვე უნდა გამოვასწოროთ: „ქვეყანა იმდენად ბრმა და ყრუ როდია, რომ ჩვენი შეცდომები ან უხეირობა ვერ დაინახოს თვითონ, ჩვენ რომც ამაებზე მუნჯებსავით გავჩუმდეთ. სირაქლემასავით ჩვენ რომ თავი ბუჩქებში დავმალეთ, მტერი მაინც დაგვინახავს და მაინც დაგვამარცხებს. ათასჯერ და ათიათასჯერ ჯობია, რომ ჩვენ ჩვენი თავი გავიცნოთ, ჩვენი სიმრუდე თვითონვე გავისწოროთ და მაშინ უფრო ძლიერნი ვიქნებით მტრის წინააღმდეგ, ვინემ დღეს ვართ“ (იქვე).

აქ ნიკოლაძე აკრიტიკებს და არ ეთანხმება აკაკი წერეთელს, რომელმაც „დროებაში“ („უდროვო ბრძოლა“, №55, 1876 წ.) დაწერა, რომ „თბილისის მოამბეში“ ატეხილი ბრძოლა (პოლემიკა — ვ.შ.) ილია ჭავჭავაძესა და ნიკოლაძეს შორის უდროოა და მტერს გულს გაუხარებსო“.


ნიკოლაძეს არასწორად მიაჩნია აკაკის აზრი და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამგვარი მოქმედება საჭიროა არა ყოველთვის, არამედ — მარტო მაშინ, როცა ბრძოლა გარეშე მტერთან მომთავრებულია, ან მშვიდობიანობის დროს; ეს არ იქნებაო დისციპლინის დარღვევა: „დისციპლინა იმას კი არ თხოულობს, რომ ყველა ამხანაგების გონება და აზრი ნიადაგ დახშული, დამალული იყოს: იმას თხოულობს,

რომ ბრძოლის დღეს, რაკი ამხანაგობა ერთ აზრს დაადგება, ერთ გზას აირჩევს და ერთს მოთავეს გაჰყვება, ყველა ამ აზრს დაეხმაროს, ამ გზას დაადგეს და ამ მოთავეს მხარი გაუმაგროს. ყოვლად შეუძლებელია საზოგადოებრივი წარმოება და საზოგადო აზრის გაუკეთებლობა, თუ ჩვენ დისციპლინად იმას მივიღებთ, რომ გავჩუმდეთ, ხმას ნუ ამოვიღებთ, მტერი გვიცქერის და გაიხარებსო. ჩვენ სხვანაირი გახარების უნდა გვეშინოდეს მტერის, იმ გახარების, რომელიც წარმოებს ჩვენი აზრის სისუსტისაგან და ჩვენი რაზმის უხეირო ნაყვან-ნამოყვანისაგან... ყოველ გონიერ კაცს ჩვენში მოვალეობა აქვს არ დაუფაროს თავის საზოგადოებას აზრი და შეხედულება საზოგადო საჭიროებაზე და საქმეებზე. ამხანაგობაში ამგვარი აზრი უნდა გამოითქვას თავისუფლად, მოურიდებლად; ეს არავისთვის სანყენი და სათაკილო არ უნდა იქნეს. და როცა ამ ამხანაგობაში ზოგიერთები იმას დაიჯერებენ, რომ ჩვენ შეუცდომელნი ვართ, რომის პაპსავით, რომ ჩვენს აზრს და შეხედულებას ნურავინ დაინუნებსო, გინდ ვცდებოდეთ, გინდ საქმეს ვახდენდეთ და ქვეყანას ვაბრკოლებდეთ, ყველანი დაჩუმდნენ და ყველამ ტაში დაგვიკრასო, — ეს დისციპლინა კი არ არის, ეს დესპოტიზმი და ხვანთქრობაა. ამას ადვილად დაემორჩილება მონა და არა გონიერი კაცი“.

ნიკო ნიკოლაძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნული ენერჯის სწორ და რაციონალურ გამოყენებას, ძალების უგუნური ხარჯვის თავიდან აცილებას, საერთო საქმისადმი გონიერულ დამოკიდებულებას და თავდადებას.

ეს მას მიაჩნდა, წარმატების გარანტიად, განვითარებისა და დანინაურების, ომში გამარჯვების პირობად. მაგრამ არის კიდევ უფრო არსებითი „ზარალი საერთო ინტერესებისა“, რომელსაც ქვეყნად არასდროს არ ეხება არავითარი კონტროლი. ეს არის უგუნური ხარჯვა ძალებისა, რომელნიც უკეთეს ვითარებაში უფრო შესამჩნევი სარგებლობის მოტანას შეძლებდნენ. კონტროლს არ შეუძლია შეამომოს ის, რაც შეიძლება გაკეთებულიყო, მაგრამ არ გაკეთებულა სულიერი სილატაკისა და ისეთ ადამიანთა ნაკლებობის გამო, რომელთა მთელი თავმოყვარეობა მდგომარეობს საყვარელი სამშობლოსთვის რაც შეიძლება მეტი სარგებლობის მოტანაში“.

ქვეყნის ცხოვრებაში ხშირად ნამოქრება ხოლმე საკითხი, თუ რომელი საქმეებია პრიორიტეტული ერისთვის — საშინაო თუ საგარეო? ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ნიკო ნიკოლაძის მოსაზრებას, რომ **ერი-სათვის (განსაკუთრებით მცირერიცხოვანი ერებისათვის) უფრო პრიორიტეტულია საშინაო პრობლემების მოგვარება, ვინაიდან უმნიშვნელოვანეს საგარეო და ეკონომიკურ საკითხებს მსოფლიოში, სემუელ ჰანთინგტონის თქმით, წყვეტს სულ 5-6 ქვეყანა, დანარჩენებს კი სტატისტიკის როლი აქვთ განკუთვნილი, მათ შორის — ჩვენც.** სწორედ აქედან გამომდინარეობს ნიკოლაძის დასკვნა, რომ „მხოლოდ შინაგანი საქმეების გონიერულად და დამაკმაყოფილებლად მოგვარება უზრუნველყოფს გარედან მოსალოდნელ საშიშროებას და მოგვიტანს საგარეო დიდებას. რა დიდიც არ უნდა იყოს ჩვენი გამარჯვებანი, მათი დიდება კვამლივით გაიფანტება, თუკი ჩვენს შინაგან წესებს არ ავიყვანთ საგარეო დიდების სიმაღლეზე, თუკი ჩვენს საკუთარ სახლში არ დავაკმაყოფილებთ აუცილებელ მოთხოვნებს, თუკი ხელს მივყოფთ საკუთარი ინტერესების სისტემატურ იგნორირებას, შევუქმნით ჩვენს თავს მრავალ ხელოვნურ სიძნელეს, მაშინ ეს გარემოება ადრე თუ გვიან სამხედრო წარმატე-



ბებზეც კი უდავოდ დამასუსტებელ გავლენას იქონიებს“.

დამოუკიდებელი საქართველოს ოცნლიანმა ისტორიამ მთლიანად დაადასტურა ნიკოლაძის ეს დებულება — ვერც ერთმა ხალისუფლებამ (ბამსასურდია, შვეარდნაძე, სააკაშვილი) საშინაო პრობლემები სერიოზულად ვერ გადაწყვიტა. ვერც შვეარდნაძე და ვერც სააკაშვილი ვერ აცნობიერებდნენ, რომ პატარა ქვეყნის ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში ძალიან მოკრძალებულია და სადღაც კუთხეშია — ამიტომ, როცა ქვეყნის შიდა პრობლემებს ვერ აგვარებ და აქცენტი მთლიანად საგარეო პოლიტიკაზე გადაგაქვს, ეს ადრე თუ გვიან უშედეგოდ დამთავრდება, შეიძლება კატასტროფითაც (2008 წლის აგვისტო) (ამაზეა ზედგამოჭრილი ქართული ანდაზა: „ძალი შინ არ ვარგოდაო, სანადიროდ გარბოდაო“).

ის, რომ დიდი ქვეყნები იგნორირებას უკეთებენ მცირერიცხოვან ერებს, ძარცვავენ მათ და ართმევენ ტერიტორიებსა და სიმდიდრეებს, საარსებო რესურსებს, ნიკოლაძემ შესანიშნავად იცოდა და ამაზე ჯერ კიდევ მაშინ აფრთხილებდა ქართველობას: „იმავე მიზეზის ძალით, რომლითაც მე და შენ, ჩემო კარგო მკითხველო, ვერ ვგრძნობთ საკუთარ უსამართლობას, დანაშაულობას და სისაძაგლეს, როცა უმანკო კრავს ან ხბოს ვკლავთ ან ვაკვლევინებთ, ჩვენის კუჭის გასაძლომად, **ევროპელი ხალხი — ჩვენთვის ერთობა საჭიროა ბავიგოთ, გონებაში ჩავიგებოთ და ნიადაგ გვასოსოვდეს ეს გარემოება — ევროპელი ხალხი-მითქი, სწორედ იმ თვალთ უყურებს ყოველს სხვა უკანამორჩენილს, უძღუს და უმეცარ ხალხს, როგორც ჩვენ თვითონ ცხვირის ფარას დავცქერით“.** მეორეგან კიდევ ურფო მოუხრიდებლად აღნიშნავდა, რომ, **თუ სხვის იმედსა და ღახმარებაზე დავამყარებთ ქვეყნის მომავალს და ხელს და ჭკუას არ გავანძრავთ „ევროპის სახელმწიფოები საქართველოს ან**



ალჟირივით (ე.ი. მკვიდრთათვის უფლება მიუნიჭებლად) დაიმონებან ანდა ინდოჩინეთივით ქარცვას დაიწყებან“ (იგულისხმება დამოუკიდებლობის შემთხვევაში).

იმისათვის, რომ აიცილო მესამეხარისხოვანი ქვეყნის ბედი, ყოველმხრივ გაძლიერება საჭირო — ეკონომიკურად, სოციალურად, კულტურულად, სამხედრო თვალსაზრისითაც კი. გვერდში რომ ამოუდგე ევროპულ ქვეყნებს, იგივე გზა უნდა გაიარო, რაც გაიარეს სხვებმა — ევროპული განათლებისა და მეცნიერების დანერგვა, თავაულებელი შრომა („ევროპული წესი და ცხოვრება, ევროპული მეცნიერება ჩვენ სამაგალითოდ უნდა მიგვაჩნდეს“, — წერდა ნიკოლაძე), სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, აზრიანი შრომა, მცირერიცხოვანი ქვეყნებისთვის ამ ყველაფრის გაკეთება გადარჩენის ერთადერთი შანსია: „**კერძო პირსაც, საზოგადოებასაც, ერსაც თავის ცხოვრება, ბედი და იმედი მართო საკუთარ შრომაზე და ღონეზე უნდა ჰქონდეს დაფუძნებული. მართო ეს საძირკველია შეურყეველი, მართო მასზე შენდება მტკიცედ საკუთარი შენაძენიც და სხვისი დანახმარიც“.**

ამ მიდგომის წყალობით ეძლევა მცირერიცხოვან ქვეყანას არათუ გადარჩენის, არამედ გაძლიერების შანსიც. ამის მაგალითად ნიკოლაძეს მოჰყავდა შვეიცარია და ჰოლანდია... ჰოლანდიელები დაჭაობებული ზღვის ნაპირას მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ, მინა არ ჰყოფნიდათ. შრომაც ძნელი იყო და არსებობაც, მაგრამ მათ მოახერხეს ამ მდგომარეობისაგან თავის დაღწევა. არა იმით, რომ ბუნების კანონი შეცვალეს, არამედ იმით, რომ ის კანონები შეისწავლეს, გარემო-პირობების საიდუმლო ამოხსნეს და მერე ცოდნით შეიარაღებულნი ისე მოიქცნენ, როგორც ამას ბუნების კანონზომიერება ითხოვდა. იმას მიაღწიეს, რაც დღეს აქვთო, — წერდა ნ. ნიკოლაძე.

მრავალრიცხოვანი და ძლიერი მტრებით გარშემორტყმულმა ქართველობამ რომ წარმატებას მიაღწიოს, ამისათვის მართო განათლება და შრომა არ კმარა — საჭიროა ასევე ეროვნული ერთიანობა და ერთიანი ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება-განმტკიცება. ეროვნული ერთობისა და ძმობის გრძნობა არის ერის თავისუფლებისა და აღორძინების, ქვეყნის გონივრულად მოწყობის და სტაბილურობის მთავარი პირობა.

ამის თვინიერ ნებისმიერი რიცხოვნების და თვისობრიობის ერთი უძლურია, გადანაცვით რაიმე სერიოზული პრობლემა: **„არაფერი სიკეთე, — მიუთითებდა ნიკოლაძე, — არ უნდა მოელოდეს იმ ერს, რომლის თვითოეულ ნაწილებს არავითარი ეროვნული ძმობისა და ერთობის გრძნობა არა აქვს... მართლაცდა, რა უბედურება იქნებოდა ჩვენი ქვეყნისთვის, რომ ქართლელმა, კახელმა, იმერელმა ოდესმე ქართველობა ითაკილოს და თავიანთი თავი ქართლელით, კახელით, იმერელით მოინონონ. ხალხის ამგვარ ხასიათს მამულის ნამდვილი სიკვდილი და მინასთან გასწორება მოსდევს“.**

ნიკო ნიკოლაძე იმასაც მიუთითებდა, რომ ერთიანი ეროვნული შეგნების აღზრდა და ჩამოყალიბება ხანგრძლივი, რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია, რასაც მრავალი დაბრკოლება ელოდება წინ, მათ შორის ძირითადია ეროვნული ნიჰილიზმი, სამოქალაქო პასიურობა და გულგრილობა. ნიკოლაძე გულისტკივილსა და შეშფოთებას ვერ მალავს იმის გამო, რომ „უდარდელი, უზრუნველი ვუცქერით ჩვენს ყოველგვარ უხეირობას, სიცუდეს და აკაცობას, თითქოს ეს საქმე ჩვენ არ შეგვეხებოდეს, თითქოს ჩვენი სისხლი არ იყოს და მის ბედსა და უბედურებას ჩვენზე არავითარი გავლენა არ ჰქონდეს“ (ამერიკელმა მეცნიერებმა აღმონდმა და ვერბამ თავის ნაშრომში „სამოქალაქო კულტურა“ (1963 წ.) ასეთ პოლიტიკურ კულტურას პასიური (ქვეშევრდომობის) კულტურა უწოდეს. ჩვენში ის ლოკალურ კულტურასთანაც (საქართველო) არაა დაკავშირებული. რაოდენ აქტუალურად ჟღერს ნიკოს ეს სიტყვები ჩვენს რეალობასთან მისადაგებით, როგორი ძლიერია დღევანდელ საქართველოშიც ეს სენი, რის გამოც ერთი უსუსურად და დაუძლურებულად გამოიყურება ხშირად იმ პრობლემათა წინაშე, რომელთაც უმნიშვნელო ძალისხმევა მოაწესრიგებდა; დღეს კიდევ უფრო უარეს ფორმებში შეინიშნება ის, რაზეც ნიკოლაძე საუკუნეზე მეტი ხნის წინ მიუთითებდა: „ჩვენ შეურყევლად ვსტკბებით ჩვენს საკუთარ

კერძო ცხოვრებაში, სანამ ჩვენს საკუთარ ტყავს არ შეეხება ის სენი და ის ვნება, რომელიც წინათ ჩვენს მახლობელს მიადგა. მაშინ კი ჩვენ ხმამაღლა ღრიალსა და გოდებას ვიწყებთ. მაგრამ ჩვენს უბედურებას ჩვენი მახლობელი იმნაირადვე გულებდლაკრეფილი დასცქერის, როგორც ჩვენ მის უბედურებას დავეყურებდით. თითო-თითო, ცალ-ცალკე, ნელ-ნელა, შეუნიშნავად გვჭამს ჩვენი ზნეობრივი სენი და ჩვენ კი უხასიათობისა და უზრუნველობის გამო, არ ვცდილობთ, რომ ერთად, ძმურად, თავიდან მოვიცილოთ ზემოხსენებული სენი, რომელიც ყველას ცალ-ცალკე, მაგრამ მაინც ყველას ერთიანად გვანუხებს და გვამდაბლებს“.

ნიკო ნიკოლაძე მკაცრად ამუხატებდა ქართველობას ამ ინერტულობისა და ეგოიზმისთვის, ახლომხედველობისა და უმიზნოდ ცხოვრებისთვის: „ჩვენი ხასიათი, ჩვენი ზნე მეტის-მეტად მომტყდარი, უგულო და უსუსლო შეიქნა. დაბრკოლებასთან ბრძოლა კი არა, ჩვენ დაბრკოლების აზრიც გვაშინებს. ჩვენ გვსურს, რომ საზოგადო სიკეთე შემწვარი, გამომცხვარი ჩაგვიცვინდეს პირში. ჩვენ კბილის მოქნევაც კი გვეზარება ამ სიკეთით სარგებლობისთვის. დაბრკოლების მოშორებას, ბრძოლას და მიზნის მიღწევას ვინლა დაეძებს, ჩვენ იმისაც კი გვერიდება, რომ ნაცნობს, მეგობარს პირში ისეთი აზრი არ ვუთხრათ, რომელიც მისას არ ედარება, რომელიც მისი სანყენი და წინააღმდეგია. ამნაირ შემთხვევაში ჩვენ ათასფერად ვარბილებთ ჩვენს აზრს, მისს ბამბით და ვარაყით შეხვევას ვცდილობთ — იქნება მსმენელმა არ იწყინოს, ვინიცობაა და ჩვენი სამედურავი გულში არ ჩაისახოს... საზოგადო საქმე, საზოგადო მიზანი, სარგებლობა? ვინ არ ხარხარებს ჩვენში, როცა ამ სიტყვებს ყურს მოჰკრავს. ვის არ მიაჩნია ისინი ბავშვურ ოცნებად, სიტუტუცედ...“.

ეროვნული ერთიანობის და ერთ მუშტად შეკვრისთვის ნიკოლაძე მიზანშეწონილად თვლიდა ეროვნული იდეისა და ნაციონალიზმის ელე-

მენტს, განსაკუთრებით მცირერიცხოვანი ერებისათვის, რადგან, მისი სიტყვებით, **„ნაციონალიზმი იგივეა, რაც თავდაცვის ინსტინქტი, ის დამახასიათებელია ყოველი ცოცხალი ორგანიზმისთვის, ისე, როგორც სუნთქვა, სისხლის მიმოქცევა, შიმშილი, ძილი და სხვ. ნაციონალიზმის აღმოფხვრა შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია წავშალოთ ფერი თმისა, თვალებისა, კანისა და ა.შ. საუკეთესო ნაციონალისტებს არ შეუძლიათ, ნამდვილი ბედნიერება არ შეუქმნან ყველა თანამემამულეს“.** მაშინაც და დღესაც, როცა ბევრ თავგაცხელეზულ პოლიტიკოსს და მეცნიერსაც (მაგ. ბენედიქტ ანდერსონი ერებს „ნარმოსახვით საზოგადოებებს“ უწოდებს) ეგონათ, რომ მულტიკულტურული და გლობალიზაცია ერების მნიშვნელობის დაკნინებას გამოიწვევდა და შეიძლება მათ გაქრობასაც, ნიკო ნიკოლაძე სულ სხვაგვარად ფიქრობდა: **„თანამედროვე ევროპული სახელმწიფოები, ბოლოს და ბოლოს, ეროვნების მიხედვით დალაგდებიან, რადგან ეს არის სახელმწიფოს ორგანიზაციის ყველაზე ანგარიშგასაწევი და თანამედროვე პრინციპი“** (ეს მიმართულება აიღეს კვლავ ევროპის უდიდესმა ქვეყნებმა — გერმანიამ, ინგლისმა და საფრანგეთმა, რომლებიც იწყებენ დაბრუნებას ფესვებისკენ, რითაც ეწინააღმდეგებიან მასიურ ამერიკანიზაციას, გლობალიზაციის უარყოფით გამოვლინებებს).

ნიკო ნიკოლაძე ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველყოფას ქვეყანაში თვლიდა სახელმწიფოს გონივრული მოწყობის ერთ-ერთ მთავარ პირობად. ქართველ მოღვაწეებში იგი პირველი იყო, ვინც ევროპული თვითმმართველობის ფასი კარგად იცოდა და ჯერ კიდევ 1870-იანი წლების დასაწყისში ქადაგებდა ერობის შემოღების აუცილებლობას. სამწუხაროდ, მაშინ ქართველმა მოღვაწეებმა მას მხარი არ დაუჭირეს.

არადა, თვითმმართველობა რეალური ავტონომიის მოპოვების უმ-



თავრესი ბერკეცია. ნიკოლაძე მოხერხებულად ნიღბავდა ამ ტერმინს და უწოდებდა მეცნიერებაში მიღებულ ტერმინს „ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა“. მისი უშუალო ინიციატივით მოხდა ქ. თბილისის ხმოსანთა მიერ (სადაც უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ) დიმიტრი ყიფიანის თბილისის ქალაქის თავად არჩევა, ქ. ქუთაისში თვითმმართველობის შემოღება, მანვე ფოთი აქცია თვითმმართველობის კლასიკურ ქალაქად. ნიკოლაძე გადაჭრით მოითხოვდა საარჩევნო ცენზის გაუქმებას და მცხოვრებთა მთელი მასის (კაცი, ქალი) მონაწილეობას თვითმმართველობასა და არჩევნებში, ნიკოლაძეს კრება მიაჩნდა მასების აღზრდის სკოლად, ხოლო სახელმწიფოებრივი მმართველობის ყველაზე გონივრულ ფორმად — ხალხის წარმომადგენლობის პრინციპებზე აგებული თვითმმართველობა: **„თვითმმართველობა და დემოკრატიული წყობილება — წერდა იგი, — საუკეთესო გარანტიაა წინმსვლელობისა და წარმატებისათვის, უმჯობესი სკოლაა საზოგადოების აღზრდისა... ნამდვილი თვითმმართველობა, როგორც მთელი განათლებული კაცობრიობა დარწმუნდა, შესაძლოა მარტო წარმომადგენლობის წესით, რადგანაც მარტო ამ წესის შემწეობით დაარსდა უცხოეთში სამართლიანობა და თავისუფლება, თანასწორობა და სიმართლე... ყველამ გაიგო, რომ წარმომადგენლობა ყოფილა მეორე და უაღრესი ნაბიჯი თუ საფეხური თვითმმართველობისა... ამ ქვეყნებშიაც (შვეიცარია და სხვ.) ხალხის აზრის გამომთქმელი, ხალხის საქმეების მმართველი, ხალხის ბედის გადამწყვეტილი მაინც ხალხის წარმომადგენლობაა, რომელიც მარტო და იშვიათად სამძიმო შემთხვევაში ისე არ მოიყვანს აღსრულებაშით ავის განაჩენს, თუ ჯერ ხალხს არ აჩვენა და არ ჰკითხა — თანახმა ხარ ამ განაჩენისა თუ არაო“.** საბოლოოდ, ნიკოლაძე დაასკვნის, რომ **„ამგვარი მართვა საქვეყნო საქმისა ბევრად უფრო სამჯობიანოა, ვინემ ერთიანი უხმობა ხალ-**

ხისა, მისი ყურმოჭრილობა, მისი მონობა“.

ნიკო ნიკოლაძის სახელმწიფო მონივრული მოწყობის მნიშვნელოვან საფუძვლად მიაჩნდა სახელმწიფოს ზომიერი, კონკრეტული ჩარევა ძველების ეკონომიკურ ცხოვრებაში (ანუ იგი ლიბერალიზმისა და თანამედროვე ნეოლიბერალიზმის მომხრე არ იყო და ესეც იყო ილია ჭავჭავაძესთან მისი დაპირისპირების ერთ-ერთი საგანი). ნიკოლაძე თვლიდა, რომ **სახელმწიფო ბიზნს უნდა აკლავდეს ძველების მრეწველობის განვითარებას, გარკვეულად არაგულირებდეს ფასებს, არ უშვებდეს მონოპოლიების წარმოქმნას** (მან გააკრიტიკა რუსეთის მთავრობა ნობელების ნავთობგადაზიდვის მონოპოლიისათვის ხელშეწყობისათვის 1882 წელს) და კვეცავდეს ვაჭრობის მიერ კლიენტების შეუზღუდავ ძარცვას (მისი ეს დებულებანი გამოთქმულია ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის კენზისის, ასევე იაპონელი სუბურო ოკიტას თეორიის შექმნამდე თითქმის 45-50 წლით ადრე). ნიკოლაძის აზრით, ამ ყველაფრით მხოლოდ საზოგადოება მოიგებს, საჭიროა, რომ სახელმწიფომ თანაბარი სასტარტო პირობები შეუქმნას ყველას: **„საზოგადოება შედგება ცალ-ცალკე პირებისაგან და თავის საკუთარი სარგებლობისათვის მთელი საზოგადოება უნდა ცდილობდეს, რომ არცერთი მისი წევრი არ დაიჩაგროს, არ ნახდეს, სწორეთ ისე, როგორც კაცი თითოეულ თავის თითს ან სხეულის ნაწილს უფრთხილდებო. ცხოვრება ბრძოლაა, რომელშიაც დაიარაღებული კაცი იმარჯვებს დაუიარაღებელზე. საზოგადოება უნდა ცდილობდეს, რომ თუ ამ ბრძოლის მოშლა და გარმონიის გამართვა ჯერჯერობით არ შეიძლება, ბრძოლა ისე მაინც მიდიოდეს, რომ ყოველი მებრძოლი ერთნაირად იყოს დაიარაღებული“.**

ნიკო ნიკოლაძე სახელმწიფოს აპირებდა მნიშვნელოვან როლს ეკონომიკის აღორძინებასა და განვითარებაში.

ამის გარეშე კი არათუ დამოუკიდებლობის, არამედ ავტონომიის მიღწევაც კი შეუძლებელი იქნებოდა (დამოუკიდებლობის რეალურად დაყენება მაშინ გამორიცხული იყო. მის მოთხოვნას შეიძლება მოჰყოლოდა რუსეთის მიერ ქართველთა სისხლში ჩახშობა და შესაძლოა ციმბირში გადასახლებაც. ამიტომ ჯერ კიდევ 1865 წელს გერცენის „კოლოკოლში“ წერდა ნიკოლაძე, რომ **„ეროვნულ მისწრაფებათა გადაჭარბებას შეუძლია მიიყვანოს საქართველო იმ სასაკლაოზე, სადაც ამასწინათ ტყავი გააძვრეს პოლონეთს და სისხლი დაუშვერს ჩერქეზებს“...** ეს „დიდი სამეფოების მჭედელი პანია ერს განა უშველის“. ნიკოლაძეს მოჰყავდა იტალიის მაგალითი, რომ მან მანამ ვერ მოიპოვა დამოუკიდებლობა, სანამ ეკონომიკურად არ აღორძინდა — საქართველოც ამ გზას უნდა დასდგომოდა. „ყოველი ერის საფუძველი, ძალა, მომავალი უფრო მის მეურნეობაზეა დამყარებული, მის მწარმოებლობაზე. სხვა ყველაფერი თითქმის უმნიშვნელოა ამასთან შედარებით. ერი, რომლის წარმოება შეფერხდა და სხვა ქვეყნების წარმოებასთან შედარებით ხერიანად ველარ აჯილდოვებენ მწარმოებელს, სხვის მსხვერპლადაა გამზადებული. იმან თუ სწრაფად ვერ მოახერხა თავისი წარმოების გაუმჯობესება, გაიაფება, გაადვილება და გახვავიანება, მისი საქმე წასული და დაღუპულია“.

მრეწველობის განვითარება თუნდაც იმიტომ იყო საჭირო, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია საქარხნო წესით დამზადებულიყო და შეფუთულიყო. **იმ ძველანას, რომელშიც მრეწველობის რამდენიმე დარგი მაინც არაა განვითარებული, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო მრეწველობა, მომავალი არ გააჩნია...**

ნიკო ნიკოლაძე პირველია ქართველ მოაზროვნეებში, რომელმაც ვაჭრობა-აღებ-მიცემობის და ცივილიზებული ბიზნესის წარმოების არგუმენტირებული და სერიოზული პროპაგანდა დაიწყო საქართველოში.

ვაჟა უშუბითიკა



1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და ქართული საზოგადოებრიობა

გვიანი შუა საუკუნეები საქართველოსთვის საბედისწერო აღმოჩნდა. პოლიტიკური კრიზისით მოცულ ქვეყანას სხვადასხვა მხრიდან უძლიერესი დამპყრობლები გაუმეზობლდნენ, რომელთა ერთ-ერთ ძირითად მიზანს კავკასიის დამორჩილება წარმოადგენდა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებთან ერთად აჭარა ოსმალთა ბატონობაში მოექცა. დამპყრობთაგან მიტაცებული მიწა-წყლის დაბრუნებისთვის ბრძოლაზე ქართველ ხალხს ხელი არასოდეს აუღია, მაგრამ პოლიტიკურად დაქუცმაცებულ ქვეყანას ასეთი პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრისთვის ძალა არ ჰყოფნიდა.



ვითარება შეიცვალა XIX საუკუნის დამდეგიდან, როცა ამიერკავკასიაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი რუსეთმა და ირანისა და ოსმალეთის მთავარი მეტოქე გახდა კავკასიაზე ბატონობისთვის ბრძოლაში. ამდენად, გაჩნდა შესაძლებლობა ერთმორწმუნე რუსეთის მხარდაჭერით საუკუნეების წინ დაკარგული ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებისა, რასაც აღფრთოვანებით შეხვდა მაშინდელი ქართველობა.

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ბალკანეთის საკითხის გამწვავებამ რუსეთ-თურქეთის ომი გარდაუვალი გახადა. რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების შემთხვევაში კავკასია აუცილებლად იქცეოდა საომარი მოქმედებების ასპარეზად. რას მოუტანდა ორი დამპყრობლის მორიგი დაპირისპირება საქართველოს? როგორი უნდა ყოფილიყო ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება მოსალოდნელი ომისადმი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ცდილობდა იმ პერიოდის ქართული პრესა, რომელიც იმავდროულად გამოხატავდა ქართველი ინტელიგენციის პოზიციასაც. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული ნ. ნიკოლაძის წერილი „საქართველო — ომი თუ იქნა“. ავტორი წერს: „აღმოსავლეთის ომი თუ

ატყდა, ბრძოლა მარტო რუსეთსა და ოსმალეთს შუა კი არ დაბოლოვდება. მარტო ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი ამგვარი „ომის შემოსაზღვრა“ — თუ რუსეთმა თავდაპირველშივე ხეირიანად დაამარცხა ოსმალეთის რაზმები, ისე, რომ ომის გაგრძელება აღარ შეეძლოს და, თუ რუსეთის დიპლომატიამ იმწამსვე წარუდგინა ადვილად მისაღები მორიგების პირობა, მაშინ შესაძლებელია, რომ ომი ადვილად და მალე დაბოლოვდეს... თუ ბრძოლა გაჭიანურდა, მაშინ კი ოსმალეთის ევროპელი მომხრეები აუცილებლად თავს გამოიდებენ და ბრძოლა მთელს ევროპას მოედება... ჩვენს ქვეყანას დიდი სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა მოელის აღმოსავლეთის ომში. საქართველოთი რუსეთი პირდაპირ შედის ოსმალეთში... საქართველოს კი ეხლა მაინც დიდი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ინგლისის თვალში“ („დროება“, №36, 3 აპრილი, 1877). ნ. ნიკოლაძის თვალსაზრისი დაადასტურა შემდგომში განვითარებული მოვლენებმა. მოსალოდნელ ომში ქართველთა დამოკიდებულებასთან დაკავშირებით ნ. ნიკოლაძის პოზიცია გამოკვეთილი იყო: „ჩვენი ქვეყნის სახელი, სიკეთე და მომავალი ჩვენს საკუ-

თარს საქციელზეა დამოკიდებული. ნუ შევირცხვენთ დღემდე პატივცემულ სახელს... ნუ დავიშალვით სოროში. ჩვენი გონიერი, წესიერი და პატიოსანი საქციელი მალე ასწევს საქართველოს სახელს და მტერსა და მოყვარეს დაანახებს, რომ ჩვენი ხალხი სიყვარულის, პატივისცემის, მორიდებისა და კეთილდღეობის ღირსია“ („დროება“, №36, 6 აპრილი, 1877). რუსეთის ცდა, დიპლომატიური გზით მოეხდინა გავლენა ოსმალეთზე, უშედეგო აღმოჩნდა და ალექსანდრე II-მ 1877 წლის 12 (24) აპრილს კიშინიოვში ხელი მოაწერა ოსმალეთთან ომის დაწყების შესახებ მანიფესტს.

ქართველი საზოგადოება სიხარულით შეხვდა რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებას, რადგან მიიჩნევდა, რომ მას „შედეგად მოჰყვება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისგან გათავისუფლება“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბილისი 1970). ომის დაწყებას და ამ მოვლენისადმი ქართველთა დამოკიდებულებას „ივერია“ ასე აღწერდა: „12-ს აპრილს ხელმწიფე იმპერატორმა კიშინიოვში მოაწერა ხელი უმაღლეს მანიფესტს, რომლითაც ომი გამოუცხადა ოსმალეთს... ეს ხმა ელვაზედ უმაღლეს მოედო მთელს ქალაქსა... ორს საათზედ მთელი სიონის სო-



ბორო აივსო ხალხითა, კაცითა და ქალითა... ბანებზედ, ჩვეულებრივ ხალხი მოგროვდა". წერილი ასეთი მოწოდებით მთავდებოდა: „ჩვენც ხმალს ხელი უნდა ვიკრათ და ჩვენს ძმებთან ერთად სისხლი ვღვართ“ („ივერია“ №7, 16 აპრილი, 1877).

რუსეთის ხელისუფლება კარგად ხვდებოდა, თუ რამდენად არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა სამხედრო ოპერაციების მსვლელობისას ოსმალთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე მცხოვრები მაჰმადიანი ქართველების პოზიციას, მით უფრო მხარდაჭერას. ცარიზმი ძალას არ იშურებდა მათი კეთილგანწყობილების მოსაპოვებლად, მით უფრო, რომ სულთნის პროპაგანდა მიზანმიმართულად ცდილობდა ადგილობრივი მოსახლეობის ანტირუსული განწყობილების გაძლიერებას. კავკასიის მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილი, რომელიც იმავდროულად კავკასიაში მოქმედი ჯარების მთავარსარდალიც იყო, ასე მიმართავდა აჭარისა და ქობულეთის მოსახლეობას: „აჭარისა და ქობულეთის მცხოვრებნო!... ჩვენმა კეთილისმყოფელმა და კაცთმოყვარე ხელმწიფემ ამოიღო ხმალი არა იმისათვის, რომ დაჰსჩაგროს მშვიდობისმოყვარე მცხოვრებნი... იგი გზავნის ჯარს ჩაგრულთა დასაფარველად და მჩაგვრელთა შესაკავებლად. ხელმწიფესა სურს დაიცვას სიმართლე და პატივი... რუსის ჯარის ყოფნამ თქვენს ქვეყანაში უნდა გვაშოროს ერთმანეთის

მტრობა-სიძულვილი და გულით შეგვათვისოს და დაგვახლოვოს ჩვენ ძმებთან. ჰოი, ძენო კეთილშობილის ქართველის ტომისანო, ძმანო ყოველთვის ერთგულთა და საყვარელთა ქვეშევრდომთა რუსის იმპერატორისათა“ („ივერია“, №8, 23 აპრილი, 1877). სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობას ჯერ კიდევ არ დაეკარგა ეროვნული ცნობიერება. სწორედ ამის შედეგი იყო რომ „რუსეთ-ოსმალეთის (1877-1878 წ.წ.) ომის დროს აჭარა მტკიცედ დადგა განმათავისუფლებელი არმიის მხარეზე“ (საქართველოს ისტორია, 1984). ოსმალთა საუკუნოვანმა ბატონობამ მაინც ვერ გააქრო სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობაში ეროვნული მთლიანობის შეგნება. დედასამშობლოსთან დაბრუნებას ალტაცებით შეხვდა მაჰმადიან ქართველთა დიდი ნაწილი. მოსახლეობის ასეთ განწყობილებას გამოხატავდა გულო კაიკაცოშვილი, რომელიც ქობულეთში შემოსული განმათავისუფლებელი არმიის მეზობლებზე მიმართვისას, 1878 წლის 19 აგვისტოს აღნიშნავდა: „ჩვენო ქართველებო, ჩვენო ძმებო, ნათესავებო და ბიძაშვილებო, თქვენი ჭირი მე, თქვენი, რომ ჩემმა თვალებმა დღეს თქვენ, ჩვენი ძველი ძმები... აქ, ქობულეთში დაგინახათ. ვმადლობ ღმერთსა და პატივს ვცემ მის განგებას, რომ ჩვენი და თქვენი ნატვრა შესრულდა, ღმერთმა შეგვაერთა... თქვენც ჩვენის დაახლოებით გაიხარებდით და მერე ჩვენის ასეთი შეერ-

თებით და ამ ერთიანობის სიყვარულით აღდგება და გაძლიერდება საქართველო, როგორც იყო იგი თამარის დროს. მაშ, გაუმარჯოს ჩვენს შეერთებას“ (სურგულაძე აბ., 1978).

ომის მსვლელობაში ქართველობა არნახულ ენთუზიაზმს ავლენდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ მეზობელი გურიისა და იმერეთის მცხოვრებლები. „გურულები ძალიან მხნეობასა და შესამჩნევ სურვილს ბრძოლაში მონაწილეობისას იჩენდნენ. ამას წინათ რამდენიმე 12-16 წლის ყმაწვილები მოვიდნენ თურმე ჯარის უფროსთან და ითხოვეს, რომ საცა ჩვენი მამები დ ძმები არიან, ჩვენც იქ უნდა ვიყვეთო. თოფი მოგვეცით და ჯარში ჩაგვაყენეთ“ („დროება“, №48, 1 მაისი, 1877). ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებას, აჭარის განთავისუფლებას განსაკუთრებული სიხარულით შეხვდა ქართველი ინტელიგენცია, საერთო განწყობილება დიდმა ილია ჭავჭავაძემ ასე გამოხატა: „...ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი... ჩვენი ძველი საქართველო, დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“ (ჭავჭავაძე ი., 1987). 1877-1878 წლების ომისადმი და ამ ომის შედეგად დედასამშობლოსთან დაბრუნებული აჭარისადმი ქართველი საზოგადოების დამოკიდებულების ნათელი გამოხატულება იყო 1878 წლის ნოემბერში თბილისში სამუსლიმანო საქართველოს დელეგაციის გულთბილი მიღება.

ჯემალ პარალიკა





პირველი ნახეჭდი ქართული ნიგნები

პირველი ქართული ნიგნი დაიბეჭდა რომში 1629 წელს. ეს იყო სტეფანე პაოლინის მიერ თეიმურაზ I-ის ელჩის, ნიკიფორე ირბაქის (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი) დახმარებით შედგენილი ქართულ-იტალიური ლექსიკონი. ნიგნი დაიბეჭდა სარწმუნოების გამაგრებლად სასულიერო საზოგადოების სტამბაში და განკუთვნილი იყო საქართველოში კათოლიკობის საქადაგებლად წამოსული მისიონერი ბერებისთვის. პროფ. გრ. წერეთელი წერს, რომ ეს ლექსიკონი არაერთხელ ყოფილა გადაბეჭდილი და რომ ერთი მათგანი დაცულია ვატიკანში. მეორე ქართული ნიგნი, რომელიც იმავე წელს დაიბეჭდა ამავე სტამბაში, იყო ქართული ანბანი ლოცვაპითურით.

1643 და 1670 წლებში მისიონერ-მა მარიო მაჯიომ ორჯერ გამოსცა „ქართული ენის გრამატიკა“, რომელიც აწყობილი იყო როგორც ნუსხური, ასევე მხედრული შრიფტით.

მეოთხე ქართული ნიგნი რომში 1681 წელს დაიბეჭდა. მას ასე იხსენიებს მიხეილ თამარაშვილი: „საქრისტიანო მოძღვრება სიმბოლოებით დარიგებული კარდინალ ბელარმინოსაგან და გადმოთარგმნილი პატრი ბერნარდო მარიამისაგან ნეაპოლელისა, კაპუჩინი, მქადაგებელი და მღვთისმეტყველი, იტალიანურის ენისაგან მხედრული ქართულითა ენითა.“ აქ მოხსენიებული მთარგმნელი ბერნარდო მარიამი ნეაპოლელი ერთი იმ მისიონერთაგანი ყოფილა, რომლებიც საკმაოდ კარგად ფლობდნენ ქართულს და ნიგნებსაც თარგმნიდნენ ქართულად. ჰუგო შუხარტს ტორე-დელ-გრეკოში (იტალიაში), კაპუცინთა ძველ ეკლესიაში უნახავს 14 ქართული ხელნაწერი, ბერნარდო ნეაპოლელის ხელით გადანერილი.

1741 წელს დაიბეჭდა დავით ტლუკაშვილის მიერ თარგმნილი და მომზადებული საქრისტიანო მოძღვრება. იგი რომში პაპის — ურბანოს II-ის მიერ შექმნილ უცხოთა კოლეგიაში მოღვაწეობდა. ამავე წელს საქრისტიანო მოძღვრების სათაურით კიდევ ერთი პატარა ქართული ნიგნი დაიბეჭდა. ევროპაში ქართულად ნიგნის

ბეჭდვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ევროპელი მისიონერები და ინტერესდნენ ქართული კულტურით. ამასთან, მზადდებოდა ნიადავი ქართული ნიგნის საქართველოში ბეჭდვისთვის.

ქართული სტამბის საქმიანობა რუსეთში

XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართული ნიგნის ბეჭდვის საქმე გრძელდება რუსეთში, ქართველი ემიგრანტების მიერ. ამ საქმეს საფუძველი ჩაუყარა სამშობლოდან გადახვეწილმა იმერეთის მეფე არჩილ II-მ. მისი ვაჟი — ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც პეტრე დიდის კარზე დაახლოებული პირი იყო, იმუშავდა ამ სტერდამში იმყოფებოდა. მან შეადგინა ქართული ასოების დამწერლობის ნიმუშები და გაუგზავნა ამ სტერდამში სახელგანთქმულ ასოთმქანდაკებელსა და ნიგნების ამწყობს მილოშ ტოტფალუმ კიუს, რომელმაც 1687 წელს თავისი შრიფტისთვის გამოიყენა ეს ნიმუშები და მიიღო ქართული ასომთავრულის, ნუსხა-ხუცურისა და მხედრული შრიფტების პირველი ანბანები. არჩილ მეფემ მოსკოვში სინოდის სტამბასთან დააარსა ქართული ნიგნსაბეჭდი, სადაც 1705 წელს გამოსცა „დავითნი“. არჩილს სურვილი ჰქონდა, გამოეცა სახარება და ხელნაწერებსაც აგროვებ-

DITTONARIO GIORGIANO E ITALIANO

COMPOSTO DA STEFANO PAOLINI con l'aiuto del M.R. P.D. Niceforo Irbachi Giorgiano, Monaco di S. Basilio.

AD VSO DE' MISSIONARII della Sagra Congregazione de Propaganda Fide.



IN ROMA, Nella Stampa della Sagra Congr. de Propag. Fide. MDCCXXIX.

CON LICENZA DE' SUPERIORI: Felice Minerva 1812.

ქართულ-იტალიური ლექსიკონი, 1629 წ.



„ლექსიკონი... ფრანსიზი...“
Dictionario Giorgiano-Italiano.

ს ა		
ბანი	abano	Bagno.
ბანი-ღი	abano-gi	Mache?
ბაბი	abachi	Dila.
ბაბი-ში	abachium	Sera.
ბაბი-ჭი	abachium	Compuzione
ბაბი-ჭი-ჭი	abachium-ghich	Bisfemare.
ბაბი-ჭი-ჭი-ჭი	abachium-ghich-ghich	Oriente.
ბაბი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი	abachium-ghich-ghich-ghich	Orientele.
ბაბი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი	abachium-ghich-ghich-ghich-ghich	Incoltante.
ბაბი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი	abachium-ghich-ghich-ghich-ghich-ghich	Facile.
ბაბი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი	abachium-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich	Facili.
ბაბი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი	abachium-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich	Di.
ბაბი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი	abachium-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich	Inondatione.
ბაბი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი	abachium-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich	Aria.
ბაბი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი	abachium-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich	Coprire.
ბაბი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი	abachium-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich	Annularis.
ბაბი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი	abachium-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich	Maltrattare.
ბაბი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი-ჭი	abachium-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich-ghich	Maltrattato.

და, მაგრამ არ დასცალდა. 1713 წელს ის გარდაიცვალა. არჩილის ხელნაწერები, შრიფტი და სტამბა დარჩა მის ასულს — დარეჯანს.

დარეჯანმა ქართული ნიგნის ბეჭდვა მღვდელ-მონაზონ ქრისტეფორე გურამიშვილის და არქიმანდრიტ გერმანეს დახმარებით განაახლა. აქ გამოცემულ ნიგნთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვან-



ნია „პირველი სასწავლო ყრმათათვის“. ის, სავარაუდოდ, 1732-1737 წლებში უნდა დაბეჭდილიყო (თარიღი არ ჩანს).

1736-37 წლებში დარეჯანის სტამბაში, პეტერბურგში, ქრისტეფორე გურამიშვილი გამოსცემს რუსულ-ქართულ ანბანს ლოცვებითურთ, რომელიც ბრწყინვალედ იყო გაფორმებული და ახლდა ლათინური და გერმანული შენიშვნები.

1737 წელს მოსკოვში ქართულ საგამომცემლო საქმიანობას სათავეში ჩაუდგა მთავარეპისკოპოსი იოსებ სამეხელი — კახეთის მეფის მდივან-მნიგნობრის — თამაზ ქობულაშვილის შვილი. ამ პერიოდში ის იმპერატრიცა ანა იოანეს ასულის ბრძანებით, ნოვგოროდის მიტროპოლიტის თეოფანე პროკოპოვიჩის თანაშემწედ დაანიშნაურეს და ამავე დროს პირველი ხარისხის იურიევის, ანუ წმინდა გიორგის მონასტრის წინამძღვრობა უბოძეს. ამ დროიდან იგი აქტიურ მოღვაწეობას იწყებს ქართული საქმისთვის. იოსები ცდილობდა, ქართული სტამბა მოეწყო მოსკოვში, მით უფრო, რომ ამ პერიოდში, პოლიტიკური ვითარების გამო, თბილისში სტამბის მუშაობა შეწყდა. ასეთივე სურვილი ჰქონდა ბაქარ ბატონიშვილსაც. დარეჯანის სტამბა პატარა იყო და არ ემაროდა მათი სურვილის განხორციელებისთვის. იოსებ სამეხელმა 3-4 წლის განმავლობაში თავისი სამსახურით მოახერხა საკმაო თანხის მოგროვება სტამბის დასაარსებლად და წიგნების ბეჭდვის დასაწყებად. ამ საქმის შესრულება იოსებმა მიანდო თავის ახლო ნაცნობსა და სანდო პირს — მღვდელმონაზონ ქრისტეფორე გურამიშვილს. მანაც 1737 წელს სამეხელის ხარჯით შეიძინა დარეჯან ბატონიშვილის სტამბა, ტექნიკურად გააუმჯობესა და საკმაოდ კარგად მოწყობილი სტამბა გამართა. სტამბის ზედამხედველობაც მას ჩააბარეს. სამეხელის სტამბის მუშაობაზე ზრუნავდნენ ასევე მოსკოვში დამკვიდრებული ქართველები ბაქარ ბატონიშვილის თაოსნობით. 1740



ვახტანგ VI

წელსვე, სინოდის ბრძანებით, იოსები გადაიყვანეს მოსკოვის ზნამენის მონასტერში, რომლის არქიმანდრიტადაც იგი დარჩა გარდაცვალებამდე (1750). მას შემდეგ, რაც მოსკოვში გადმოვიდა, მის უპირველეს საქმედ ქართული „დაბადების“ დაბეჭდვა იქცა (რომლის რედაქტირება არჩილმა დაიწყო). აღსანიშნავია, რომ ამ წიგნის დასაბეჭდად სტამბა დროებით გადატანილი იქნა ბაქარის ბინაზე დაბა ვსესვიატსკოეში. „დაბადების“ ბეჭდვაში მონაწილეობას იღებდნენ ბაქარ და ვახუშტი ბატონიშვილი. იოსებ სამეხელმა ქართული ტექსტი შეუდარა ებრაულ, სირიულ, ბერძნულ და სლავურ ტექსტებს. „დაბადების“ რედაქტირება დასრულდა 1742 წლის დამლევს, მაგრამ მისი ბეჭდვა ნაწილ-ნაწილ დაიწყო და 1743 წლის 1 მაისს დასრულდა. **ცნობილია, რომ 1737-44 წლებში მოსკოვის ქართულ სტამბაში დაიბეჭდა 11 სქელტანიანი წიგნი, ძირითადად, სასულიერო ლიტერატურა. მათ შორის იყო „ზადიკი“, „ღავითნი“, „სახარება“, „ტისტამენტი“, არსენ იყალთოელის თარგმანი იოანე დამასკელის „ბარდმოცემა აუცილ-**

ბელი მართლმადიდებლისა სარწმუნოებისა“, „მარხვანი“ და სხვ. სამწესაროდ, ეს გამომცემები არ შემორჩენილა.

გადმოცემით, იოსებ სამეხელი გარდაიცვალა გზაში, როდესაც მოსკოვიდან წამოსულა და თან სტამბაც წამოუღია. დაუმარხავთ ქ. ასტრახანში. ანდერძით მას სტამბა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტრისთვის (გარეჯის უდაბნოში) დაუტოვებია.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში რუსეთში ქართული წიგნის ბეჭდვა განახლდა თბილისის მიტროპოლიტის — ათანასე ამილახვრის თაოსნობით. პლატონ იოსელიანის ცნობით, ათანასე ამილახვარი ვახტანგ VI-ეს გაჰყოლია რუსეთში. აქ იგი ეკურთხა არქიმანდრიტად. შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და მიიღო მროველობა. ათანასე თეიმურაზ და ერეკლე მეფეებთან დაახლოებული და მათი სანდო პირი იყო. 1752 წელს ის გაგზავნილი იქნა რუსეთში დახმარების სათხოვნელად. ათანასემ რუსეთის მთავრობის პასუხი სვიმონ მაყაშვილის ხელით გაუგზავნა მეფეებს და თვითონ მოსკოვში დარჩა. რუსეთის მთავრობამ მას საცხოვრებლად ჯვართამაღლების მონასტერი მუჩინა. 1761 წელს მან სინოდისგან ქართული სტამბის დაარსების ნებართვა გამოითხოვა. ერთი ცნობით, მან ბაქარის ვსესვიატსკოეში დარჩენილი სტამბის ნაწილი შეიძინა, გამართა და დაიწყო საქმიანობა. 1766 წლის შემდეგ მის მიერ მოსკოვში დამბეჭდილი წიგნები არ მოგვეპოვება.

1796-1801 წლებში გაცხოველებულ მუშობას ეწეოდა მოზდოკში გაიოზ რექტორის მიერ დაარსებული სტამბა.

პირველი ქართული სტამბები საქართველოში

საქართველოში პირველი ქართული სტამბა დააარსა მეფე ვახტანგ VI-მ (1675-1737) თბილისში, მტკვრის სანაპიროზე საგანგე-



ბოდ ამისთვის აგებულ შენობაში 1708-1709 წლებში. მან სტამბის გამმართველად ბულგარეთიდან მოიწვია სახელგანთქმული ოსტატი მიხაი იშტვანოვიჩი, წარმოშობით ქართველი ბულგარელი განმანათლებლის, სასულიერო მოღვაწის და მესტამბის — ანთიმოზ (ერობაში ანდრია) ივერიელის მონაფე. ანთიმოზმა ვახტანგ VI-ს სტამბის გამმართველის საჭირო ყველანაირი ტექნიკა და მასალა გაუგზავნა. შეიქმნა და ჩამოისხა პირველი ქართული შრიფტი. პირველი ქართული წიგნები, რომლებიც 1709 წელს ვახტანგისეულ სტამბაში დაიბეჭდა, იყო სახარება — ოთხთავი და „დავითნი“. ისინი მხოლოდ შავი საღებავით, ნუსხური შრიფტით იყო დაბეჭდილი. ვახტანგმა ნუსხური შრიფტის მაგივრად შემოიღო უფრო მარტივი მხედრული შრიფტი. შემდეგ წიგნებში შრიფტთა სხვადასხვაობა შეინიშნება. სტამბაში შემოვიდა ნითელი საღებავიც. **აქ დასტამბული წიგნები ტოლს არ უდებდა ევროპაში დაბეჭდილს, უმაღლესი დონის იყო ტექნიკური თუ მხატვრული შესრულების ყოველი მხარე: კარგი ხარისხის ქაღალდი, მტკიცე და ფაქიზი აკინძვა, მაღალმხატვრული შემკობა-დასურათხატება (გრაფიურით).**

1712 წელს თბილისის სტამბაში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“. მას თან ახლდა კომენტარები, რომელიც სულხან-საბას ძმამ — ნიკოლოზ ორბელიანმა, იგივე თბილელმა, გერმანე მღვდელმონაზონმა, კვიპრიანე სამთენელმა, გარსევან-გაბრიელ მღვდელმა, ვახტანგის ძმამ — კათალიკოსმა დომენტიმ და თვით ვახტანგმა დაურთეს. ეს იყო „ვეფხისტყაოსნის“ პირველი მეცნიერული შესწავლის მცდელობა, რაც საკმაოდ წარმატებულად მოხერხდა. **კათალიკოსი დომენტი მეცნიერება რუსთველოლოგიის დამფუძნებლად ითვლება.**

1712 წელს ვახტანგი სპარსეთში გაიწვიეს, რის შემდეგაც სტამბამ მუშაობა ბევრად შეანელა. 1713-20 წლებში მხოლოდ 5 წიგნი დაიბეჭდა. 1721-22 წლებში სტამ-



პირველი საღვთისმეტყველო სახელმძღვანელო, 1711 წ. ტაქსტს პართვის სტამბის დამაარსებლის ვახტანგის ანდრეიძე

ბას ერთგვარი აღორძინება ჰქონდა, ვახტანგის ვაჟმა — ბაქარმა და ვახუშტი ბაგრატიონმა გამოსცეს ვახტანგის თარგმნილი „ქმნულების ცოდნის წიგნი“, ანუ „აიათი“ — სასკოლო სახელმძღვანელო და სამეცნიერო წიგნი. ბოლო წიგნი, რომელიც 1722 წელს აქ დაიბეჭდა, იყო „ჟამნი“. 1723 წელს ოსმალთა შემოჭრის გამო სტამბა დაიხურა. 1709-1722 წლებში სტამბაში სულ 19 წიგნი დაიბეჭდა.

ვახტანგ მეექვსის შემდეგ თბილისში სტამბის განახლება ერეკლე II-მ ითავა. მისი სტამბა 1749-1802 წლებში ფუნქციონირებდა. თავდაპირველად განახლებული სტამბა მოთავსებული იქნა საპატრიარქო სასახლეში, ხოლო შემდეგ — **სამეფო პალატაში**, ანუ, როგორც ხანდახან უწოდებდნენ, **სამეფო ეზოში**. ერეკლემ ახალი შრიფტი ჩამოასხმევინა და სტამბის მოსაწყობად კონსტანტინეპოლიდან პოლოს ოჰანისიანი დაიბარა. სტამბაში, ძირითადად, საეკლესიო წიგნები იბეჭდებოდა. 1800 წელს ერეკლეს სტამბაში დაიბეჭდა დავით ბატონიშვილის ნარკვევი, ანუ მსოფლიო ისტორია. ამ პერიოდის გამოცე-

მებზე ხანდახან დართული იყო ცნობები მისი ტირაჟის შესახებ. წიგნები 400-დან 1000 ტირაჟამდე იბეჭდებოდა.

1795 წელს თბილისში შემოჭრილმა ალა-მაჰმად-ხანმა სტამბა მიწასთან გაასწორა. აღმოსავლეთ საქართველოში პოლიგრაფიული საქმიანობა XIX საუკუნის 30-იან წლებამდე შეწყდა.

XIX საუკუნის დასაწყისში სტამბა დაარსდა ქუთაისში. იმერეთის მეფე სოლომონ II-ის ინიციატივით, 1803 წელს ამ სტამბას სათავეში ჩაუდგა მოზდოკის სტამბიდან მოწვეული რომანოზ რაზმაძე-ზუბაშვილი. იმერეთის სტამბა 1809-1811 წლებში მუშაობდა სოფელ წესში, 1815-1817 წლებში კი საჩხერეში (ზურაბ და გრიგოლ წერეთლების კარ-მიდამოში). ამის შემდეგ წიგნის გამოცემა კვლავ შეფერხდა. ცნობილია, რომ, მოსკოვისა და პეტერბურგის გარდა, სხვადასხვა დროს ქართული წიგნი გამოდიოდა, აგრეთვე, პარიზსა და მონთიბანში (საფრანგეთი), ლონდონში, ბერლინში, ვენეციაში, კონსტანტინეპოლში, კავკავში, ბაქოსა და სხვ. მათ გარკვეული როლი შეასრულეს ქართული წიგნის ისტორიაში.

1836 წელს ქართული წიგნის გამოცემა თბილისში კვლავ გამოცოცხლდა. 1851-1867 წლებში სულ 142 ქართული წიგნი გამოვიდა. ბეჭდვითი საქმის განვითარებაში განუზომელი წვლილი მიუძღვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. გარდა თბილისისა, სტამბები დაარსდა ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, ოზურგეთში, ზუგდიდში, სენაკში, ხონში, გორში, თელავში, სიღნაღსა და ზესტაფონში. თბილისში ამ პერიოდისთვის არსებობდა 19 სტამბა, რომლებშიც იბეჭდებოდა წიგნები, ჟურნალები და გაზეთები. XIX საუკუნის სამოციანი წლებისთვის საქართველოში განვითარდა საგამომცემლო საქმე და ქართული წიგნის ბეჭდვა აღარ შეჩერებულა.

ნიკო ივანიანი

ქართული საიუველირო ხელოვნების ისტორიის მოკლე მიმოხილვა

საიუველირო საქმე კაცობრიობის ერთგვარი ისტორიაა. კეთილშობილ ლითონთა მხატვრული დამუშავების ძველთაძველი ტრადიციები, საუკუნეთა მანძილზე ქართველ ხელოსანთა მიერ შექმნილი ძეგლები ის მდიდარი მემკვიდრეობაა, რომელიც საქართველოში მის სინამდვილეში მრავალსაუკუნოვანი წარსულიდან მოდის. საქართველო საიუველირო ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი კერაა. იგი სამართლიანად ითვლება ლითონის დამუშავების ერთ-ერთ უძველეს სამშობლოდ მსოფლიოში. საქართველოს მიწის წიაღი მდიდარია მადნეული რესურსებით, ხოლო არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ აქ ადამიანები სპილენძს პირველად ჯერ კიდევ ძვ.წ. III ათასწლეულში ამუშავებდნენ და საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომებმა უკვე იცოდნენ ბრინჯაოს დამზადება. იმ დროიდანვე ეუფლებიან ისინი სხვა ლითონებსაც: ტყვიას და სტიბიუმს (ანტიმონიუმი), ვერცხლსა და ოქროს.



ძველი სასაფთაო საქიდი. ძვ.წ. IV ს. პანო

ქართულ საიუველირო ხელოვნებას ფესვები შორეულ წარსულში აქვს. ბრინჯაოს ხანიდან ქართული საიუველირო ხელოვნება მალალ დონეზე იდგა. ქართული ოქრომჭედლობა სათავეს იღებს შორეულ წარსულში და დიდ წარმატებას აღწევს. ოქრომჭედლობის განვითარება საქართველოში არ იყო და არ შეიძლებოდა ყოფილიყო სწორხაზოვანი, ერთი აღმავალი ხაზით მიმართული. ძველი საქართველო მუდამ იყო ცივილიზებული სამყაროს ორგანული ნაწილი, ამიტომ ქართული ოქრომჭედლობა განვითარების ყველა საფეხურზე კანონზომიერად ატარებდა თავისი ეპოქის ნიშნებს, ამავე დროს, მას ჰქონდა ეროვნული თავისებურებებიც, რომლებიც ერთი მხრივ განასხვავებდა ქართველთა ნახელავს მათი თანადროული უცხოური ნაწარმისაგან, მეორე მხრივ კი აკავშირებდა საქართველოში სხვადასხვა დროს შექმნილ ძეგლებს, როგორც განვითარების კიბის სხვადასხვა საფეხურებს.

საქართველოში ოქრომჭედლო-

ბის აღმავლობის რამდენიმე პერიოდი ცნობილი. პირველი დიდი აღმავლობა საქართველოს ტერიტორიაზე განიცადა ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში.

საქართველო სამართლიანად ითვლება კეთილშობილი ლითონების მოპოვების და დამუშავების ერთ-ერთ უძველეს კერად მსოფლიოში, რისი დასტურია დღემდე შემორჩენილი უცხოელი ისტორიკოსების და მკვლევარების წერილობითი წყაროები, რომლებშიც პირდაპირი თუ არაპირდაპირი მინიშნებებითაა ოქროს არსებობა. ასევე, მოცემულია კონკრეტული ცნობები ოქროს მოპოვების ხერხებსა და ქართველი ხელოსნების მიერ ხალასი ოქროს ნედლეულისაგან საიუველირო ნაკეთობების დამზადების ტექნოლოგია.

საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილ ადრებრინჯაოს ხანის ყორღანებში აღმოჩენილი ფერადი და შავი მეტალურგიის წარმოების მძლავრ კერებთან ერთად ნაპოვნია კეთილშობილი ლითონების სადნობი და სანარმოო კე-

რებიც, სადაც შემორჩენილია გარკვეული დანიშნულების სხმული და სხვადასხვა შემცველობის ზოდები, რაც დასტურია იმისა, რომ აქაური ოქრომჭედლები ოქროს ნედლეულს ამუშავებდნენ — როგორც ძირეული საბადოებიდან მოპოვებულ ოქროს, ასევე ქვიშრობი საბადოებიდან მოპოვებულ ხალას მასას.

ბრინჯაოს ხანაში ძვირფას ქვებზე მოთხოვნილებათა მკვეთრმა ზრდამ გამოიწვია მათი მასობრივი გამოყენება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მინერალი სარდიონი. საკმარისია ითქვას, რომ მარტო სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილია სარდიონის რამდენიმე ათასი ფაქიზად დამუშავებული მძივი. გარდა სარდიონისა კვარცის ჯგუფის მინერალებიდან ბრინჯაოს ხანაში გამოყენებულია მთის ბროლი, აქატი, ონიქსი და სხვ. არქეოლოგიური მასალებიდან ჩანს, რომ ბრინჯაოს ხანაში გიშრიდან მძივების დამზადებას უკვე მასობრივი ხასიათი ჰქონია. ადგილობრივ მოპოვებულ ძვირფას და სანახე-



ლავო ქვებთან ერთად ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ ძეგლებს შორის არის შემოტანილი ქვეები — მარჯანი, ქარვა.

საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილ ადრებრინჯაოს ხანის ყორღანებში აღმოჩენილი ოქროს უძველესი სამკაულის განხილვა გვიჩვენებს, რომ ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის აქაური ოქრომჭედები უკვე ფლობდნენ ლითონის დამუშავების უმთავრეს ხერხებს — ჭედვას, ჩამოსხმას და რჩილვას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის დიდი ყორღანების კულტურა, როდესაც შეიქმნა პოლიქრომული სტილის მსოფლიო მნიშვნელობის შედეგები — თრიალეთში ნაპოვნი სარდიონებით შემკული ოქროს თასი.

თრიალეთელი ხელოსნებისთვის უკვე ცნობილი იყო თითქმის ყველა ტექნიკური ხერხი. ამ დროისათვის ჩვენ გვაქვს მაღალმხატვრული, რთული და ფაქიზად დახვეწილი გემოვნებით შესრულებული ოქრომჭედური ნაკეთობანი. ჩანს, რომ ოქრომჭედელნი — იუველიერები დაუფლებულნი ყოფილან მაღალ ოსტატობას.

ოქრომჭედლობის თრიალეთურ ნაწარმში უკვე შეიმჩნევა ზოგიერთი ისეთი ნიშანი, რომელიც



ოქროს თასი. XIX-XVIII სს. ძვ.წ. თრიალეთი, ნალკა. ოქროს ერთი ფურცლისგან დაგზავილულ თასს ორგანი კედელი და ღრუ ფეხი აქვს. ოქროს პუდეაში ჩასმულია სარდიონი, ლაშვარდი, ნითელი იასპი, გიშარი, მინისებრი ვასტა

მიჰყვება ქართულ ოქრომჭედლობას მთელი მისი განვითარების მანძილზე და, ამდენად, მის ეროვნულ-განმასხვავებელ თავისებურებად შეიძლება მივიჩნიოთ. ესაა ფერების თავშეკავებული გამოყენება და მათი შერჩევა-შეხამება. ქართველი ხელოვანი მუდამ გაურბოდა ცივ, კაშკაშა ტონებს და ერთ ნივთში იშვიათად ხმარობდა ორზე მეტ ფერს. ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები არასოდეს ყოფილა ჭრელი.

თრიალეთის კულტურის (ძვ.წ. XV საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვის II—III საუკუნეები) ძეგლების შესწავლისას მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ იმ დროისათვის ჩვენ წინაპრებს სცოდნიათ ლითონის ფურცლების განწევით დამუშავება და ჰქონიათ ამ პროცესების შესრულებისთვის საჭირო ჩარხი და სახელოსნო იარაღები.

ბედენისა და ალაზნის ველის გორასამარხებში (ძვ.წ. 2300-2000 წწ.) აღმოჩენილი ოქროს ნაკეთობანი დამზადებულია ურთულესი ტექნიკური ხერხების გამოყენებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ძვ.წ. IV ათასწლეულის პირველი ნახევრის ოქროს ნივთები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია პოლიქრომული ყელსაბამი. ამ დროის ქართველ ოქრომჭედელთათვის ნიშანდობლივია ფერების განსაკუთრებული შერჩევა — შეხამება. ძვ.წ.

VI-IV სს. ქართული საიუველირო ხელოვნების სტილს განსაზღვრავს გრანულაცია, გვიან ანტიკურ ხანაში კი — პოლიქრომია.

ქართული საოქრომჭედლო ხელოვნების საუკეთესო ქმნილებები, ნოსირის (სენაკის რაიონი) განძის (ძვ.წ. VIII-VII სს.) ოქროს ნივთებია: ჭვირული მძივები, გავარსიანი საყურეები, გველის თავის გამოსახულებით დაბოლოებული წნული სამაჯური და სხვ. სწორედ აქედან იწყება ანტიკური ხანის ქართული ოქრომჭედლობის აღმავლობა, რომელმაც განვითარების უმაღლეს დონეს ძვ.წ. V-IV საუკუნეებში მიაღწია.

განსაკუთრებით დიდი რაოდენობის საოქრომჭედლო ნაწარმი აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარში. ქალის სამკაულის რამდენიმე სრული კომპლექტი, რომლებიც შეიცავს ჭედური ორნამენტით შემკულ თავისებურ დიადემებს, სხვადასხვა ფორმის საყურებსა და სასაფეთქლე საკიდებს, ყელსაბამებსა და სამაჯურებს.

ვანის ნაქალაქარის სამარხები ყველა საფუძველს გვაძლავს იმისათვის, რომ (ძვ.წ. V-IV საუკუნეები) ძველ ვანის ახლო მეზობელი ცენტრების (აქიმენიძური, ეგვიპტა, ირანი, კვიპროსი) გვერდით კოლხეთიც დავასახელოთ.

ვანის ნამარხებში აღმოჩენილი ნივთებიდან გამოირჩევა ცხო-



სამაჯური. V-IV სს. ძვ.წ. ვანი. ოქროს მთლიანი სხმული ჯინჯის თავების გამოსახულებით. დამატებით დამუშავებულია ბრავირებით.



ველთა თავებით შემკული ზურგ-შედრეკილი სამაჯურების სტილისტურად განსხვავებული ერთი ჯგუფი. სამაჯურის ბოლოებზე გამოსახულია თავები. ასევე აღმორჩენილია ოქროსა და ვერცხლის ფარაკიანი საბეჭდავი ბეჭდები, რომლებზეც გამოსახავდნენ ღვთაებებსა და მათ ატრიბუტებს. ასეთი ბეჭდები მარტო სამკაული არ იყო, საბეჭდადაც იხმარებოდა.

საინტერესოა და ყველაზე საყურადღებოა ვანში აღმორჩენილი ოქროს გავარსიანი ნივთები, რომელიც, აგრეთვე, ადგილობრივი ნახელავია.

ვანის სამარხში ნაპოვნი ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშები — სკულპტურული სახეებით დაგვირგვინებული სამაჯურები, ნაირსახოვანი ყელსაბამები, გავარსით მორთული სასაფეთქლები, ჭედური გამოსახულებიანი დიადემები მოწმობენ, რომ ძვ.წ. VI და განსაკუთრებით V — IV საუკუნეებში ვანი იყო საიუველირო ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი. 1969 წელს აქ კოლხი მეომრის სამარხში აღმოჩნდა ოქროს ფიგურები ცხენისა და ფრინველის ერთიმეორეზე მირჩილული გამოსახულებებით. ვანის ადრე ანტიკური ხანისაა ოქროს მეფური დიადემა, რომლის რომბისებრ ფირფიტებ-

ზე ამოტვიფრულია სცენა: **ხვადი ლომების თავდასხმა ხარზე.**

არქეოლოგ ჯ. ნადირაძეს აღნიშნული აქვს, რომ საჩხერეში გემიან ბეჭდებს შორის გვხვდება ბეჭდის თვლები, რომლებიც დასამუშავებლად გაუმზადებიათ და ბოლომდე არ არის დასრულებული. ეს ფაქტი იმაზე მიგვითითებს, რომ თვლებზე ამოკვეთილი ზოგიერთი ბერძნულ-რომაული სიუჟეტი ადგილობრივი ოსტატების მიერ უნდა იყოს შესრულებული.

ქართული საიუველირო ხელოვნების ცენტრი ძირითადად მაინც მცხეთა უნდა ყოფილიყო. აქ აღმოჩნდა ანტიკური ხანის ქართული ოქრომჭედლობის უამრავი და იშვიათი ნიმუშები. ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ. მცირე ხელოვნების შედეგს შეიძლება მივაკუთვნოთ არმაზისხევის ერისთავთა სამარხებში აღმორჩენილი ორი გულსაკიდი და ნნული სამაჯური, ტახის მცირე ზომის ქანდაკება, ასპარუგის სარტყლის ბალთები, დიადემა და სხვ. აქ სამთავროს ველზე ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა დაკრძალული ოქრომჭედელი საიუველირო ხელსაწყობით, სასნორ-სანონებით და გათლილი თვლებით (საიუველირო ქვებით). სამთავროს ნეკროპოლში ნაპოვნი ქვის სამკაულები მიგვითითებს



შემოქმადის კვადრიფოლიუმი. სასულის კვადრიფოლიუმი. ფირფიტა "შირამის" კოვაკონიციით

ქვის ჭრის მაღალ ტექნიკასა და ძველი მცხეთის სავაჭრო კავშირებზე სხვა ქვეყნებთან. ამ დროს მცხეთის ქვის საჭრელ სახელოსნოებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა და უზრუნველყოფილი იყო საიუველირო ქვების დასამუშავებელი ფაქიზი ხელსაწყობით.

ოქროს ფერი და ელვარება საკმარისი არ აღმოჩნდა მშვენიერების მაძიებელი დიდოსტატებისთვის. ჯერ კიდევ არმაზისხევაში აღმორჩენილი ანტიკური ხანის ოქროს საყურეებზე, სარტყლებსა და სამაჯურებზე არის გამოყენებული ფერადი მინა-ტიხრული მინანქარი.

ადრეანტიკურ ხანაში სამკაულის წარმოებისას ქართველი ოქრომჭედლები იშვიათად იყენებდნენ ფერადი ქვების ინკრუსტაციას. ფერადი ქვებით შემკული სულ რამდენიმე ნივთია ცნობილი. აღსანიშნავია ვანში აღმოჩენილი პოლიქრომული გულსაკიდი ფირფიტა, რომელზეც ფერადი ფრინველები და ფასკუნჯებია გამოსახული.

გვიანანტიკური ხანის საქართველოში ვრცელდება ბერძნულ-რომაული წარმოების საიუველირო ქვები — **ინტალიოები და კამეები.** ზოგიერთ სამკაულზე ქართველი დიდებულების პორტრეტებიც არის გამოსახული, რაც მიუთით-



წყვილი საყურა. IV ს. ძვ.წ. საქაგური. ახალგორის ბანაძე. ოქრო, შტამპი, ბავარსი

წყვილი საყურა. ოქრო, მარბალიტი, მინა. სიგრძე 70 მმ. საერთო წონა 13,85 გ. IV ს.



თებს საქართველოში ქვის მჭრელთა სახელოსნოების არსებობას.

III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნეში პოლიქრომული სტილის განვითარება ქართულ ოქრომჭედლობაში თავის ლოგიკურ დასასრულს აღწევს. ამ პერიოდის სამკაულში ოქრომ საბოლოოდ დათმო პოზიციები ბრტყლად გათლილი ფერადი თვლებისთვის. გახშირდა ქვის ნაცვლად ფერადი პასტის ინკრუსტაციის ხმარება. პირველად ამ ხანაში ვრცელდება მარგალიტიც.

X-XIII საუკუნეები ერთიანი ფეოდალური საქართველოს ოქროს ხანად ითვლება. ამ პერიოდში არნახულ გაფურჩქვნას მიაღწია მეცნიერებამ, ლიტერატურამ და ხელოვნებამ. ამ დროის ქართული ეკლესიების კედლებზე შემონახული ფრესკული მხატვრობა ადასტურებს სამკაულის წარმოების აღმავლობას, მაგრამ ნივთიერად სამკაული გასაოცრად მცირე რაოდენობით შემოგვრჩა. თამარ მეფის სადა უპრეტენზიო გულსაკიდი ჯვარი და რამდენიმე სხვა ნივთი. მეფის ოქროს ჯვარი შემკულია ხუთი ბრტყელი ლალით, ოთხი დანახნაგებული ზურმუხტით და ექვსი



ლომის ფიგურა. XIII ს. კვ. ნ. ნორო, კახეთი. ჩამოსხმული ოქრო, შვიკული რელიეფური ორნამენტით, გავარსისა და ბრეხილის იმიტაციით

მარგალიტით. ჯვრის უკანა პირზე სევადით გამოყვანილი ასომთავრული წარწერაა, რომელიც გვამცნობს, რომ მისი მფლობელი მეფეთმეფე თამარი იყო. სიცოცხლეში თამარ მეფე ამ ჯვარს არ იშორებდა. შუა საუკუნეებში გრძელდება ოქრომჭედლობის უფრო ადრე ჩამოყალიბებული ტრადიციები. ამის მაჩვენებელია ქართველ ოქრომჭედელთა თუ ოქრომქანდაკებელთა — ასათ მოქმედის, ბექა და ბექენ ოპიზრების, მამნე ოქრომჭედლისა თუ სხვათა შემოქმედება.

შუა საუკუნეების ტიხრული მინანქრის ძეგლები, რომელიც საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია თავმოყრილი, გამოირჩევა სიმდიდრით, მრავალფეროვნებითა და მაღალი მხატვრული ღირებულებებით.

ეს კოლექცია ღირსეულ მეტოქეობას უწევს ვენეციის მინანქრის უმდიდრეს საგანძურს. საიუველირო წარმოების ტიხრული მინანქრის უამრავი მინიატურული ხატი და მედალიონი ძველი ქართული ოქრომჭედლობის უკანასკნელი და უდიდესი აღმავლობის მაუწყებელია.

საქართველოში XVI საუკუნის ჩათვლით შემონახულია ტიხრული მინანქრის წარმოება. სხვა ქვეყნებში (ბიზანტია, რუსეთი) უფრო ადრე გაქრა და გაძნელდა ტიხრული მინანქრის აღდგენა. 1974 წელს ქართველმა ოსტატმა

ვაჟა ჩხეიძემ შეძლო „ღვინისფერი“ მინანქრის მიღება.

XIV-XVIII საუკუნეების ქართული ხელოვნება, მათ შორის ოქრომჭედლობა მოექცა ერთი მხრივ, სეფიანთა ირანისა და მეორე მხრივ ევროპული კულტურის ორმაგი გავლენის ქვეშ. ამის კვალია ირანული ფირუზის მოჭარბება და მინანქრის მოხატულობის გაჩენა ქალის სამკაულში, რომელთა წარმოება კვლავ გამოცოცხლდა, როგორც კი სული მოითქვა დაუსრულებელი ომებისაგან. შუა საუკუნეებში და უფრო გვიან, XIX საუკუნეში, ძვირფასი სამკაულების შესახებ ცნობებს გვანდის მზითვის წიგნები. საქართველოს რუსეთთან შეერთების პერიოდის ტიპურ ნაწარმად შეიძლება ჩაითვალოს სამეგრელოს მთავრის მეუღლის — ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულ ეკატერინეს პირადი სამკაულები: დიადემები, სამაჯურები, გულსაკიდი და საყურეები, რომელთაც ინსიგნიის მნიშვნელობაც ჰქონდათ. ისინი დამზადებულია ადგილობრივი ხელოსნების მიერ XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ფირუზის სიჭარბე ირანული ტრადიციების გავლენაზე მეტყველებს, მოხატული მინანქარი (ფინიფტი) მაშინ შედარებით ახალი მოვლენა იყო და ქართულ ოქრომჭედლობაში რუსეთიდან გავრცელდა.

ფ. თავაძის და ი. ანდრიაშვილის ცნობით, XVIII—XIX საუკუნეების



გულსაკიდი ჯვარი, ოქრო, 5 ბრტყელი ლალი, 4 დანახნაგებული ზურმუხტი, 6 მარგალიტი, სივანე. XII ს.



ჭედური ხელოვნების ოსტატებს შორის აღსანიშნავია მასხარაშვილის, კოსტას, ნიკო გურჯის, როსტომის, მეუნარგიას, ჭედიას, ვახტანგ, კოსტა და ფილუ ძაძამიძეების, სიმონ არჯევანიძის, გიორგი ილურიძის, არჩილ ასათიანის, მიხეილ და დავით მამულაშვილების და სხვათა მიერ შექმნილი თეგური ხელოვნების ნიმუშები (ხატები, აზარფუშები, ყარყარები და სხვ.). თეგური ხელოვნების ნამდვილი ტრადიციების უკანასკნელი წარმომადგენლები არიან მამა-შვილი მიხეილ და დავით მამულაშვილები და მათი ტრადიციების გამგრძელებელი, ჩვენი დროის თეგური ხელოვნების გამორჩეული ოსტატი გიორგი ხანდამაშვილი. აი, რას წერს მამულაშვილების შემოქმედებაზე ქართული ხალხური ხელოვნების გულშემმატკივარი არტემ გაბუნია: „ისეთმა სახალხო ოსტატებმა როგორებიც მამა და შვილი მამულაშვილებია და რომლებიც მუშაობდნენ „მთეგავებად“ გასული საუკუნის შუა წლებში მალალ დონეზე აიყვანეს ჭემმარიტად ხალხური ხელოვნება. მიხეილ და დავით მამულაშვილების ნაწარმოებებში თითქმის ყოველთვის ჩანს ძველი ქართული ჩუქურთმები, რომელთა ფონზე წარმოდგენილია სხვადასხვა ჟანრის სურათები, ხშირად გაჩუქურთმებულია აგრეთვე ადამიანის გამოსახულებები, რომელნიც ერწყმიან მცენარეულ და გეომეტრიულ ჩუქურთმებს“ (ფ. თავაძე, ი. ანდრიაშვილი).

ძველი ქართული ოქრომჭედლობის შინაგანი ძარღვი, რომელიც არ განყვეტილა ათეული საუკუნეების მანძილზე, უფრო უკეთ გამოსჭვივის XIX ს-ის ყელსაბამ ჯვრებში, რომლებიც ლალითა და ზურმუხტითაა შემკული. მარგალიტის საკიდებებიც უნებლიედ ადრეულ შუა საუკუნეებს გვაგონებს.

XIX საუკუნის თბილისი რჩებოდა ხელოსნობისა და მათ შორის, ლითონის მხატვრული დამუშავების არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის უდიდეს

ცენტრად. ოქრომჭედლებისა და „ვერცხლის“ ქუჩაზე ჩამწკრივებულ სახელოსნო-დარბაზებში ქართველი ხელოსნების გვერდით ლეკი და სომეხი ოქრომჭედლები ისხდნენ. მათი ერთობლივი შრომით იქმნებოდა ის განუმეორებელი კოლორიტის მქონე ნაწარმი, რომელსაც თბილისური ეწოდებოდა. ოქრომჭედლობის მეორე მსხვილი ცენტრი საქართველოში, კერძოდ ახალციხეში ცნობილი იყო თავისი სწორუპოვარი ფილიგრანული ნაწარმით. ახალციხური ვერცხლის სარტყლები და ოქრო-ვერცხლის ჭვირული სამკაული დღესაც ალტაცებას იწვევს.

სამკაულის წარმოების უძველესი ტრადიციები არ ჩამკვდარა სოფლად, მთასა თუ ბარში, სამეგრელოსა და იმერეთში, ხევსურეთსა და სვანეთში, სადაც ბოლო დრომდე მზადდებოდა ტრადიციული, სადა, მაგრამ ეპიკური სიდიდით აღსავსე სამკაული.

ვერცხლის სამკაულს ქართველი ოქრომჭედლები ტრადიციულად სევადით ამკობდნენ. სევადი შავი მასაა, რომლითაც ივსებოდა ვერცხლის ნივთებზე ამოკვეთილი ორნამენტი. სევადი კეთილშობილი ლითონის შემკობის ნამდვილად ადგილობრივი ქართული და კავკასიური ხერხია, რომლის ისტორიაც საქართველოში სულ ცოტა ორიათას წელს ითვლის. საქართველოში უძველესი სევადიანი ნივთები – ჟინვალსა და ცხინვალში აღმოჩენილი ვერცხლის თასები I-III საუკუნეებით თარიღდება. შუა საუკუნეებში ჭედური ხატები ხშირად სევადით იყო შემკული. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა სადაც სევადს ოქროს ნივთების შესამკობადაც იყენებდნენ. ცნობილია ოქროს რამდენიმე ხატი რომლებზეც ორნამენტი სევადითაა გამოყვანილი.

ც. ზვიადაძის ცნობით, XX საუკუნეში ქუთაისში საიუველირო ხელოვნების ტრადიციებს აგრძე-

ყელსაბამი. V ს. ძვ.წ. მანი. ცენტრალური დიდი კუს გარდა ყველა დანარჩენი გამოსახულება მირჩილულია ოძროს მიძვეზზე და აქვს ცისფერი პასტიო ინკრუსტირებული თვალები



ლებენ: შამშე წულეისკირი, ვალერიან ახვლედიანი, ვარლამ ჯღამაძე, მიხა ქვარიანი, ნესტორ ფანცულაია, ტრიფონ და ვასილ ახვლედიანები, იაკობ ზაქარაია, ვლადიმერ ჩხეტია, სინო ძნელაძე, საბა ქობულაძე, გარსევან კენჭაძე, იოსებ გვეტაძე, კაკო ლომიძე, კონია ცაგარეიშვილი, ზუგდიდელი ოქრომჭედლები ფილუ ძაძამიძე, ძმები თომა და ამბროსი ჯიქიები და სხვ. ოქრომჭედლები აგრეთვე სხვა ქალაქებში იყვნენ. ვერცხლის სამკაულების დამზადების დამოუკიდებელი კერა არსებობდა სვანეთში.

უნდა აღინიშნოს გიშრის სამკაულთა წარმოების უძველესი ცენტრი იმერეთსა და ოკრიბაში. ქართული გიშერი და გიშრის ნაწარმი საექსპორტო საგანი იყო და საქართველოდან შორს გადიოდა უკვე ანტიკურ ხანაში. გიშერი გამორჩეულად უყვარდა მუდამ ქართველ ხალხს და საუკუნეთა განმავლობაში ეს სიყვარული არ დაკარგულა. გიშრის კეთილშობილური ელვარება მშვენივრად ესადაგებოდა ქართველი ქალის დახვეწილ გემოვნებას, მის სადა, უპრეტენზიო ჩაცმულობასა და სამკაულს.


XIX საუკუნეში ჩვენში ოქრომჭედელს — იუველირს, რატომღაც მეზრილიანტეს („ბრილიანტიჩიკს“) უწოდებდნენ. თბილისსა და ქუთაისში არსებობდა პროფესიული ამქარი, რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ ოსტატები, ქარგლები და შეგირდები უსტაბაშის ხელმძღვანელობით, ჰქონდათ ამქართა დროშები.



ქართული ნავთობი

საქართველოში ნავთობისა და გაზის რესურსების რაოდენობრივი შეფასება გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო. იმ პერიოდში, როცა საქართველოში, კერძოდ თბილისისპირა რაიონში, შუაეოცენურ ვულკანოგენურ-დანალექ წყებაში, ახალი, მაღალდებიტიანი საბადოების აღმოჩენას დაედო სათავე. შემდგომში ასეთი სამუშაოები გარკვეული პერიოდულობით, 4-5 წელიწადში ერთხელ წარმოებდა. ყოველ მომდევნო პერიოდში ახალი გეოლოგიურ-გეოფიზიკური და სარეწაო მასალების დაგროვების ხარჯზე რესურსების რაოდენობა ცვლილებებს განიცდიდა მატებისკენ. ამ და საქართველოში ნავთობმოპოვებასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე საუბარს განაგრძობს გეოლოგი ნოდარ ბერიძე

(დასარქული. დასაწყისი იხ. „ისტორიული მემკვიდრეობა“ №8)



ნავთობისა და გაზის რესურსების რაოდენობრივი შეფასების ბოლო დაზუსტება 2002 წელს მოხდა, რომლის თანახმად, ნავთობის გეოლოგიური რესურსები ხმელეთზე? 1,29 მილიარდი ტონით, ამოსაღები? კი 450 მილიონი ტონით განისაზღვრა; ზღვის აქვატორიისთვის კი შესაბამისად — 1,15 მილიარდი და 400 მილიონი ტონით, ე. ი. მთლიანად საქართველოში, იმ დროინდელი მონაცემების გათვალისწინებით, ნავთობის დარჩენილი გეოლოგიური რესურსი 2,44 მილიარდ ტონას, ამოსაღები კი 850 მილიონ ტონას.

ნავთობის დარჩენილი რესურსების იმავე განაწილების თანახმად, საქართველოს ნავთობ-გაზიანი რაიონებისა და ბლოკების მიხედვით ასეთი სურათი გამოიხატა: სამხრეთ საქართველოში (XIII-XIV ბლოკები) შესაბამისად გეოლოგიური და ამოსაღები მარაგები იყო 80 და 30 მილიონი ტონა; გარე კახეთში (XII) — 265 და 75 მლნ ტ; თბილისისპირა რაიონში (XI) — 200 და 70 მლნ ტ; მთიან კახეთში (X) — 222 და 75 მლნ ტ; ქართლში (IX) — 130 და 45 მლნ ტ; აჭარა-თრიალეთში (VIII და VII) — 110 და 45 მლნ ტ; გურიაში (VII) — 100 და 35 მლნ ტ; იმერეთში (VI) — 100 და 40 მლნ ტ; კოლხეთში (V და IV) — 85 და 35 მლნ ტ.

მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ გარე კახეთის ნავთობ-

გაზმომცველი რაიონი ნავთობის რესურსების გეოლოგიური და ამოსაღები მარაგებით, შესაბამისად, 265 და 75 მილიონი ტონით სხვა რაიონებს მნიშვნელოვნად უსწრებს.

ივის მტკიცება, რომ საქართველოში ნავთობი არ არის, ყველა სავარაუდო სტრუქტურა რომ გადაიზარდოს და უარყოფითი შედეგი მივიღოთ, მაშინაც კი არ იქნება სწორი.

არის თუ არა ნავთობი საქართველოში?

ამ კითხვას ყველაზე მოკლე და ამომწურავი პასუხი პატრიარქის კომისიამ გასცა ერთი პატარა ცხრილით.

მასში ჩანს, რომ ამ მხრივ მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანას ჩამოვრჩებით (ვენესუელა, ერაყი, ქუვეიტი, ყატარი, საუდის არაბეთი, არაბეთის ემირატები, ლიბია), დანარჩენებს კი ვაჭარბებთ (აშშ-ს, მექსიკას, ბრაზილიას, ინგლისს, რუსეთს, ყაზახეთს, ალჟირს, ნიგერას, ჩინეთს, ავსტრალიას, ინდოეთს, ინდონეზიას).

გადაჭრით ითქვას: ნავთობი, რა თქმა უნდა, არის საქართველოში და იმაზე მეტიც კი, რაც ჩვენი პატარა ძველის მოსახლეობას შეესაბამება. ასე რომ, ახლა მხოლოდ მისი კარგად მოძიება, სეის-

მო-დაზვერვითი (2D და 3D) და ღრმა საძიებო და საექსპლოატაციო ბურღვითი სამუშაოების ჩატარება იქნება საჭირო, რათა ის არსებული პერსპექტივა, რომელიც ქართულ ნავთობს გააჩნია, რეალობად, ხელშესახებ შეშმარიტებად ვაქციოთ.

უფლისციხე № 5

ეს მნიშვნელოვანი ჭაბურღილია, რომელიც კლდეში ნაკვეთი ქალაქის, უფლისციხის, ოდნავ ჩრდილო-დასავლეთით არის გაბურღული. უფლისციხის №5 ჭაბურღილის დასინჯვაზე, 1990 წელს მომუშავე ნავთობისა და გაზის სერვისული კომპანიის მუშაკთა ზეპირი გადმოცემის თანახმად, გამოცდა წყალზე ჩატარდა. ჰიდროსტატიკური წნევა 223 ატმოსფერო იყო, დეპრესია გადაეცა 47 ატმ-ზე. წნევა 4 ატმ აღდა 64 წუთში.

ეს ჭაბურღილი ზუსტად შეესაბამება 1970-იანი წლების დროინდელ სამგორის იმ ჭაბურღილებს, რომლებსაც დამსინჯველებმა უპასუხისმგებლობის, უცოდინარობის თუ სხვა მიზეზთა გამო მას მაშინ „სასიკვდილო განაჩენი“ გამოუტანეს? — „მშრალიაო,“ შემდგომში კი სამგორის იმ სახელგანთქმული №7-დან ნავთობის მიღების მერე ყველა მათგანმა დიდი ნავთობი მოგვცა.

ასე რომ, ამ შემთხვევაშიც ჩვენ შეიძლება დიდი ქართული ნავთობის შიგ შუაგულ ქართლში აღმოჩენის პერსპექტივის წინაშე ვიდგეთ.

შეკვეთი № 1

ახლა მინდა ყურადღება სულ სხვა მხარეს, მთიან კახეთს მივაპყრო და იქ გაბურღულ, ჩემის აზრით, მნიშვნელოვან ვეძების №1 ჭაბურღილს (X ბლოკი) შევეხო, რომელიც ახმეტის რაიონის სოფელ ვეძებთან მდებარეობს. მისი გაბურღვა 902 მეტრამდე მოხერხდა და ორი ძირითადი – მეორე და მესამე ნავთობშემცველი ჰორიზონტი გაიხსნა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მესამე ჰორიზონტის გახსნა 851-902 მ-ის ინტერვალში, საიდანაც 18 საათში 12.5 მ3 ნავთობი იქნა მიღებული. ჩვენი აზრით, ახლაც კი 2,5-3,0 მ3 ამ ჭაბურღილის შესაძლებლობის ზღვარი არ უნდა იყოს.

„ფიქლების რეპოლუცია“

ფიქლების გაზისა და ნავთობის წარმოების თვალსაზრისით, საქართველოსაც შეუძლია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. მთელ ქვედაიურულ და შუაიურულს ააღენურს სართულის (ლიასურ) ნაღველებში, გარდა ართვინ-ბოლნისისა და ლოქ-ყარაბაღის ზონებისა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სხვა ნაღველებთან ერთად ყველგან ფიგურირებს: შავი თიხაფიქლები, ასპიდური თიხაფიქლები და თიხაფიქლები. ისინი აქა-იქ სხვა ნაღველებშიც გვხვდება, გვაქვს ნვადი ფიქლებიც, რომლებშიც 20-დან 60-80%-მდე საპროპელურ (ორგანული ნივთიერებაა, რომელიც ძირითადად ზოო და ფიტო პლანქტონის ნაშთების ხარჯზე წარმოიშობა) ორგანულ ნივთიერებებს შეიცავს. ისინი უჭაეროდ გახურებისას ნავთობის მაგვარ ფისებად (ფიქლების ზეთად), მშრალ საწვავ გაზად და წყლად იშლება. ფისის გამოსავალი ფიქლებიდან, ღარიბი ფიქ-



ლების შემთხვევაში, მშრალი ქანის 5-10%-ია. ყველაზე მდიდარი სახესხვაობების შემთხვევაში კი — 30-50%. ასე რომ, არც ამ მხრივ უნდა ჩამოვრჩეთ დროსა და ვითარებას და ჩვენც გადავდგათ ქმედითი ნაბიჯი „ფიქლების რეპოლუციის“ მიმართულებით. ყარასნვერის № 1 ჭაბურღილის საპროექტო და ფაქტიურ მონაცემებს თუ გადავხედავთ, საკმარისი იქნება იმის ნათელსაყოფად, რომ დიდი ზარ-ზეიმით გაკეთებული სეისმიკა არაფრის მაქნისი აღმოჩნდა. გავლილი ქანების სტრატეგრაფიული დაყოფის რამდენიმე ვარიანტი არსებობს, მაგრამ არც ერთ მათგანთან საპროექტო მონაცემები ახლოსაც არ მიდის. **სარჯის ძირითადი ნაწილი იჯარას სმარლება** „ჯინდალ პეტროლეუმი“ სარემონტო სამუშაოებს აწარმოებდა IX და X ბლოკების ტერიტორიაზე 2010-2011 წლებში. პირველ წელიწადს 448 363 ლარი დახარჯა (ხელფასების გარდა), მეორე წელიწადს — 819 413 ლარი. აქედან 368 711 ლარი (45%) საბურღი დახარჯის იჯარა იყო, 157 353 ლარი — (19%) პრევენტორის იჯარა. უფლისციხის № 5 ჭაბურღილზე

„ჯინდალ პეტროლეუმი“ სამუშაოები აწარმოა და 2011 წლის დეკემბრამდე 243 687 ლარი დახარჯა (ეს 2012 წელსაც გაგრძელდა) და ამ დროში საბურღი დანადგარის იჯარამ 121 676 ლარი (49,9%) შეადგინა, პრევენტორის იჯარამ კი — 59 860 ლარი (24,6%). ე. ი. **მთლიანმა იჯარამ მთელი დახარჯული თანხის 74,5%, ანუ 181 536 ლარი შეადგინა.** აქ უკვე აღარ ვანგარიშობთ იმავე დაზგის რემონტისა და სათადარიგო ნაწილებისთვის დახარჯულ 3 480 ლარს, მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ერთი მხარეა. მთავარი მაინც ის არის, თუ რა გაკეთდა ამ ფულით. თუმცა სვაბირებისას ნავთობის შემოსვლა დაფიქსირდა, სამუშაოს დამთავრების საშუალება არ მოგვცეს. ჩავაცემენტეთ. მერე ყინვები დაიწყო და მუშაობის გაგრძელება ვეღარ მოხერხდა. ახლა კი ის ჭაბურღილიც მიტოვებულია. ჩემი ამ წერილის ამოცანაა, რომ ის პერსპექტივები მაინც, რომლებიც უდავოდ არსებობს, ხელიდან არ გავუშვათ, რაც შეიძლება მალე ჩავატაროთ საქირო სამუშაოები და მაშინ დავრწმუნდებით, რომ დიდი ქართული ნავთობი არსებობს და მას დიდ ფულთან ერთად მხოლოდ საქმის მოყვარული ადამიანების ხელი და გულის მიდევნება აკლია. **ნოდარ ბერიძე**



ქართველი მედიკოსები კარდიოლოგთა შორის სერთიფიცირდნენ კონგრესზე

ალექსანდრე ალადაშვილი:

დღეს საქართველოში თითქმის არც ერთი სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულება არ არის, კვალიფიციური კადრები კი კალმან სობანა

მედიცინა და ჯანდაცვა თანამედროვე მსოფლიოში აქტიურად თემაა. პრესტიჟული საერთაშორისო ორგანიზაციები ყოველწლიურად არაერთ კვლევას აქვეყნებენ იმის თაობაზე, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ სხვადასხვა ქვეყანაში. წამყვან სამეცნიერო წრეებში დანერგილ ნოვაციებს მედიკოსები შემდგომ სპეციალურ კონფერენციებზე ეცნობიან, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება კი კვალიფიკაციის ამალღებაში ეხმარებათ.

ახლახან ჰოლანდიის დედაქალაქ ამსტერდამში ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების კონგრესი გაიმართა. ღონისძიება ერთი კვირა გაგრძელდა და მასში საქართველოდან ორმოცამდე დელეგატი მონაწილეობდა. როგორც საქართველოს კარდიოლოგთა საზოგადოების ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ალექსანდრე ალადაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, შეკრება ძალზე ნაყოფიერი იყო.



— ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოება აქამდე მოიცავდა ევროგაერთიანების ქვეყნებს, ახლახან კი მას შეუერთდა აზიაც, — გვიამბობს ბატონი ალექსანდრე, — მაგალითად, ჩინეთი და ახლო აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყანა. ეს არის ძალიან მაღალი დონის ორგანიზაცია და საქართველო ამ ორგანიზაციის წევრია. ჩვენთვის ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა მომავალში კიდევ უფრო გავაღრმავოთ თანამშრომლობა.

— როგორც ვიცი, ეს ორგანიზაცია ყოველწლიურად აწყობს შეკრებებს.

— დიას, კონგრესი ყოველ წელსა და სხვადასხვა ქვეყანაში იმართება. მაგალითად, შარშან იყო მიუნხენში, წელს, მოგეხსენებათ, ამსტერდამში ჩატარდა და გაისადიქნება ბარსელონაში. ეს კონგრესები მიზნად ისახავს, ერთის მხრივ, ურთიერთობების დამყარებას და თანამშრომლობას კოლეგებს შორის; მეორე მხრივ კი — სიახლეების წარმოდგენას კარდიოვასკულური მედიცინის სფეროში. აქ იგულისხმება, ძირითადად, კლინიკური კვლევების შედეგების დემონსტრირება, ნოვაციური მეთოდების გაცნობა და ა. შ.

— წლევანდელ კონგრესზე რა სიახლეები იყო?

— კონგრესზე წარმოდგენილ სიახლეთაგან ჩვენი ექიმებისთვის განსაკუთრებით სინტერესოა 4 ახალი გაიდლაინი: არტერიული ჰიპერტენზიის მართვა, დიაბეტი და კარდიოვასკულური დაავადებები, გულის ელექტროკარდიოსტიმულაციისა და სტაბილური კორონარული დაავადების მართვა. ამ გაიდლაინებში მოცემულია სასაქონლო მემბრანების ახალი სტანდარტები.

ჩვენ გვქონდა 2 მეტად მნიშვნელოვანი შევხვედრა ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტთან პროფესორ ვარდასთან



და ამავე ორგანიზაციის ვიცეპრეზიდენტთან, პროფესორ ბაქსთან. ამ შეხვედრების დროს განვიხილეთ საქართველოში კარდიოლოგიის განვითარების აქტუალური საკითხები და პრობლემები, აგრეთვე, ევროპის კარდიოლოგიის საზოგადოებისა და ჩვენი საზოგადოების მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები.

— რამდენად კმაყოფილი დარჩით?

— დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი კარდიოლოგებისთვის მეტად სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოება დიდ ყურადღებას იჩენს სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, ნაციონალური საზოგადოებების მუშაობისადმი. **ევროპელები განსაკუთრებულად ინტერესდებიან, თუ როგორ მიმდინარეობს მათი კლინიკური რაიომენდაციების (გაიდლაინების) დანერგვა საქართველოში პრაქტიკაში.** ასევე მათი ინტერესის მნიშვნელოვან საგანს წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში კარდიოლოგების პროფესიული მომზადების პროცესი და შესაბამისი მზადების პროგრამების ევროპულ რეკომენდაციებთან ჰარმონიზაციის საკითხი.

— ამ პროცესს თვითონვე გააკონტროლებენ?

— ეს მათ ფუნქციაში არ შედის. ისინი, უბრალოდ, გაძლევენ რეკომენდაციას და, გაითვალისწინებთ თუ არა, უკვე შენზეა. სამედიცინო განათლების ხარისხის კონტოლი შესაბამისი ადგილას ადგილას სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მოვალეობაა.

— ცნობილია, რომ მთელ მსოფლიოში ძალიან მაღალია გულსისხლძარღვთა დაავადებების გავრცელების სიხშირე და მათ მიერ გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებლები. ამ მხრივ საქართველოში რა მდგომარეობაა და პრევენციისთვის რა კეთდება?

— სამწუხაროდ, საქართველოშიც ანალოგიური სიტუაციაა.

უფრო მეტიც, ბოლო წლებში გამოიკვეთა ამ დაავადებების გაახალგაზრდავების მკაფიო ტენდენცია. ასე მაგალითად, საგრძნობლად გახშირდა მიოკარდიუმის ინფარქტის შემთხვევები 35-50 წლის მამაკაცებსა და ქალებში. ცხადია, ამას თავისი მიზეზი აქვს, მაგრამ ახლა ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს.

— ზოგადად, კარდიოლოგია რა დონეზეა დღეს საქართველოში, რამდენად განვითარებულია ეს მიმართულება?

— ჩვენ ვმონანილებოთ კონგრესებში, სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციასა და შეკრებაში, მაგრამ ეს არაა საკმარისი. **მედიცინის განვითარების ძირითადი საფუძველი ეკონომიკაა. ამიტომ, სანამ არ იქნება ეკონომიკა სტაბილური დონეზე, საუბარი იმაზე, როდის დავინერგოთ ევროპას, ჯადმეტი.**

— თქვენ დასაწყისში კადრების მომზადება ახსენეთ. დღესდღეობით საქართველოში მიღებული განათლება არ ითვლება პრესტიჟულად და სტუდენტების დიდი ნაწილი, რომელსაც სერიოზული პროფესიული კარიერის მოწყობა უნდა, სწავლის დამთავრების შემდეგ ძირითადად დასავლეთში მიდის. მედიცინაში რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ?

— აქაც სერიოზული პრობლემებია. კერძოდ რას ვგულისხმობ: ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იმისთვის, რომ მიიღო დიპლომი, ანუ კვალიფიკაცია, უნდა გაიარო სპეციალური მომზადება, რომელსაც ჩვენ ვეძახით რეზიდენტურას. ევროპული რეკომენდაციით „ზოგადი პროფილის კარდიოლოგის“ მომზადებას სჭირდება არანაკლებ ექვსი წელი, ჩვენთან კი ბოლო დრომდე კარდიოლოგების პროფესიული მომზადება მიმდინარეობდა 3-წლიანი პროგრამით. ახლა თქვენ თვითონ იმსჯელებთ, მომზადების დონეზე. ევროპელებს კარდიოლოგების პროფესიული მზადებისთვის სჭირდებათ ექვსი წელი, ჩვენ კი ისე-

თი ნიჭიერები ვართ, მზადებას ნახევარ დროში ვახერხებთ?!

— გამოდის, რომ დაბალი დონეა?

— მე შეფასებებისგან თავს შევიკავებ... ჩვენმა საზოგადოებამ უკვე შეიმუშავა და ჯანდაცვის სამინისტროში წარადგინა ახალი, უფრო გრძელვადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა, რომელიც მაქსიმალურად არის მიახლოებული შესაბამის ევროპულ ანალოგთან. დარწმუნებული ვარ, ამ პროგრამის დამტკიცება და პრაქტიკული ამოქმედება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საერთაშორისო სამედიცინო სტანდარტებისკენ.

— თავის დროზე ვინ და რატომ ჩათვალა საკმარისად სამწლიანი სწავლება?

— ამას ვერ გეტყვით, ალბათ, ისევ და ისევ ეკონომიკასთანაა ეს ყველაფერი დაკავშირებული. ფაქტი ისაა, რომ პაციენტი ზარალდება, ვინაიდან კვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებას ვერ იღებს.

— კვალიფიციური ექიმების ნაკლებობაა?

— ჩვენს მიმართულებაში ასეა, მაღალკვალიფიციური კარდიოლოგები ძალიან ცოტაა. ზუსტად ამიტომ ვამბობთ, რომ, თუ არ გაუმჯობესდა და დაიხვეწა სწავლის პროგრამა, პრობლემები ვერ მოგვარდება; პირიქით, ამ მოქმედი პროგრამით კიდევ უფრო გაიზარდება დაბალი დონის, არაკვალიფიციური კარდიოლოგების რაოდენობა, რომელიც ისედაც ჭარბია.

— რაც შეეხება ჯანდაცვის პროგრამას, წინა ხელისუფლების დროს მუდმივად გვესმოდა, რომ მოქალაქეების დიდი ნაწილი ვერ ახერხებდა ექიმთან მისვლას. დღეს რა მდგომარეობა გვაქვს, რამე თუ გაუმჯობესდა?

— ეს ძალიან კომპლექსური პრობლემაა და ამის ასე მარტივად განხილვა შეუძლებელია. არ მინდა იმაზე საუბარი, რომელი ხელისუფლების დროს რა გაკეთდა, მაგრამ, მოკლედ შემიძლია, გითხრათ, ადრე რა იყო. პირველ



რიგში პრობლემა შექმნა იმან, რომ კერძო სადაზღვევო კომპანიების სისტემის განვითარება ნაწილობრივ არასწორი გზით. **აღრე, როცა ერთიანი სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია არსაზომად, მისი მომსახურების საფასური 1 %-ს შეადგენდა, ე. ი. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხიდან 99% ხმარდებოდა პაციენტის სამედიცინო მომსახურებას.**

ახლა კი ამ კერძო კომპანიებმა ყველაფერი თავდაყირა დააყენეს; როგორც ჟურნალისტები წერდნენ, პაციენტამდე მიდიოდა გადახდილი თანხის მხოლოდ 50 პროცენტი და ეს, იცით, რატომ ხდებოდა? იმიტომ, რომ კომპანიებს თავის დროზე არ დაუწესეს მომსახურების ღირებულების დამოკიდებულების ლიმიტი. ამის პარალელურად ჩატარდა სამედიცინო დაწესებულებების აბსოლუტურად გაუაზრებელი ტოტალური პრივატიზაცია, რომლის ანალოგი ცივილიზებული სამყაროს სამედიცინო პრაქტიკისთვის არ არის ცნობილი. ამის შედეგად, პრაქტიკულად, არც ერთი სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულება არ დარჩა. დღეს ყველა კარდიოლოგიური კლინიკა არის პრივატიზებული, რომელთა ისედაც ჭარბ რაოდენობას კიდევ და კიდევ ემატება ახალი კლინიკები.

— რა არის ამაში ცუდი?

— სამედიცინო სფეროში არ შეიძლება წმინდა კომერციული ბიზნესის პრინციპებით ხელმძღვანელობა, აქ ყველაფერი სხვანაირადაა. არადა, ეს დაწესებულებები რომ იხსნება, კაციშვილი არ კითხულობს, **სჭირდება თუ არა ქვეყანას და მის მოსახლეობას ამდენი კარდიოლოგიური კლინიკა ან რა კადრებითაა ისინი დაკომპლექტებული და რა ტექნიკა გააჩნიათ. აბა, მითხარით, რომელ ცივილიზირებულ ქვეყანაში შეიძლება ნახოთ სამედიცინო დაწესებულება, რომლის ერთ კორპუსში ერთდროულად ფუნქციონირებს დამოუკიდებელი სამი, ოთხი და მეტი კარდიოლოგი-**



რი (ან სხვა ერთნაირი) პროფილის კლინიკა?

თითოეული მათგანი პრივატიზებულია და წარმოიდგინეთ, რა იქნება ის...

ახლა რაც შეეხება, ჯანდაცვის ახალ სისტემას. მე და ჩემი კოლეგები ამას უფრო იმედის თვლით ვუყურებთ, იმიტომ, რომ აქ მაინც ვხედავ მცდელობას, შექმნან ერთიანი ჯანდაცვის სისტემა და სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია. ჩემი აზრით, ეს სწორია და აუცილებელიცაა, ვინაიდან ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში, იგივე ბალტიისპირეთს რომ გადავხედოთ, ყველგან ასეა — **ძირითადი, მაღალტექნოლოგიური და მაღალი ღირებულების მქონე სამედიცინო მომსახურება ფინანსდება სახელმწიფო მიერ ერთიანი სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიის მეშვეობით. კერძო კომპანიების წვლილი ამ პროცესებში მცირეა.**

— კერძოდან სახელმწიფო სადაზღვევო სისტემაზე გადასვლა სერიოზულ თანხებთანაა დაკავშირებული. გააჩნია ეს თანხა საქართველოს?

— თანხები შეიძლება გამოინახოს, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ თანხების სწორად და რაციონალურად ხარჯვა. აქაც პრობლემას ქმნის ჭარბი რაოდენ-

ობის სამედიცინო დაწესებულებების, მრავალი კერძო სადაზღვევო კომპანიის არსებობა, იმიტომ, რომ ძალიან ბევრია, განაწილება და გაკონტროლება ძნელია.

— რა შეიძლება გაკეთდეს მათი რაოდენობის შესამცირებლად?

— ეს არ არის ჩემი კომპეტენცია და ვერ გიპასუხებთ, ამაზე ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა იმსჯელოს. სალაპარაკოდ ადვილია, მდგომარეობა კი გაცილებით რთულია...

— გასაგებია, მაგრამ, ალბათ, თავის მხრივ, მედიკოსებმაც უნდა მიანოდონ ხელმძღვანელობას იდეები.

— მთავარი აქ მაინც პოლიტიკური ნებაა. მე და ჩემს კოლეგებს გვაქვს ჩვენი აზრი და შეხედულება საქართველოში კარდიოლოგიური სამსახურის განვითარების პერსპექტივების თაობაზე. შესაბამისი სამთავრობო უწყებების დაინტერესების შემთხვევაში, მზად ვართ თანამშრომლობისთვის, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, ძირითადი ღონისძიებები სამთავრობო დონეზე უნდა გაკეთდეს. რეალურად ეს შესაძლებელია, ამიტომ იმედი ვიქონიოთ მდგომარეობის გამოსწორების; ყოველ შემთხვევაში, ამის გარკვეული მცდელობა არის, დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

ესაუბრა ჯაბა ჟვანიანი

ლეგენდა — სესილია თაყაიშვილი

1950 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება,
1966 წელს სსრკ სახალხო არტისტი გახდა; დაჯილდოებული იყო
ლენინის, შრომის წითელი დროშის ორდენებით;
1982 წელს მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება;
1983 წელს ბოლო წლებში შექმნილი მხატვრული სახეებისთვის —
შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.

სესილია დიმიტრის ასული თაყაიშვილი დაიბადა 1906 წლის 17 სექტემბერს ბათუმში. მამა — დიმიტრი თაყაიშვილი გახლდათ თეატრისა და პოეზიის მოტრფიალე, თვითონაც წერდა იუმორისტულ ლექსებს; დედა — მარიამ თაყაიშვილი.

სესილია ბავშვობიდანვე ეზიარა თეატრალურ ხელოვნებას. შალვა დადიანის „მოგზაური დასის“ ერთ-ერთმა მსახიობმა, ელ. ანდრონიკაშვილმა, განიზრახა საშინაო წარმოდგენების დადგმა ბავშვებისთვის. წარმოდგენას ეწოდებოდა „ყვავილთა შორის“. ერთ-ერთი ყვავილის როლზე მან მიიწვია დიმიტრი თაყაიშვილის შვიდი წლის გოგონა სესილია, რომელიც ამ სპექტაკლში ბავშვის როლს კი არ თამაშობდა, არამედ ყვავილის, მეორე შემთხვევაში კი ანგელოზის როლი ათამაშეს (ნ. ურუშაძე, „სესილია თაყაიშვილი“, თბ. 1988წ. გვ.9). ასე დაიწყო პატარა გოგოს დიდი ცხოვრების გზა. გავიდა დრო და მას სცნობდნენ

უკვე ყველგან — მისი სახელის ხსენებაც კი საკმარისი იყო.

1923-26 წლებში სესილია სწავლობდა თბილისის ა. ფაღავას დრამატულ სტუდიაში. სტუდიის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა რუსთაველის თეატრის დასში, სადაც 1930 წლამდე მუშაობდა. მისი პირველი როლი იყო ჯადოქარი ფატიმა (ვ. ვახვახიშვილის პანტომიმა „მზეთამზე“).

1930-66 წლებში სესილია თაყაიშვილი მოღვაწეობდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

მან ქართულ სცენაზე 120-მდე როლი განასახიერა.

მანანასა და ზურიკელას ბეზიას, შვილიშვილების ჭკუაზე დატრიალებულს, არამარტო საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც გვეცილებოდნენ. სწორად აღნიშნა მასზე ფრანგმა რეჟისორმა ჟან დაკანტმა, როცა სესილია თაყაიშვილი „მე ბეზია, ილიკო და ილარიონში“ იხილა: **„ეს თქვენი კი არა, ჩემი ბეზიაა, რომელიც ახლა პროვინციაში ცხოვრობს“.**



სესილია თაყაიშვილს არ უყვარდა თავისი თავის ხილვა ფილმებში და გადაღებებზეც დისკომფორტს განიცდიდა: „არ მიყვარს კინოაპარატი, იგი თავიდანვე მაშინებს, მთელი ფიქრი და გრძნობა მასთანაა დაკავშირებული, მაგრამ მე რე დრამატურგიული სახე ნთქავს ყოველივეს და ერთადერთი ამოცანა — მოვატყუო, გამოვთიშო ჩემი შეგნებიდან ეს აპარატი — მთლიანად მიპყრობს. როგორც კი არ ვგრძნობ ხოლმე აპარატს, მუშაობა გაცილებით მიადვილდება“. ერთ-ერთ თავის უკანასკნელ ინტერვიუში მსახიობი ამბობდა: „არ მიყვარს ჩემი თავი ეკრანზე, რადგან ვიცი, რაც გაკეთებულია, ვერ დააბრუნებ, ვერ



ქართველი გავიის მარადიული ხატება





გაასწორებ და არ მინდა, კიდევ ერთხელ დავრწმუნდე, რომ შეიძლება გაცილებით უკეთ მეთამაშა“.

სესილიას მეუღლე გახლდათ მსახიობი ვასო გოძიაშვილი, რომლისგანაც შეეძინა ერთადერთი შვილი — დავითი. ვასოს ძალიან უყვარდა სესილია, მაგრამ გამოუსწორებელი მექალთანე იყო, ამიტომ ექვსი წლის შემდეგ დასცილდნენ ერთმანეთს.

სესილია სიამაყით ამბობდა: „მეორე სართულიდან გადმოვუყარე ჩემოდნები“. პატიება ვერ შეძლო, მაგრამ მისი სიყვარული სიცოცხლის ბოლომდე შეინახა და უკანასკნელ გზაზეც ღირსეულად გააცილა.

სესილიას არ უყვარდა ხალხის შეწუხება, იცხოვრა ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებით და ამ ქვეყნიდან მიმავალმა ანდერძად დატოვა: „ვთხოვ ჩემიანს ყველას, შემისრულონ ეს თხოვნა. არავითარ შემთხვევაში თეატრში არ გადამიყვანონ, ჩემი არ გადაყვანიტ შეწყდება თეატრში ხშირი სიკვდილი. მერწმუნეთ, არავითარ შემთხვევაში, მუხლმოდრეკილი გეხვეწებით, დიდუბე არ მიყვარს და გთხოვთ, ნუ გამოძებნით ჩემთვის ადგილს, საბურთალოში — თუ შეიძლება. რა საჭიროა საპატიო ყარაული. ნუ დალლით ხალხს. არავითარი სიტყვები: ვიყავი, ვშრომობდი და დასრულდა ჩემი ცხოვრება. იმედია, ასე მშვიდად და წყნარად მიაბარებთ ჩემს ნეშტს ცივ მიწას“.

სესილია თაყაიშვილი გარდაიცვალა 1984 წლის მაისში და, მისი თხოვნის შესაბამისად, საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში განისვენებს.

მიხაილ თუმანიშვილმა სესილიას გარდაცვალება სამუდამო ტკივილად შეაფასა: „როგორ უნდა ამზადდებდეს საკუთარ თავს უბედურებისთვის, რამდენიც უნდა იფიქრო ყოფნა-არყოფნაზე, როდესაც ეს უბედურება მოგადგება, სრულიად უძლური ხდები საკუთარი ფსიქიკის, ნერვების წინაშე და მთელი შენი არსება აუტანელი ტკივილით ივსე-



„მე, ბაბია, ილიკო და ილარიონი“

ბა, გეუფლება საშინელი შეგრძნება იმისა, რომ ეს ადამიანი ველარასოდეს დაგვიბრუნდება. აი, ახლაც ასეა: ჩვენგან წავიდა სესილია, რომელსაც არ ეშინოდა სიკვდილის და ასე უყვარდა სიცოცხლე, მსახიობი, რომელიც თავისი ხელოვნებით ბედნიერებას და სიამაყეს გვანიჭებდა. აღარ არის ჩვენთვის მისი თბილი ღიმილი, მისი არაჩვეულებრივი კეთილი თვალები, შინაგანად რომ გვეალერსებოდა და გვათბობდა.

ჩვენგან წავიდა „რეალისტური“ (როგორც თავის თავზე ამბობდა) მსახიობი. წავიდა და თან წაიღო უაღრესად ცხოვრებისეული და ამასთანავე უჩვეულო, სრულიად

განსაკუთრებული ხასიათების შექმნის საიდუმლოება. თითქოს არც კი თამაშობდა და ამავე დროს როგორ გვაოცებდა, გვაღელვებდა მისი ხელოვნება“.

ოთარ მელვინიძე უსუსტვისის მოგონებებიდან:

„ინსტიტუტიდან თეატრში ახალი მისული ვიყავი, რომ შილერის „მარიამ სტიუარტის“ როლები განაწინილეს. სესილია თაყაიშვილი ელისაბედის როლს ამზადებდა. მე ეპიზოდურ როლზე დამნიშნეს და ყველა რეპეტიციამ ჩემ თვალწინ ჩაიარა. რა დამამახსოვრდა უპირველესად? ქ-ნ სესილიას თავგანწირული, გახელებული სურვილი, შეჭრილიყო გმირის როლში და კანში, მოერგო, თავისად ექცია იგი და ამით სხვად ქცეულიყო.

თეატრში ამ პერიოდში არ მახსოვს ნუთი, წამი, რომ ქ-ნ სესილიას, როლის გარდა, სხვა რაიმესთვის დაეთმოს ყურადღება. **საქმის ფანატიკოსი მიწასავე, მამრამ ასეთი ერთგული — არა. ეს იყო სრული შეწირვა და, რა თქმა უნდა, ასეთ შრომას მთელი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე არ შეიძლება დიდი ოსტატობა არ მოჰყოლოდა ლობიკაშვილს შედეგად“.**



„ცისფერი მთაბი“



1955 წელს რეჟისორმა ვასო ყუ-
შიტაშვილმა მარჯანიშვილის თე-
ატრის სცენაზე ფრიდრიხ შილერ-
ის „მარიამ სტიუარტი“ დადგა.
სპექტაკლი ქართული თეატრის
ისტორიაში არაა მიჩნეული შედეგ-
რად, მაგრამ ამ სპექტაკლში შექმ-
ნილი ორი მხატვრული სახე — ვე-
რიკო ანჯაფარიძის განსახიერე-
ბული მარიამ სტიუარტი და სესი-
ლია თაყაიშვილის ელისაბედ ტიუ-
დორი სამუდამოდ დარჩა ქართუ-
ლი თეატრის ისტორიაში. სახასი-
ათო, კომედიური როლების დი-
დოსტატი სესილია თაყაიშვილი
მაყურებელმა ტრაგედიაში იხილა,
იხილა და განცვიფრდა — მის წინ
სრულიად ახალი რაკურსით წარ-
მოჩინდა სესილია თაყაიშვილი.

ქალბატონი სესილია ხშირად
ამბობდა თურმე, — არ ვიცი, რო-
გორ ვმუშაობო როლზე. თუ ეს
გულწრფელი ნათქვამი იყო, გა-
მოდის, რომ ნიჭი არ ასვენებდა და
თავად უნათებდა გზას. იგი ფიზი-
კურად გრძნობდა ხასიათს, ჰქონ-
და სიმართლის გამძაფრებელი
გრძნობა, ვერ იტანდა სიყალბეს
ოდნავადაც კი, უდიდესი იუმორ-
ით იყო სავსე, უყვარდა მძაფრი
ხასიათები, ჰქონდა დაკვირვების
საოცარი უნარი, იცნობდა ცხოვ-
რებას, ფანტაზიის დაუშრეტელი
წყარო იყო: პატარა, ეპიზოდურ
როლშიც კი რამდენ რამეს დაა-
ნახვებდა. გარეგნული პორტრე-
ტის ოსტატი იყო, შინაგანი სამყა-
როს სულთამხილველი, უბრწყინ-
ვალესი თაობის წარმომადგენე-
ლი — ტიტანები იყვნენ და ერთ-
ერთი ყველაზე დიდი სასწაული
თვითონ იყო. **„მარიამ სტიუარტ-
ში“ სწორუპოვარ კაბიან ჩაპლი-
ნად აღიარებულმა სესილიამ კი-
დევე ერთხელ და საბოლოოდ და-
ამტკიცა, რომ ის ასევე სწორუ-
პოვარი იყო, როგორც ტრაგიკო-
სი. ვიზუალურადაც საოცრად
ჰგავდა ელისაბედ ტიუდორს.**

დიდია მისი ღვაწლი ქართულ
კინემატოგრაფიაში, სადაც 1948
წლიდან მოღვაწეობდა. კინოში
განსახიერებელი მნიშვნელოვანი
როლებია: მანანა („ჭირვეული მე-
ზობლები“), ვასასი („ჩვენი ეზო“,
1956), ელპიტე („საბუდარელი ჭა-



სესილია ელისაბედ ტიუდორის როლში



ვერიკო ანჯაფარიძე მარიამ სტიუარტის როლში

ბუკი“, 1956), ოლდა („მე, ბებია,
ილიკო და ილარიონი“, 1962),
ბორდოხანი („დოდოსტატის მარ-
ჯვენა“, 1969), მარადია („ნატვრის
ხე“, 1976), ასინეთა („დათა თუ-
თაშხია“, 1977), ბულალტერი („ცი-
სფერი მთები, ანუ დაუჯერებელი
ამბავი“, 1983) და მრავალი სხვა.
მისი როლები შედეგრებია. ამას

ემატება უმნიშვნელოდ განვლილი
ცხოვრების გზაც. სწორედ ამიტომ
მეხის დაცემას ადარებდნენ მის
გარდაცვალებას, ძალიან კარგად
იცოდნენ, რაც დაკარგა სრულიად
საქართველომ, ქართულმა ხელ-
ოვნებამ, მაგრამ შეიძინა კიდეც:
ლეგენდა — სესილია თაყაიშვილი.

დეა სვანიძე



„ნატვრის ხე“



ალექსანდრე აბდალაძე:

სომხურმა წრეებმა თავი უნდა ანებონ ანტიქართულ, ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების სანინალაფაგო გაგონებებს

XII-XIV საუკუნეებში ისტორიული სომხეთის დიდმა ნაწილმა, სხვადასხვა დროის სომეხთა დედაქალაქებმა — დვინმა, ანისმა, ერევანმა — საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში ჰპოვა თავისი ადგილი. შეიქმნა საქართველოს სომხეთი.

ეს გარკვეული სომხური წრეების სურვილიც იყო. ისინი მიიჩნევდნენ, რომ მხოლოდ საქართველოს შეეძლო დაეცვა სომხეთი, გადაერჩინა ის. სომხების მეორე ნაწილს კი, კერძოდ, სომხური გრიგორიანული ეკლესიის წარმომადგენლებს, არ სურდათ საქართველოს გაძლიერება, მათ ენადათ, კავკასიის წამყვანი ერი სომხობა ყოფილიყო და არა ქართველობა.

დღეს სომხური წრეები იმასაც გაიძახიან, ძირძველი ქართული მინა-წყალი, სამცხე-ჯავახეთი, წალკა სომხეთის ნაწილიაო. სომეხთა ამგვარი დაპირისპირება ქართველებთან საზიანო იყო და არის საქართველოსთვისაც და სომხეთისთვისაც.

სომხურ წრეებს ყოველთვის უნდოდათ, საქართველოს ხარჯზე ხელი მოეთბოთ. ეს მათ ნაწილს დღესაც აქვს სისხლში გამჯდარი. მათი მიზანია, საქართველო მენველი ფურივით გამოიყენონ.

ამ პრობლემების შესახებ მოგვითხრობს ალექსანდრე აბდალაძე (აბუდლაძე)

სამეცნიერო-პოპულარულ წიგნში „საქართველოს სომხეთი“, რომელიც შარშან გამოიცა. ქვემოთ გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს ამ ნაშრომიდან.

საქართველო, საზოგადოდ, ამიერკავკასია ურთულეს გეოგრაფიულ გარემოში მდებარეობს. აზიისა და ევროპის გზაშესაყარზე განთავსებულ ამიერკავკასიას უძველესი დროიდან ყოველი მხრიდან ესეოდნენ დამპყრობნი — ცივილიზებულნიც და ველურებიც. ორივე ჯურის დამპყრობელი მიზნად ისახავდა ამიერკავკასიის ერთა, ხალხთა დამონებას, გადაგვარებას, მათი ეროვნული მეობის მოსპობას. უძველეს ხანებში ამიერკავკასიისთვის უფრო მძიმე შედეგები მაინც მომთაბარე, პირველყოფილ ველურთა შემოსევებს, მათ გაბატონებას მოსდევდა. მიუხედავად ამ ავბედობი-

სა, ქართველი ერის დიდი ბრძოლისუნარიანობის წყალობით, იმის მეოხებით, რომ ჩვენს წინაპრებს გამოარჩევდათ მდუღარეობა ქართულისა სულისაი, იქმნებოდა ძლიერი ქართული სახელმწიფოები, თუმცა მათ ხანგრძლივი, ბუნებრივი, კანონზომიერი განვითარების შესაძლებლობა არ მიეცათ ურიცხვ დამპყრობთა შემოსევების ვითარებაში.

რაც შეეხება სომხურ სახელმწიფოებრიობას, ის ვერ აღმოჩნდა ქართულივით მტკიცე. მართალია, ეგრეთ წოდებულმა დიდი სომხეთის სამეფომ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია ქრისტეს შობამდე II-I საუკუნეებში, მაგრამ ორ-

თავე ასწლეულში სომხური სახელმწიფოს ძლიერება სულ დაახლოებით 40 წელიწადს გაგრძელდა. ესეც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ შექმნილიყო სომხური იდეოლოგია, რომელიც საუკუნეთა, ათასწლეულთა მანძილზე ქადაგებდა, რომ კავკასიაში წამყვან ერს წარმომადგენდნენ სომხები და არა ქართველები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სომხური ეროვნული იდეა ძველთაგანვე საქართველოს წინააღმდეგ იყო მიმართული. ქართველებისა და სომხების ამ ხანგრძლივ ჭიდილში საბოლოოდ უპირატესობა მოიპოვა ქართველმა ერმა, სწორედ მან შეძლო მთელი კავკასიის გაერთიანება, შემოკრება საქართველოს, მისი დროშის გარშემო. გაძლიერებული საქართველოს შემადგენლობაში მოექცა სომხეთის დიდი ნაწილიც, ანუ კავკასიის, ამიერკავკასიის სომხეთი, სხვადასხვა დროს სომეხთა დედაქალაქები ანისი, დვინი, ერევანი და სხვაც. ესაა საქართველოს სომხეთი.

სომეხი მკვლევარები თუ პუბლიცისტები და მათ კვალდაკვალ არასომეხი, სხვადასხვა ჯურის, ეროვნების კალმოსნებიც აღნიშნავენ, რომ სომხეთი უფრო რთულ გეოგრაფიულ (თუ გნებავთ, გეოპოლიტიკურ) გარემოში მდებარეობდა, ვიდრე საქართველო და ამიტომ აღმოჩნდაო ქართული სახელმწიფოებრიობა სომხურზე უფრო მტკიცე და გამძლე. ეს აზრი, ჩემი აზრით, მიუღებელია. მართალია, სამხრეთიდან შე-



მოსული დამპყრობელნი ჯერ სომხეთს მოადგებოდნენ და შემდეგ საქართველოს, მაგრამ მტერნი გვესეოდნენ ჩრდილოეთიდანაც, რომლებსაც ჯერ საქართველო უნდა დახვედროდა ბრძოლის ველზე და, თუ ქართველებს დააჩოქებდნენ ხანგრძლივ, უთანასწორო ომებში, შემდეგ მიადგებოდნენ სომხეთს. გავიხსენოთ უძველეს ხანებში კიმერიელებისა და სკვითების, აგრეთვე, სარმატების, ხაზარებისა და სხვათა შემოსევები ჩრდილოეთ კავკასიის გამოვლით. ჩრდილოეთ კავკასიის ბევრ ტომსაც ხომ თვალი ეჭირა ამიერკავკასიაზე, აქნადავლის მოვნას ისახავდა მიზნად.

ცნობილია, ოსთა წინაპრების, ალანთა და მათი მოკავშირე ჩრდილო კავკასიის ტომების თარეშები, შემოსევები ამიერკავკასიაში უძველეს დროშივე. ისინი სომხებზე ადრე ხომ ქართველებს უნდა მოეგერიებინათ. უფრო მოგვიანებით, XIII საუკუნის II ნახევარსა და XIV ასნლეულის დასაწყისში, ამიერკავკასიაში მონღოლთა ბატონობის ჟამს, მონღოლებისვე მხარდაჭერით, ოსებმა აანოკეს აღმოსავლეთ საქართველოს არაერთი ადგილი, ხოლო გორში ფეხიც მოიკიდეს და გიორგი ბრწყინვალეს დიდი ომის გადახდა მოუხდა ოსების გორიდან და საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში გადასარეკად. **უფრო გვიან, ისლამური სამყაროს წაქეზებითა და დაფინანსებით წარმოიშვა საქართველოსთვის ისეთი საშინელი მოვლენა, როგორც იყო ლეკიანობა. ლეკიანობა ისეთივე საფრთხეს უქმნიდა ქართველ ერს, როგორც თურქეთისა და სპარსეთის ბატონობა, მათი შემოსევები. ლეკიანობა ფრიად საშიში იყო სომხებისთვისაც, იგივე ეჯზიანინის (ეჩმიადინის) საპატრიარქოსთვისაც, მაგრამ ამ უკანასკნელთათვის საშიშროება კლებულობდა მოთარეშე ლეკების წინააღმდეგ ქართველი ერის თავდადებული ბრძოლების შედეგად.**

საზოგადოდ, ჩრდილო კავკასიის მეომარ ტომთა ჩაყენება ერთი-

ანი, ძლიერი კავკასიის სასიცოცხლო ინტერესების სამსახურში დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. ჩრდილო კავკასიაში ცხოვრობდა მრავალი ტომი, არსებობდა უამრავი ენა, განსაკუთრებით — დაღესტანში; იმიერკავკასიაში ხშირად ცალკეული სოფლებიც კი ეომებოდნენ ერთმანეთს, მით უმეტეს, სხვადასხვა ტომი. იყო გაუთავებელი სისხლისღვრა. გავიხსენოთ, რომ გიორგი ბრწყინვალის გამეფების ხანებში აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ერთი ნაწილიც კი დარეგია ერთმანეთს, დიდი ხოცვა-ჟლეტა დატრიალებულა. ბრწყინვალე მეფე გიორგის დიდი ძალისხმევა დასჭირდა მათ დასაშოშმინებლად. საამისოდ საგანგებო საკანონმდებლო ძეგლის შექმნაც გახდა აუცილებელი. ის ძეგლის დადების სახელწოდებითაა ცნობილი. გაცილებით უფრო უარესი მდგომარეობა იყო ჩრდილო კავკასიაში.

საქართველოს სამეფო კალენას არ იშურებდა იმისთვის, რომ ჩრდილო კავკასიაში ნორმალური მდგომარეობა შექმნილიყო, იქაურ ტომებს თავიანთი წვლილი შეატანათ კავკასიის განვითარების საქმეში და ქმთამაგვლელი ომებისთვის, ქარცვაგლეჯისთვის არ შეეღიბათ მთელი ენერჯია.

თუ გეოგრაფიულ მდებარეობაზე მიდგება საქმე, აშკარაა, რომ საქართველო, მეტადრე მისი აღმოსავლეთი ნაწილი, ქართველთა დედაქალაქები — მცხეთა და თბილისი — კავკასიის ცენტრში მდებარეობდნენ, რასაც ვერ ვიტყვით სომხეთსა და მის დედაქალაქებზე — დვინზე, ანისზე და სხვებზე. ამ ფაქტორს ძველ დროში, როცა სატრანსპორტო საშუალებები არ იყო ხეირიანად განვითარებული, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. კავკასიის გაერთიანება თავიანთი დროების ირგვლივ მიზნად დაისახეს როგორც საქართველომ, ისე სომხეთმა. რომელი მათგანიც შეძლებდა თავისი გავლენის გავრცელებას, კერძოდ, ჩრდილო კავკა-

სიაზე, იქაურ მეომარ ტომებსაც, მათ შეიარაღებულ რაზმებს, სამხედრო ძალას თავის სამსახურში ჩააყენებდა. ჩრდილო კავკასიას უშუალოდ ესაზღვრებოდა საქართველო და არა სომხეთი. ამიტომ ჩრდილო კავკასიაზე თავისი გავლენის გავრცელება უფრო ხელეწიფებოდა საქართველოს, ვიდრე სომხეთს, თუმცა სომხეთსაც ამგვარი გეგმა ნამდვილად ჰქონდა. საერთოდაც, გეოგრაფიული მდებარეობის გამოც, მთელი კავკასიის გაერთიანება საქართველოს ირგვლივ უფრო იყო შესაძლებელი, ვიდრე სომხეთის გარშემო. ამიტომაც **სომხეთი უძველესი დროიდანვე, ძრისტის შოგამად II საუკუნიდან, ცდილობდა საქართველოს დაპყრობას, ჩვენს ქვეყანაში ფხის მოქიდავას, რათა ამით გააღვიწიებოდა მთელი კავკასიის დაპყრობა. მაგრამ ქართველი ერის დაჩოქება, მისი დამონება ათასწლეულების განმავლობაში ებრძოდებოდა დიდ სომხეთზე გაცილებით უფრო დიდ-დიდმა დაპყრობლებმა ვერ შეძლეს და, მით უმეტეს, საამისო ძალა არ შესწევდათ სომხებს.**

იმის გამო, რომ XI საუკუნემდე მთელი საქართველოს მტკიცედ გაერთიანება ვერ ხერხდებოდა, სომხეთი ზოგჯერ ახერხებდა ცალკეული ქართული მხარეების მიტაცებას, მაგრამ ქართველი ერი, საზოგადოდაც, თავდადებით იბრძოდა დაკარგული მიწა-წყლის დასაბრუნებლად, მიზანსაც აღწევდა და სომხეთისგან მიტაცებულ ქართულ მხარეებსაც ათავისუფლებდა, კვლავ სამშობლოს წიაღში აქცევდა, თავის საზღვრებს აღადგენდა, ამაგრებდა, იცავდა. **სომხეთი ცდილობდა საქართველოს გადაქცევას სომხეთის საქართველოდ, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო. პირიქით, სომხეთი იქცა საქართველოს სომხეთად XII-XIV საუკუნეებში.** ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, თუ სომხეთი საქართველოს დაპყრობას ცდილობდა, რაც ვერ შეძლო, საქართველოს სომხეთის



არსებობა არაა შედეგი საქართველოს მიერ სომხეთის დაპყრობისა; **საქართველოს მხედრობამ გაათავისუფლა თურქ-სელჩუკთაგან და სხვა ჯურის მავჰადიანთაგან დაპყრობილი სომხეთი და დაიცვა ის, ამასთანავე დაიცვა ქრისტიანობა სომხეთში. ამას თვით სომხები თხოვდნენ საქართველოს მეფეებს.**

წამოიჭრება კითხვა: **თუ XI საუკუნემდე, გარკვეული მიზნების გამო, ვერ მოხერხდა საქართველოს მტკიცედ გაერთიანება, როგორღა ცდილობდა საქართველო მთელი კავკასიის გაერთიანებას?** საქმე ისაა, რომ ეს ორი პროცესი ერთდროულად მიმდინარეობდა. ასე მაგალითად, ვახტანგ გორგასალი ცდილობდა საქართველოს გაერთიანებასაც და იმავდროულად თავისი გავლენის გავრცელებას სპარსეთისგან და ბიზანტიისგან დაპყრობილ სომხეთშიც (სადაც დამპყრობლებმა სომეხთა სამეფო ტახტი დაამხეს) და ჩრდილო კავკასიაშიც. ამიტომაც ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელმა საქართველოს უძლიერესმა მეფეებმა ვახტანგ გორგასალი, ფარნავაზიანთა დინასტიიდან, თავიანთ უდიდეს წინამორბედად, დიდ ქართველ მეფედ აღიარეს.

სომხური ეროვნული იდეოლოგია, ის იდეა, რომ კავკასიაში წამყვანი ერი უნდა ყოფილიყო სომხობა და არა ქართველობა, ადრინდანვე შეისისხლხორცა სომხურმა ეკლესიამ. 428 წელს გაუქმდა მეფობა სომხეთში (სომხეთის სამეფო ტახტი აღსდგა მხოლოდ IX საუკუნის ბოლოს) და სომეხთა უპირველეს წინამძღოლად იქცა სომხური ეკლესია. მან იტვირთა თავისი ერის როგორც სამეფო, საერო ხელისუფლების, ასევე სულიერი მოძღვრის მოვალეობებიც. რაც შეეხება იბერიის (ქართლის) სახელმწიფოს, აქ მეფობის მოსპობა მხოლოდ VI საუკუნეში შეძლო სპარსეთმა. როგორც ცნობილია, V ასწლეულის მეორე ნახევარში იბერიას, საქართვე-

ლოს ჰყავდა ისეთი დიდი, სახელგანთქმული მეფე, როგორიცაა ვახტანგ გორგასალი. ცნობილია ისიც, რომ ვახტანგ მეფემ მოაკვლევინა ქვემო ქართლში (ამ მხარეში შედიოდა ლორე-ტაშირიც, რომელიც ქართველი ერის შავბედობის გამო დღეს სომხეთის შემადგენლობაშია მოქცეული) სპარსეთის აგენტი ვარსქენ პიტიახში. ამის გამო სპარსეთის ხელისუფლებას, ცხადია, სურდა გორგასლის დასჯა, მეფობის მოსპობაც იბერიაში, მაგრამ, ვახტანგ მეფის მეთაურობით, ქართველი ერი გამირულად იბრძოდა და სპარსეთმა კარგა ხანს ვერ აისრულა თავისი იმპერიული, ანტიქართული მიზანი. სპარსეთის იმპერიის აგრესიის მოსაგერიებლად გორგასალი ცდილობდა მთელი კავკასიის ძალების დარაზმვას, რასაც იმდროინდელ პირობებში, პოლიტიკურ ვითარებაში, ბუნებრივად მოჰყვებოდა მთელი კავკასიის მოქცევა იბერიის სამეფოს გავლენის ქვეშ. სომხური წრეებისთვის, სომეხთა უმრავლესობისთვის, რომლებიც სომხური ეროვნული იდეოლოგიით, საქართველოს წინააღმდეგ მიმართული სომხური იდეით საზრდოობდნენ, მიუღებელი იყო გორგასლის იბერიას დაქვემდებარებოდა სომხეთი და მთელი კავკასია. ამიტომ სომხურმა ეკლესიამ განაცხადა პრეტენზია, რომ მას უნდა დამორჩილებოდნენ იბერიისა და კავკასიის ალბანეთის ეკლესიები.

ვახტანგ გორგასლის ეპოქამ, ქართველთა იმდროინდელმა შეუპოვარმა ბრძოლებმა ისეთი ეროვნული სული შთაბერა მთელ ქართველ ერს, ქართულ ეკლესიას (რომელმაც გორგასლის მეფობის ჟამს ავტოკეფალიაც მოიპოვა), ისეთი ენერგიით აღავსო, რომ ქართველობა, ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელნი არ დაუმეგობდნენ, სომხურ ეკლესიას ებატონა ქართულ ეკლესიაზე. პირიქით, **რაკი ვახტანგ მეფე ცდილობდა, თავისი გავლენა გაეგრძელებინა მთელ კავკასიაზე და ამ მხრივ წარმატებებსაც აღწევ-**

და, ქართული ეკლესიაც შეეცდებოდა დაექვემდებარებინა საქართველოს მიმართ უსაფუძვლო პრეტენზიის მქონე სომხური ეკლესია და ჩრდილო კავკასიელ წარმართებშიც ქრისტიანობა დაემკვიდრებინა.

იბერიის სამეფოს გაძლიერება, მის ირგვლივ მთელი კავკასიის შემოკრება მიუღებელი იყო სპარსეთის იმპერიისთვისაც და სომხური იდეოლოგიით, საქართველოს საწინააღმდეგო სომხური ეროვნული იდეით ნასაზრდოები სომხური წრეებისთვის, სომხეთის ეკლესიისთვის. აქედან გამომდინარე, VI საუკუნიდან (შესაძლოა, V ასწლეულის დასასრულსაც) სპარსეთის ხელისუფლებასა და სომხური ეკლესიის თავკაცებს შორის გამოინასკვა კავშირი, გარიგება. მართალია, სპარსეთის იმპერიისთვის მიუღებელი იყო ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ამიერკავკასიის ქვეყნებში, სპარსელი დამპყრობელნი ცდილობდნენ კიდევ ქრისტიანი ქართველები, სომეხები და ალბანელები გაემაზდიანებინათ, მაგრამ სპარსეთის ხელისუფალნი თანდათან დარწმუნდნენ, რომ ამიერკავკასიაში, კერძოდ, იბერიასა და სომხეთში მაზდიანობა ვერ ძლევდა ქრისტიანობას. მაშინ **სპარსეთის იმპერიამ პოლიტიკა შეცვალა. მისი მოთხოვნით, ქართველებსა და სომეხებს უნდა აერჩიათ ქრისტიანობის ის მიმდინარეობა, რომელიც მიუღებელი იქნებოდა სპარსეთთან დაპირისპირებული ბიზანტიის იმპერიისთვის. სპარსეთის იმპერიის ამგვარი პოლიტიკის შედეგია, რომ სომხური ეკლესია გახდა მონოფიზიტური (გვიანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, გრიგორიანული), მაშინ, როდესაც ბიზანტიისა და ქართული ეკლესიები არიან დიოფიზიტური, ანუ ქალკედონური, მართლმადიდებლური.** მაშასადამე, ქართველმა ერმა, ქართულმა ეკლესიამ არ მიიღო სპარსეთის ხელისუფლების მოთხოვნა, უარი თქვა მონიფიზიტობასა თუ ნესტორიანობაზე. ამის გამო, ქართ-



ველებს, ქართულ ეკლესიას სპარსეთის იმპერიისადმი ურჩობა, დაპირისპირება დაბრალდათ.

ვინაიდან სპარსეთის ხელისუფლებისთვის მისაღები გახდა სომხური ეკლესიის მონოფიზიტობა (გრიგორიანობა), სპარსელთა შაჰინშაჰები სომხური მონოფიზიტური ეკლესიის, მის საჭეთმპყრობელთა მფარველნიც შეიქმნენ და მოისურვეს, რომ სომხურ ეკლესიას დაქვემდებარებოდნენ მეზობელი ეკლესიებიც, კერძოდ, ქართული ეკლესია. სპარსეთის ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ ამ გზით მოხერხდებოდა და ქართული ეკლესიაც მონოფიზიტური გახდებოდა. მაგრამ სპარსეთის სასანიანი შაჰინშაჰების ამ გეგმას განხორციელება არ ეწერა ქართველი ერის თავდადებული ბრძოლის, მედგარი წინააღმდეგობის გამო...

ერთი სომხური ხელნაწერი „სახარების“ 1214 წლის ანდერძ-მინაწერის ავტორი გვამცნობს: ვსაქმიანობდიო (ვწერდიო) „საქართველოში ლაშას მეფობისას, რომელიც ფლობდა ტფილისს, ანის (ანისს — ა. ა.) და ადრინდელ სომეხს, ალან და ალვანელ ტანუტერთა (ხელისუფალთა — ა. ა.) მრავალ სხვა ქალაქს, კარინიდან (არზრუმიდან — ა. ა.) სპარსეთამდე“. მაშასადამე, **სომეხი მწიგნობარი სომეხთა დედაქალაქ ანისს ისევე მიიჩნევს საქართველოს მეფის სამფლობელოდ, როგორც თბილისს.** როცა ქართველი მემატიანეც იმავეს ამბობს, მას შეიძლება ტენდენციურობა დასწამონ სომეხმა მკვლევარებმა, მაგრამ გამორიცხულია, რომ საქართველო-სომხეთის ურთიერთობის ასახვისას სომეხ მწიგნობარს მი-

კერძობა გამოეჩინა ჩვენი ქვეყნის განსაღიდებლად. სომხებს ხომ დიდი სურვილი ჰქონდათ, კავკასიაში წამყვანი ერი თვითონ ყოფილიყვნენ და არა ქართველები. მაგრამ **იმდენად აშკარა გახდა XII საუკუნეში და XIII ასწლეულის დასაწყისში სომხეთის დიდი ნაწილი საქართველოს მხარედ, საქართველოს სომხეთად რომ იქცა, ამას ზოგიერთი სომეხიც აღიარებდა და ჩვენს ქვეყანაზე იმედებსაც ამყარებდა.** დასახელებული სომხური ანდერძ-მინაწერის ავტორი იმიტომაც მიიჩნევს სომეხთა დედაქალაქ ანისს საქართველოს ორგანულ ნაწილად, რომ **ჩვენი ძველი ჯარმა სასტიკად დასაჯა არდაველის მფლობელი ანისის ანიოქაბისთვის, სომეხთა განოციდისთვის და თითქმის მთელი სპარსეთიც დაღაშქრა ანისის, სომხეთის დაცვის მიზნით.**

...XIV საუკუნის დასაწყისისთვის საქართველოზე კიდევ უფრო მეტად უჭირდა სომხეთს. ამ ქვეყანაში კარგა ხანია აღარ არსებობდა სომხური სახელმწიფოებრიობა. სრულიად სომეხთა საკათალიკოსოც კვლავ ლტოლვილობაში იმყოფებოდა. **მხოლოდ 1441 წელს მოახერხეს სომეხებმა სრულიად სომეხთა კათალიკოს-პატრიარქების ტახტი ეჯმიანიში (ერმიანიში) დაემკვიდრებინათ.** შექმნილ მძიმე ვითარებაში სომეხთა გარკვეულ წრეებს იმედები კვლავ საქართველოზე, კერძოდ, გიორგი ბრწყინვალის ეპოქის საქართველოზე დაუმყარებიათ. ეტყობა, ეს საღად მოაზროვნე სომეხთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ ძლიერი საქართველოს სახელმწიფო შეძ-

ლებდა სომხეთის დაცვასაც, რაც ამ სომხებისთვის სანატრელი საქმე იყო. **XIV საუკუნეში მსოფლიოში არ არსებობდა ისეთი ქალა, რომელიც სომხეთს დაცვად მტრების, კერძოდ, მაჰმადიან მფლობელთა შემოსევებისგან. მხოლოდ საქართველოს შეიქმნა მთავრითა სომხეთის გამოსსნა, მისი გამომგლეჯა დამაყრობთა კლანჭებისგან.**

ერთი სომხური „სახარების“ 1323 წლის ანდერძ-მინაწერში ნათქვამია: ხელნაწერის დამზადება მოხდაო სიუნიქის (სივნიეთის) მხარეში, გლადორის მონასტერში, **„საქართველოსა და დიდ სომხეთში მეფე გიორგის მეფობისას“.** ცხადია, ნაგულისხმევია გიორგი ბრწყინვალე, რომლის ხელმწიფობის დროსაც საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფილა მოქცეული ეგრეთ ნოდებულის დიდი სომხეთი თუ მთლიანად არა, მისი უდიდესი ნაწილი მაინც. სიუნიქის მფლობელმა ორბელებმა (წარმოშობით ქართველებმა, მაგრამ, გარკვეული მიზეზის გამო, გასომხებულებმა) ჯერ კიდევ XIII საუკუნის 50-იან წლებში მოახერხეს თავიანთი საფეოდალო სამფლობელო „ხასინჯუდ“ ექციათ, ე. ი. უშუალოდ დაქვემდებარნენ მონღოლთა ხელისუფლებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი დაკავშირებულნი იყვნენ საქართველოს სამეფო კართან (ისევე, როგორც სამცხის სეპარატისტი მთავრები, ჯაყელები), რადგან „საქართველოს სახელმწიფოსა და მის დიდებულთა ხმას ჯერ კიდევ ისეთი ფასი და მნიშვნელობა აქვს თვით მონღოლთა თვალში, რომ მისი უგულებელყოფა ერთ რომელიმე დიდებულთაგანს, თუნდაც ხასად (უზენაეს ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირად — ა. ა.) ქცეულს, არ ძალუძდა. მით უმეტეს, გიორგი ბრწყინვალის ეპოქაში მომხდარა სიუნიქისა და, საერთოდ, იმდროინდელი სომხეთის დიდი ნაწილის კვლავ მტკიცედ დაკავშირება საქართველოს სახელმწიფოსთან. თუ მონღოლთა ბატონობის ხანაში ჩვენს ქვეყანას

საქართველოსა და სომხეთის ნაწილში იყო ისეთი ეპოქების, როცა სომეხთა დიდი ნაწილი იწონებდა, მხარს უჭერდა ქართველი ერის თავგანწირულ ბრძოლას ქართული და სომხური მინა-წყლის დასახავად



თვითონ უჭირდა, ძნელბედობის, შავბედობის დრო დაუდგა და საქართველოს სომხეთსაც ძველებურად ველარ იცავდა, ვერ პატრონობდა, გიორგი ბრწყინვალეს საქართველოს სომხეთის ჩვენს ქვეყანასთან შემომტკიცებაშიც დიდი წარმატება მოუპოვებია (ეტიყობა, მეფე გიორგიმ სომხეთის მმართველობაც ისევე მოაწესრიგა, როგორც საკუთრივ საქართველოსი). ის ამ მხრივაც ღირსეული გამგრძელბელი გამხდარა დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის საქმისა, უტვირთავს სომხეთის პატრონობა, რათა მტრებს ვერ გაეხედებდათ ამ ქვეყნის აწიოკება, სომეხთა ხოცვა-ჟლეტა.

1336 წელს ყირიმში დამზადებული სომხური ხელნაწერის (ვარდან აიგეკცის ქადაგებანის) ანდერძ-მინაწერში გადამწერი ტერტერ ერევანცი (ერევნელი) იუწყება: „დაინერა (ეს) წიგნი სომხური წელთაღრიცხვის „ჩძე“-ს (1336), დედაქალაქ სურხათში, ყირიმში, პარონ („პარონ“ სიტყვა ბარონის სომხური ფორმაა — ა. ა.) შაჰან-შაჰის (იგულისხმება სომეხი მამაკაცის საკუთარი სახელი — ა. ა.) აშენებულ წმ. ღვთისმშობლის მფარველობით, უხმარი და შეურაცხი მწერლის (სასულიერო პირისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობაა გამომჟღავნებული — ა. ა.), მღვდლობის სახელის უღირს ტერტერის მიერ“... შემდეგ ტერტერ ერევანცი ლექსად გადმოგვცემს თავის სათქმელს:

„მე, ტირაცუ

(ტერტერი თავის თავს ტირაცუსაც ეძახის — ა. ა.),

კაცი უღირსი,

საბრალბელი, უღები მღვდელი...

ჩამოველ საქართველოდან,

ხორ-ვირაპის მეზობელ

შესანიშნავ ქალაქ ერევნიდან.

გადმოვიარე

ეს უსაზღვრო ზღვა,

მოვედი ფრანკთა

(კათოლიკეთა — ა. ა.)

ქალაქში, კაფას,

(და) ვწერდი ამ წიგნსა, „ვარდანს“...

1336 წლისავე მეორე ანდერძ-

მინაწერში ტერტერ ერევანცი გვამცნობს:

„მე, ტერტერი,

უღირსი მწერალი,

რომელმაც ეს წიგნი,

„ვარდანი“ დავწერე,

ცოდვებით სავსე

და თანამღები,

უღები მღვდელი,

საბრალბელი,

მოვედი საქართველოდან,

ხორ-ვირაპის და ეჩმიადინის (სომხურ ტექსტში არის ეჯმიანინ, საერთოდაც, ეჩმიადინს სომხურად ეჯმიანინი ეწოდება — ა. ა.)

მეზობელ

შესანიშნავ ქალაქ ერევნიდან“.

გავიხსენოთ, რომ 1336 წელს საქართველოს მეფე იყო გიორგი ბრწყინვალე. გიორგი მეფისა და მისი თანამებრძოლების დიდი ძალისხმევის შედეგად გაძლიერებულ საქართველოს სახელმწიფოს კვლავ ისე მტკიცედ დაკავშირება სომხეთის უდიდესი ნაწილი, რომ სომეხი მღვდელი, ტერტერ ერევანცი (ერევნელი) თავის მშობლიურ ქალაქს, ერევანს, საქართველოს ნაწილად მიიჩნევს. ტერტერი იმდენად დარწმუნებული ყოფილა ამაში, რომ ერევანს, ერთხელ კი არა, ორჯერ აცხადებს საქართველოს ქალაქად. ქართული და სომხური ეკლესიების დაპირისპირების ვითარებაში თუ სომეხ მღვდელს ესახება ერევანი საქართველოს ქალაქად და, აქედან გამომდინარე, ერევნის გარემომცველი მხარე ჩვენი ქვეყნის ნაწილად, მით უფრო, ასეთი აზრისა იქნებოდნენ სომხური საერო წრეების წარმომადგენელი.

იყვანე ისეთი სომეხი, მითადრე, სომეხი სამღვდლოებაში, რომლებიც კვლავ საზრდოობდა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული სომეხი იღაით, სომეხი იღაოლოგიით; მებრამ, მიუხედავად იმისა, მოსწონდათ თუ არა მათ შიქმნილი რეალური ვითარება, გიორგი ბრწყინვალის ეპოქაში სომეხეთის უდიდესი ნაწილი ისევე მტკიცედ რომ ირიცხებოდა საქართველოს სახელმწი-

ფოს შიამდგენლობაში, როგორც ჩვენი ისტორიის ოცროს ხანაში, ეს ფაქტია. ამის ნათელი დადასტურებაა ტერტერ ერევანცის მიერ თავისი მშობლიური ერევნის საქართველოს ქალაქად გამოცხადება.

ვინაიდან სხვადასხვა დროის სომეხთა დედაქალაქები დვინი, ანისი და ერევანი საქართველოს ქალაქებს წარმოადგენდნენ XII-XIV საუკუნეებში, ამიტომ უფლება გვაქვს, სომხეთის უდიდეს ნაწილს იმავე ასწლეულებში ვწოდოთ საქართველოს სომხეთი და ის ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მხარედ მივიჩნიოთ.

...დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: საქართველო საუკუნეების განმავლობაში (XVIII ასწლეულშიც კი) იბრძოდა სომხეთის დასაცავად, არსებობდა საქართველოს სომხეთიც, მაგრამ ცოცხლობდა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ძველთაძველი სომხური იდეა, იდეოლოგიაც, რომელმაც განსაკუთრებით იჩინა თავი XIX-XXI საუკუნეებში. ეს იდეა რომ აიტაცეს სომეხმა, იმიტომაც გააჩაღეს ომი საქართველოს წინააღმდეგ 1918 წელს. ისტორიულად სომხეთის, სომეხთა მფარველ საქართველოსთან ამ ომის გაჩაღება, ბოლოს და ბოლოს, სომეხმა თავიანთი ისტორიის სამარცხვინო ლაქად უნდა მიიჩნიონ, რაც ჯერჯერობით არ ხდება. პირიქით, გარკვეული სომხური წრეები თავს იწონებენ სომხეთის დაშნაკური მთავრობის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ატეხილი ომით. საქართველოსა და სომხეთის წარსულში იყო ისეთი ეპოქებიც, როცა სომეხთა დიდი ნაწილი იწონებდა, მხარს უჭერდა ქართველი ერის თავგანწირულ ბრძოლას ქართული და სომხური მინაწყლის დასაცავად. ამ ფაქტის გათვალისწინებითაც, სასურველია, მომავალში ქართველ და სომეხ ერებს შორის დამყარდეს, ჩამოყალიბდეს ნორმალური ურთიერთობები. ამისათვის კი აუცილებელია სომხურმა წრეებმა თავი ანებონ ანტიქართულ, ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების საწინააღმდეგო გამოხდომებს.

თბილისური სახლები XVIII საუკუნეში

1803 წელს თბილისში ჩატარდა საცხოვრებელი სახლებისა და მცხოვრებთა აღწერა. ამ აღწერით ქალაქი ოთხ ნაწილად იყოფოდა: I, II, III და IV, რუსულად „ჩასტ“-ებად. აღწერიდან არ ჩანს, თუ სახელდობრ ქალაქის რა ტერიტორია იგულისხმება ამ ნაწილებში, სამაგიეროდ, ამას გვირკვევს საბუთი, რომელიც ქალაქში 1803 წლის აღწერას შეეხება. ამ საბუთით, ქალაქის ოთხი ნაწილი შემდეგნაირად არის განმარტებული: I — მუხრანის, II — წავკისის, III — მთის, IV — ავლაბრის. ეს დაყოფა არ ეთანხმება ქალაქის ტრადიციულ დაყოფას (კალა, თბილისი, გარეთუბანი, ისანი), თუ არ ჩავთვლით მის მეოთხე ნაწილს, და არც იმ დაყოფას იმეორებს, რომელიც შემდეგ საფუძვლად ედება თბილისის საპოლიციო უბნებად დანაწილებას. მუხრანის უბანი უდრის გარეთუბანს და კალას ნაწილს, წავკისის უბანი — ძველ სეიდაბადასა და აბანოების უბანს, მთის უბანი — კლდის უბანსა და ქვემო უბანს (ორივე ეს უბანი კალას შემადგენელი ნაწილია), ავლაბრის უბანი — ავლაბარს.

ამ ნაწილთაგან ყველაზე მჭიდროდ დასახლებული და ხალხმრავალი მუხრანის უბანი ყოფილა. 1803 წლის აღწერით, მუხრანის უბანში 1010 სახლია, 4011 სული სახლობს, წავკისის უბანში 624 სახლია და 2940 სული, მთის უბანში 837 სახლია და 3061 სული, ავლაბარში 454 სახლია და 1075 სული.

ამ 2925 სახლიდან თითქმის არც ერთს არ მიუღწევია აღწერის ხანისათვის თავდაპირველი სახით. ყველა მათგანი ალა-მაჰმად ხანის შემოსევისას დანგრეული და XVIII საუკუნის ბოლოს ხელახლა აღდგენილია. უმრავლესობა ამ სახლებისა ერთოთახიანია. ქალაქელთა დიდი ნაწილი ორ- ან სამოთახიან სახლებში ცხოვრობს. ხუთზე მეტი ოთახის მფლობელი მთელ ქალაქში ოცი ოჯახიც არ ჩანს.

ხუთი და ხუთზე მეტი ოთახის მფლობელებად გვევლინებიან თავადაზნაურობის წარმომადგენელი, ეკლესიის წინამძღვრები და საერთოდ მაღალი სამღვდელოება, მდიდარი ვაჭრები და შეძლებული მოქალაქენი. ასეთივე სურათი იხატება ჩვენ წინ ოთხი ოთახის მესაკუთრე ქალაქელების სოციალური სახის გარკვევისას.

როგორი იყო აღნიშნული ოთახები გარეგნულად, ანუ რას წარმოადგენდა თბილისური სახლი, ამის თაობაზე აღწერა არავითარ მასალას არ იძლევა. სხვა სახის მასალით კი XVIII საუკუნის თბილისური სახლები, ძირითადად, ორი ტიპისა იყო: **დარბაზი და შირვანული სახლი**. თბილისური დოკუმენტები ასახელებენ ქალაქური შენობების ამ ორ ტიპს. ჩვე-

ნამდე არ მოუღწევია ამ ორი ტიპის არც ერთ სახლს, თუ არ ჩავთვლით **ფორაქიშვილების დარბაზს ავლაბარში**, მეტეხის ქუჩაზე. მაგრამ ეს დარბაზიც მრავალჯერაა გადაკეთებული, იგი გვირგვინმოსხნილია და კედლებში ფანჯრებჩატანებული. ამიტომ იგი მხოლოდ ნაწილობრივ იძლევა დარბაზის თავდაპირველი სახის წარმოდგენის საშუალებას.

ვახუშტი ქალაქური სახლების შესახებ ამბობს, რომ „სახლი ნაშენი არიან ქვა-ტალახითა და გალესილი გაჯით, ზოგთა სპარსთა რიგისა, ზოგთა ქართული“. ვახუშტის „სპარსული რიგით“ ნაშენი სახლი თბილისურ დოკუმენტებში მოხსენიებულ „შირვანულ სახლს“ უდრის, ხოლო „ქართული რიგის“ სახლი — დარბაზს. თბილისური დარბაზი და შირვანული სახლი აღწერილია **ალექსანდრე ნეგრის** მიერ 1816 წელს.

დოკუმენტური მასალა გვირკვევს, რომ **ორსართულიანი სახლები საკმაოდ ხშირი ყოფილა თბილისში**. ხშირად პირველ სართულზე დუქანი იყო მოთავსებული.



მეფის სასახლე თბილისში, ტურნეფორის მიხედვით

თბილისის ხედი 1701 წელს, ტურნეფორის მიხედვით



ლი, მეორეზე საცხოვრებელი. ნეგრის აღწერილობით ბანიანი, ერთსართულიანი და უფანჯრო ნაგებობანი ჭარბობს ქალაქის სახლებში, მაგრამ ამ ტიპის სახლები რომ არ ყოფილა თბილისისათვის აუცილებელი ნიშან-თვისება, ეს ჩანს ქალაქის ჩვენამდე მოღწეული ხედებიდანაც.

შარდენის მოგზაურობის აღწერას თან ერთვის რამდენიმე გრაფიურა, ერთი მათგანია თბილისის ხედი (1673 წ.). ამ გრაფიურაზე თბილისური სახლები ორი ტიპისაა: **ორფერდა სახურავით გადახურული და კვადრატული ფორმის ერთსართულიანი ნაგებობა ზედ დადგმული ნახევარფეროს ფორმის გუმბათით.** ამ გრაფიურაზე ბანიანი სახლები სრულიად არ ჩანს. შარდენის ხედი წარმოდგენას გვიქმნის თვით სასახლეთა ტიპების შესახებაც. თუ ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლები ერთსართულიანია, სასახლეები ამ გრაფიურით სამსართულიანია. არის თაღოვანი, სვეტებიანი, სწორფასადიანი სასახლეები, ზოგ სასახლეს კოშკი აქვს დადგმული და ოთახები ვერტიკალურადაა განლაგებული.

შარდენის გრაფიურა შესრულებულია ქალაქის აღმოსავლეთი მხრიდან. თითქოს მისი დამხატვა-ვი მტკვრის მარცხენა მხარეს, რი-

ყის თავში ზის და იქიდან ხატავს მის წინ გადაშლილ ქალაქს. ქალაქის ხედზე აღნიშნულია **მეფის მოედანი** (ბატონის მოედანი), რომლის სამხრეთითა და ჩრდილოეთით სასახლის კორპუსებია მოთავსებული. ჩრდილოეთით მდებარე სასახლე სამსართულიანია, მესამე სართული უფრო ვიწროა, ვიდრე დანარჩენი ორი ქვედა სართული. მესამე სართულს კიდევ ადგას ფანჯატურის მსგავსი მანსარდა. ამ სასახლის მტკვრისკენ მიქცეული მხარე სვეტებით არის გარშემოვლებული. სვეტები I და II სართულზეა, თითქოს ეს სვეტები ღია აივანს ჰქმნის. ეს გაშლილი აივანი მტკვარს გადმოსცქერის. სწორედ ასეთი სასახლე აქვს სიტყვიერადაც აღწერილი შარდენს.

ამგვარად აღწერილი სასახლე და მისი სანადიმო დარბაზი გამოხატულია შარდენის მომდევნო გრაფიურაზეც. ეს გრაფიურა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ამ დარბაზის სეფის მოწყობილობაზე.

ცნობილია, რომ ადრე სამეფო სასახლეები თბილისში იყო ორგან — ისანში (სეტეხის პლატოზე) და თბილისში, ციხის ტერიტორიაზე. ციხეში არსებული „სასახლე მეფისა, პალატნი დიდ-დიდნი და შვენიერნი“ როსტომ მეფემ „დაუტევა“, „ჩამოზღუდა კალა ციხიდან ხიდის

ყურემდე და მისცა სპარსთა“ „და თავისა თვისისათვის სამეფოდ აღაშენა სიონსა და ანჩისხატს შუა სასახლეს, მტკვარს გარდაკიდებით, ყიზილბაშთა რიგისა“. როსტომ მეფის აშენებული ეს „ყიზილბაშური რიგის“ სასახლე არის სწორედ შარდენის „მოგზაურობაში“ აღწერილი „მეფის სასახლე“.

XVII საუკუნის ბოლოს ერეკლე I-მა როსტომის სასახლეს ახალი კორპუსი მიაშენა. ამ სასახლეს აღწერს ერეკლე I-ის შვილი თეიმურაზ II:

„ერთი სრა მამის ჩემისა, მეფის ერეკლეს გებული, ხელმწიფეთ საკადრისი და ქვეყნისგან მოწონებული, სარკით და ოქროს ვარაყით შემთხვევით განათებული, და მეფეთ და დარბაისელთ-ვის სალხინოდ დამზადებული“.

1701 წელს თბილისში იმოგზაურა **ტურნეფორმა**, რომელმაც ქალაქის სხვა ნაგებობათა შორის მეფის სასახლეს დაათვალიერა. იგი შემდეგნაირად აღწერს მის მიერ ნანახ სასახლეს: **„მთავრის სასახლე ციხის ქვემოთ, მდებარეობს, იგი ძალიან ძველია და ასეთი პატარა ქვეყნისათვის საკმაოდ კარგა გამოიყურება. სასახლის ბალები, საბაზიარო, სამწვევარ-სამეძებრო, მოედანი და ბაზარი სასახლის წინ დათვალიერების ღირსია.**



ჩვენ შეგვიყვანეს მომცრო დარბაზში, რომელმაც ჩვენზე საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ხისგან არის ნაკეთები. მას ყოველ მხარეს აქვს ფანჯრები, რომლებშიაც ჩასმულია დიდი ზომის შუშები ლურჯი, ყვითელი, მონითალო-მონაცრისფრო და სხვა ფერისა. არის რამდენიმე ვენეციური სარკეც..., ჭერი შემკულია მოვარაყებულ ტყავით“.

ტურნეფორმაც დაგვიტოვა გრავიურა, რომელიც ქალაქის ხედს წარმოადგენს აღმოსავლეთიდან. მაგრამ ეს ხედი უფრო სტილიზებულია და მისი საშუალებით ქალაქის ნამდვილი იერის წარმოდგენა ცოტა გაჭირდება.

დავუბრუნდეთ სამეფო სასახლეებს. ვახუშტის თქმით, **ვახტანგ VI-მ „ალაშენა სახლი მშენიერი, სრულიად სარკითა და მოქროვილი, დიდმხატვრობითა, ლაყვარდითა და მარმარილოს კედლითა“**. ეს სასახლე სეხნია ჩხეიძეს შემდეგნაირად აქვს აღწერილი: **„სახლი პატიოსანი მიჭურტიანისა და ოქროსა ვარაყითა შეთხზული... უმშენიერესი სახლი არც ერანს შიგან მინახავს“**. მოგვეპოვება ამ სასახლის პლატონ იოსელიანისეული აღწერილობაც. ეს სასახლე 1725 წელს ოსმალებმა დაანგრიეს.

სასახლის ტერიტორიაზე თეიმურაზ II-მ „ააგო სახლი ახალი... მტკვრის პირს, მშენიერი და შემკული ყოვლით კერძო“. ამ სახლში 1750 წელს გადაიხადეს ერეკლე II-სა და დარეჯანის ქორწილი, რომელიც შვიდ დღე-ღამეს გრძელდებოდა.

ერთი სამეფო სასახლე აშენებული იყო სეიდაბადის აღმოსავლეთით. ვახუშტის გეგმაზე მას **ხალანგარი** ეწოდება. ეს სასახლე დაათვალიერა ტურნეფორმა და მისი შემდეგნაირი აღწერილობა დაგვიტოვა: **„ოთახები ამ სასახლეში ანფილადად არის განლაგებული, მაგრამ, როგორც საერთოდ ამ ქვეყანაში მიღებულია, დაბალჭერიანებია. ისინი შემკულია ფრიზით და ისტორიული სურათებით, ყველაფერი ეს მეტად**

უშნო გემოვნებისაა, უხეიროდ დახატული, ცუდად შეღებილი და უფრო ცუდად შეხამებული“.

მას შემდეგ, რაც როსტომმა სამეფო სასახლე ციხის უბნიდან სიონ-ანჩისხატის რიგზე გადმოიტანა, ამ ადგილებს საცხოვრებლად მიეტანა ქართველი თავადობაც.

პირველი თავადიშვილი, რომელმაც სასახლეთა ამ რიგზე დაიდო ბინა, იყო გივი ამილახვარი. გივი I ამილახვარს ცოლად ჰყავდა ვახტანგ V-ის ქალი თამარი, რომელსაც მზითვად მოჰყვა ანჩისხატის გვერდზე მდებარე სასახლე. მანამდე ეს სასახლე სამეფო იყო, იგი, როგორც „ამილახვრის სახლი“, დატანილია ვახუშტის გეგმაზე და ნახსენებია ზოგ საისტორიო წყაროში.

ამილახვრის სასახლე მდებარეობდა ანჩისხატის ჩრდილოეთი კედლის გვერდით. ერთის მხრივ, იგი გადიოდა წყლის კარიდან ბატონის მოედნისკენ მიმავალ ქუჩაზე (ან. შავთელის ქუჩა) და მეორე მხრივ — მტკვარზე. გივი ამილახვარმა და მისმა მეუღლემ მზითვად მოყოლილი სასახლე გააფართოეს და შეაკეთეს. ამ სასახლეს სამხრეთით, ანჩისხატის მხარეს დიდი დარბაზი ჰქონია. თამარ ბატონიშვილს დარბაზისთვის ახალი კარი გაუჭრია ანჩისხატის მხარეს, მანვე ეს დარბაზი მთლიანად მოახატვინა მაშინდელ

მხატვარს აბელ კალატოზიშვილს. აბელმავე ახლად გაჭრილი კარის თავზე გივისა და თამარის პორტრეტები დახატა მთელი ტანით: **„ანჩისხატის გვერდზე კარი გამოულია თამარ ბატონიშვილს, კარს ზევით ცოლი და ქმარი სწერილია და ის მხარეც იმათი დახატულია“**.

ამ სასახლისათვის ახალ პატრონებს საყინულეც მიუმატებიათ. ამიერიდან ეს სასახლე ამილახვართა რეზიდენციად იქცა. დიმიტრი ამილახვრის ვაჟის — ალექსანდრეს აღწერილობით, ეს სასახლე სამსართულიანი ყოფილა, სპარსულ ყაიდაზე ნაგები, იგი მტკვარს გადასცქეროდა და ეს სწრაფი მდინარე საძირკველს უთხრიდა მას. ამიტომ დიმიტრი ამილახვარი უკრძალავდა თავის ოჯახის წევრებს მტკვრისპირა ოთახებში ყოფნას. ერთ დღეს მართლაც ჩამონგრეულა მტკვრისპირა მხარე სასახლისა და იქ მყოფი ალექსანდრე ამილახვრის დედა ნანგრევებს ჩაუტანია მდინარეში. ეს მოხდა 1763 წელს. ამის შემდეგ ეს სასახლე აღარ განუახლებიათ. 1765 წელს შეეთქმულეების (რომლის მონაწილენიც იყვნენ დიმიტრი და ალექსანდრე ამილახვრები) გამომჟღავნების შემდეგ ამ სასახლის აღდგენაზე უკვე აღარავის უფიქრია. **პიშჩევიჩის 1785 წლის**

თბილისის ციხესიმაგრის ჩრდილო-დასავლეთი კედელი






გეგმაზე ამ ადგილას პატრიარქის სახლია დატანილი.

ვახუშტის გეგმაზე, ამილახვრის სასახლის გვერდით, ჩრდილოეთით, ნაჩვენებია „ბატონიშვილის სახლი“, შემდეგ „ლუარსაბისა“ და „მუხრან-ბატონის“ სახლები. ეს უკანასკნელი ამთავრებდა კალას ტერიტორიას. იგი გალავნის პირას ყოფილა აშენებული წყლის კართან. პიშჩევიჩის გეგმითაც, ამ ადგილას რაღაც ნაგებობაა დატანილი, ოღონდ მოცემული არ არის მისი სახელი. შარდენის გრავიურით კი ამ ადგილას კახეთის მმართველის სასახლეა.

დღევანდელ შავთელის ქუჩაზე, გარდა ამილახვრისა და მუხრან-ბატონის სასახლეებისა, იყო, აგრეთვე, გერმანოზიშვილების, მეითრიშვილების, როჭიაკაშვილის, მროველის, გარეჯელის, დოდოს მონასტრის სასახლეები. ანჩისხატის ჩრდილოეთით მდებარე სასახლე XVIII საუკუნის დასაწყისში დაიკავა კათალიკოსმა დომენტიმ.

ამის შემდეგ იგი კათალიკოსთა რეზიდენციად იქცა 1795 წლამდე. ეს რეზიდენცია დატანილია პიშჩევიჩის გეგმაზე როგორც წყლისკარიდან მეორე, მუხრან-ბატონის სასახლის შემდეგი სახლი.

ქუჩის მარჯვენა მხარეს კი მდგარა ჯვარისმამის წინამძღვრისა და შიო ზედგენიძის სასახლეები. შავთელის ქუჩის პერპენდიკულარულია ან ავლევის (ადრე კვირაცხოვლის) ქუჩა, რომელზეც იდგა ქაიხოსრო აბაშიძის, ქსნის ერისთავის, გედევანიშვილის და ციციშვილის სასახლეები. აქვე დასახლებულა XVIII



ნადიმი ვახტანგ V-ის (შაჰნავაზის) სასახლეში, თბილისში. შან შარდენის მიხედვით

საუკუნეში გათავადებული იესე ოსეს ძე.

ორბელიანები ბატონის მოედნის ჩრდილო-დასავლეთითა და დასავლეთით სახლდებიან.

სასახლეთა ადგილმდებარეობა, ასე თუ ისე, დგინდება, მაგრამ როგორი იყო ეს სასახლეები გარეგნულად, ამისი დანამდვილებითი ცოდნა არა გვაქვს. ვიცით, მაგალითად, რომ ბებუთაშვილების სასახლეს, რომელიც კლდისუბანში, ჯვრისმამის ეკლესიის ზემოთ, დღევანდელი ასათიანის ქუჩის დასაწყისში იდგა, სხვადასხვა ნაგებობებითა და ეზო-ბაღით საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ეჭირა. ამ ტერიტორიაზე ყოფილა პატარა აუზი მარმარილოს ლომე-

ბით და, აგრეთვე, ქვის აუზი. ამ აუზებში წყალი სოლოლაკის მთიდან მოდიოდა მილებით, შაჰის ტახტის მხრიდან.

ბატონის მოედნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარეობდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია, რომელიც ითვლებოდა ნათლისმცემლის უდაბნოს მეტოქედ ქალაქში. ამ ეკლესიის მეზობლად ორსართულიანი სასახლე ჰქონია ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეს სოლომონ ლეონიძეს.

როგორც საბუთებიდან ჩანს, ლეონიძის სახლი ორსართულიანი ყოფილა; მეორე სართულისთვის მას მიუშენებია „ნამოკიდებული „ყავრული“, ანუ ფიცრული, რომლისთვისაც ფანჯარა და „რუსები“ დაუტანებია (ე.ი. ფიცრული აივანი)“.

იგი საკმაოდ ფართო ყოფილა — მიჯნის კედელს ადღ-ნახევრით გადაცილებული. ეს გადაკიდებული აივანი იმდენად მაღალი ყოფილა, რომ იქიდან ეკლესიის საკურთხეველში გადახედვაც შეიძლებოდა, რის გამოც 1792 წელს სოლომონისთვის უჩივლიათ კიდეც. ასეთი შემთხვევები, უთანხმოებანი მეზობლებს შორის და, საერთოდ, წესების დარღვევა სახლების შენებისას, არცთუ ისე იშვიათი ყოფილა.

თბილისის ისტორია, ტ. I, 1990



დარეჯან დედოფლის სასახლის აივანი, XVIII ს.

«ყოველი წუთი და წამი ბედნიერი მქონდა»

ირმა სოსხაძე, როგორც იტყვიან, ქუდბედიანი დაიბადა. უფროს თაობას კარგად ახსოვს პატარა გოგონა, რომელიც, მიკროფონს რომ ვერ სწვდებოდა, სცენაზე სკამზე შემდგარი, დიდი აუდიტორიის წინაშე, მღეროდა. იმ წუთიდანვე იმ ციცქნა გოგონამ მთელი საქართველო აალაპარაკა, იგი პატარა ვარსკვლავად იქცა, რომელიც დროსთან ერთად კიდევ უფრო აკაშკაშდა ქართული მუსიკის სამყაროში. მომღერლის საინტერესოდ გავლილი ცხოვრების მატიანეა მისი საოჯახო ფოტოალბომი, რომლის დათვალიერებას დღეს მკითხველთან ერთად შევეცდებით:

— ცხოვრებაში ძალიან ბევრი ლამაზი დღე მქონდა, — გვიამბობს ქალბატონი ირმა, — უფლისა და ბედის მადლობელი ვარ. ხანდახან ვფიქრობ, რით დავიმსახურე ამდენი სიკეთე?

ბედნიერი დღე იყო, როდესაც ჩემმა მეუღლემ სიყვარული ამიხსნა, როდესაც შვილები შემეძინა, ყოველი წუთი და წამი ბედნიერი მქონდა.

2 წლის ვიყავი, როდესაც ეზოში ჩემთვის ვმღეროდი. მამაჩემს გაუგონია და გადმოუხედავს, დაინტერესებულა, ვისი ბავშვი მღერის ასე კარგადო, მე რომ შევრჩიხელში, გადაირია. ჩვენს ოჯახში ყველა ძალიან კარგად მღეროდა, მაგრამ მუსიკოსი არავინ იყო. ჩემში ასეთი ნიჭი რომ აღმოაჩინეს, ძალიან გაუხარდათ, ბედნიერები იყვნენ. სახლში სულ მამღერებდნენ, ვმღეროდი მამასთან და ბაბუასთან ერთად. 4 წლის ვიყავი, როცა ტელევიზიაში მიმიყვანეს და მამღერეს. მახსოვს, პირდაპირ ეთერში, ორი სიმღერა ვიმ-



პირველი გამოსვლა. ირმა სოსხაძე „თბილისის სიამაყე“ ოპერის თეატრის სცენაზე. 1960 წელი

ღერე: ერთი — მერი დავითაშვილის „თბილისის დილა“ და მეორე — იტალიური სიმღერა. აკომპანიმეტს შესანიშნავი პიანისტი ეკა მუხაძე მიკეთებდა. მაშინ ტელევიზიით გამოსვლას დიდი ძალა ჰქონდა, თან ერთადერთი არხი იყო. მოკლედ, მეორე დღიდან საოცრად პოპულარული გავხდი. როდესაც მამაჩემი სამსახურში მივიდა, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სოსო ტულუში დახვდა და ჰკითხა, გუშინ ტელევიზორში შენი მოგვარე ბავშვი რომ იყო, ხომ არ იცი, ვისი შვილიაო? მამას ძალიან ესიამოვნა, მაგრამ თავიდან არ უთხრა, რომ მისი შვილი ვიყავი. მერე ჰკითხრა, რატომ დაინ-

ტერესდიო? ბატონმა სოსომ უპასუხა, რომ მინდა ჩვენს ორკესტრში ავიყვანო, ექსპერიმენტი ჩავატაროო. მამამ უთხრა, რომ მისი შვილი ვიყავი. ორ დღეში მიმიყვანეს რეპეტიციაზე, სადაც ფანტასტიური მუსიკოსები დამხვდნენ: ვებმირიოვი, მედეა გონგლიაშვილი, მანჯგალაძე. გონგლიაშვილმა რომ დამინახა, წარბი აწია, მას მაღალი პროფესიული ნიშა ჰქონდა, ამიტომ ცოტა უცნაურად მოეჩვენა პატარა ბავშვის ორკესტრში მისვლა. დამიძახა, მივუახლოვდი, რაღაც ფრაზა დამიკრა, მე ფიცჯერალდის სიმღერა უნდა მემღერა. ფრაზა რომ დამიკრა, ზუსტად და უშეცდომოდ



გავიმეორე, თვალები გაუნათდა, მითხრა — შენ კარგი გოგო ყოფილხარო. მას შემდეგ სცენაზე ვდგავარ. არასოდეს ვნერვიულობ, როდესაც სცენაზე გამოვდივარ. არიან ჩემი კოლეგები, რომელთაც გული უჩქარდებათ, ხელი უკანკალებთ, მე არასოდეს მემართება მსგავსი რამ. პატარაობიდან სულ ვჩქარობდი სცენაზე გასვლას. ეს ჩემი ბუნებრივი მდგომარეობაა, ამიტომ მწყდება გული იმ რამდენიმე წელიწადზე, როდესაც სცენაზე არ ვიდექი.

მუსიკალურ ათწლეულებში ჩავაბარე, რომელიც ოქროს მედალზე დავამთავრე, მერე სწავლა კონსერვატორიაში განვაგრძე, საფორტეპიანო და თეორიული ფაკულტეტები დავასრულე, ორივე წარჩინებითა და წითელი დიპლომით. მერე სულ ტელევიზიაში ვმუშაობდი, გაკეთებული მაქვს უამრავი პროექტი, რომლებიც წარმატებით მიმდინარეობდა.



მამა — აზული სოსაძე, ირმა სოსაძე, ძმა — ზურაბ სოსაძე, დედა — ცისანა სოსაძე

ოჯახი

— არაჩვეულებრივი მშობლები მყავს, ბედნიერი ვარ, რომ ისინი ცოცხლები არიან. მამა დღემე მუშაობს ტექნიკური უნივერსიტეტში, დეპარტამენტის უფროსია.

დედა ფილოლოგია, ინგლისური ენის სპეციალისტი, მაგრამ მან მთელი ცხოვრება მე და ჩემს ძმას მოგვიძღვნა. მთელი თავისი ცოდნა-გამოცდილება და კეთილშობი-

ლება ჩვენში ჩადო. მყავდა არაჩვეულებრივი ბაბუა, რომელიც ცნობილი მეღვინე იყო. ბაბუას ჰქონდა არაჩვეულებრივი საცდელი მეურნეობა დილომში, სადაც სა-



1965 წელი



1964 წელი. საორთის სასახლე. შეხვედრა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთის კოლექტივთან. გვის პიბ-პენდი



სალომე ასათიანი და ირმა სოსხაძე



ირმა სოსხაძე შვილთან, ნატუკა ასათიანთან ერთად

ქართველოში ჩამოსული ყველა სტუმარი მიდიოდა.

ჩემი მეუღლე რეზო ასათიანი არაჩვეულებრივი ადამიანია. ის სიმღერაში ხელს არ მიშლიდა, რაც უკვე კარგია. თავიდან პრობლემები გვექონდა, დასამალი არ არის, ქართველი კაცია და არც მას უნდოდა ჩემი სცენაზე დგომა. ხანდახან ვხუმრობ-ხოლმე, პირველი ოცი წელიწადი სულ სხვა ადამიანი იყო, ხოლო მეორე ოცი წელიწადი — სულ სხვა. ოჯახს ვერასოდეს დავანგრევედი იმის გამო, რომ მემღერა, ამასაც მიხვდა და ერთ მშვენიერ დღეს მითხრა, რომ აღვადგინოთ კვარტეტი „თბილისი“ და ერთად ვიმღეროთო. ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. კარგი პროგრამა გვექონდა, ნახევარი მსოფლიო მოვიარეთ, უბედნიერესი დღეები იყო. ხუთი წლის მერე მითხრა, რომ შენ შენს გზას გაჰყევი და მე ჩემს საქმეს მივხედავო. მან კარგი გადაწყვეტილება მიიღო. თუმცა კონცერტებზე ჩემთან ერთად ახლაც გამოდის-ხოლმე. მალე სოლოკონცერტს ვგეგმავ და ჩემთან ერთად იმღერებს.

შვილები მომღერლები არ არიან, მაგრამ გული არ მწყდება, ნატუკა მე-9 არხზე მუშაობდა და ნამყვანის ამპლუა ძალიან მოირგო და მოეწონა. სალომე კარგი ჟურნალისტი რადიო „თავისუფ-



რეზო ასათიანი, სალომე ასათიანი, ირმა სოსხაძე

ლებზე“ უკვე ცნობილი ბლოგერია. ორივეს სასიამოვნო ხმა აქვს და სმენაც, მაგრამ განსაკუთრებული ნიჭი არ აღმოაჩნდათ, იმის გამო, რომ ჩემი შვილები არიან, სცენაზე არ გამომიყვანია.

სალომე კულტუროლოგია, მუშაობს პრალაში, რადიო „თავისუფლებაში“. ნატუკა ფსიქოლოგია, ისიც პრალაში წავიდა — ამერიკული უნივერსიტეტის პიარის

სამაგისტრო ფაკულტეტი დაასრულა. ნატას გამო ორი წელი შინ ვიჯექი და სწორედ მაშინ დავინწყე მიუზიკლების წერა.

რაზე წყდება გული ირმა სოსხაძეს?

— გული მყდება, რომ მეტად არ მივხედე ჩემს კარიერას, იმ თვალაზრისით, რომ კლასიკურ, ანუ



სალომე, ნატუკა რეზო და ირმა



რეზო, ნატუკა, ირმა და უმცროსი შვილიშვილი რეზიკო ნაცვლიშვილი



ნიკიტა ხრუშჩოვი, ფიდელ კასტრო და ირმა სოსხაძის ბაბუა — პეტრე სოსხაძე



ირმა სოსხაძე რობერტინო ლორაბისთან ერთად. ალმა-ატა

საოპერო ხელოვნებაში არ ვცაადე ბედი. ოპერის მომღერლობა მინდოდა, მაგრამ, ალბათ, ძალიან არ მოვიხდომე. შემეძლო მოსკოვში წავსულიყავი, სულ მელოდებოდნენ. ჩასვლით ჩავდიოდი და კონცერტებსაც ვმართავდი, მაგრამ იშიათად. მოსკოვში ახლაც ვიყავი, კონცერტი იყო და ვივალდი ორკესტრთან ერთად ვიმღერე, საოცარი წარმატებითა ჩაირა. კარიერის გასაკეთებლად არსად წასვლა არ მინდოდა. როცა ოჯახი გყავს, ეს რთულია, არჩევანის წინაშე დგები, მე კი ჩემი ოჯახის დანგრევის ფასად არაფერი მიღირს. ოჯახი უპირველესია. ჩემი ცხოვრებით ბედნიერი ვარ — ვცხოვრობ საქართველოში, თბილისზე კარგად არსად არ ვგრძნობ თავს, ასე კარგად არსად გამოვიყურები და ასეთი სითბოთიც ვერსად ვმღერი, დიდი ბედნიერებაა, საქართველოში ცხოვრება და ქართველობა. სამწუხაროა, რომ დღეს არ არის დიდი სარბიელი, მაგრამ სულ რაღაცას ვაკეთებ, ბოლო პერიოდში რამდენიმე საღამო გრიბოედოვისა და რუსთაველის თეატრებში გავაკეთე. მინდა ეს საღამოები დისკებზე გამოვცე.

დამწყებ მომღერლებს სულ ფურჩევ-ხოლმე, რომ მომიჯნავე პროფესია და სპეციალობა ჰქონდეთ, რათა თავი გაიტანონ, მარტო სიმღერით თავს ვერ ირჩენ.

მოაშადა
ეკა ნასყიდაშვილი



ირმა სოსხაძე და უფროსი შვილიშვილი მადსი



ირმა სოსხაძე და რეზო ასათიანი

სალომე, მამსი და ირმა



დარეჯან დედოფლის სასახლის აივანი, XVIII ს.

